

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი
ნუნუ ბახტაძე

**მანიპულაციის ენობრივი საშუალებები
პოლიტიკურ დისკურსში**

(ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი

ბათუმი - 2021 წ.

შინაარსი

შესავალი	4
თავი I – ენა და პოლიტიკა	12
1.1 რიტორიკის განვითარების ისტორია	12
1.2 ენა, როგორც პოლიტიკური საქმიანობის მთავარი ინსტრუმენტი	15
1.3 ენა - ძალაუფლების ინსტრუმენტი	18
1.4 ლინგვოპოლიტოლოგია VS პოლიტოლინგვისტიკა,	20
თავი II - დისკურსი, როგორც ამბივალენტური მოვლენა	23
2.1 დისკურსის ცნების რაობა	23
2.1.1 პოლიტიკური დისკურსის თავისებურებები	29
2.2 კორპუსლინგვისტიკა და დისკურსის კრიტიკული ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდები	31
თავი III - მანიპულაცია - ცნების კატეგორიზაცია და მისი როლი პოლიტიკურ კომუნიკაციაში	35
3.1 მანიპულაცია - ცნების განმარტება და ტრანსფორმაცია	35
3.1.1 მანიპულაცია პოლიტიკურ დისკურსში, პოლიტიკოსის მთავარი ამოცანა თუ მიზანი	38
3.1.2 ენობრივი მანიპულაციის არსი	39
3.1.3 ენობრივი მანიპულაციის ტექნიკები და მეთოდები	43
3.2 პერსუაზივი, როგორც ენობრივი მანიპულაციის ერთ-ერთი საშუალება	49
3.2.1 პერსუაზივის ენობრივი საშუალებები	52
3.3 ფრეიმინგი – ცნებები ქმნიან რეალობას	56

თავი IV - ემპირიული მასალის ანალიზი	58
4.1 საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი	58
4.2 ქართული საპარლამენტო დისკურსი	61
4.2.1 სახელისუფლებო პარტია – „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი	62
4.2.2 ქართული ოპოზიციური პარტიების საპარლამენტო დისკურსის ანალიზი.....	78
4.2.3 ქართული სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური დისკურსის შედარებითი ანალიზი	99
4.3. გერმანული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი	104
4.3.1 გერმანული საპარლამენტო კოალიციური უმრავლესობის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი.....	104
4.3.2 გერმანული პარლამენტის ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური დისკურსის ანალიზი.....	120
4.3.3 გერმანული საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური დისკურსის შედარებითი ანალიზი	143
ზოგადი დასკვნები	149
გამოყენებული ლიტერატურა	153
დანართები:.....	162
გლოსარი	162
გერმანული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საპარლამენტო გამოსვლის ტექსტები	162
ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საპარლამენტო გამოსვლის ტექსტები	162

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური მეტყველების ინტერდისციპლინურ კვლევას, კერძოდ, მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ანალიზს გერმანული და ქართული პოლიტიკური დისკურსის მაგალითებზე. კვლევა ეფუძნება სამი ძირითადი ლინგვისტური პოსტულატის – პოლიტიკური ენის, პოლიტიკური დისკურსისა და ენობრივი მანიპულაციის სფეროში არსებულ მეცნიერულ თეორიებს, მათ შორის ბურკჰარდტი (Burkhardt 2003), დიკმანი (Dieckmann 1981), ფუკო (Foucault 1993, 1999), ჰაბერმასი (Habermas 1986), კელერი (Keller 2011), იეგერი (Jäger 2012), კლაუსი (Klaus 1971), კლაინი (Klein 2019), ლეი (Lay 1999), ვეელინგი (Wehling 2016), ვენგლერი (Wengler 2013), ვოლფი (Wolf 1978), თოიბერთი (Theubert 2012) და სხვათა.

ცნობილია, რომ ენა უმნიშვნელოვანესი მედიუმი პოლიტიკურ კომუნიკაციაში. *ენის საშუალებით ვახერხებთ როგორც პოლიტიკური განწყობის და თანამოაზრეობის გამოხატვას, ისე ჩვენს გამიჯვნას.* პოლიტიკოსების საქმიანობა სწორედ ენის მეშვეობით ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ ენისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი კვლევა თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში კვლავ აქტუალურია. დროის ცვლილებასთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა მოახდინა როგორც მთლიანად საზოგადოების ქცევასა და აზროვნებაზე, ასევე, შეცვალა პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგი და საქმიანობის სტილიც. ენა და პოლიტიკა ანტიკურ სამყაროში მხოლოდ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში განიხილებოდა, თანამედროვე მედიის პირობებში, კი პოლიტიკურ ენას არამარტო მეცნიერები და პოლიტიკოსები, არამედ მედიის წარმომადგენლები და მედიის საშუალებით რიგითი მოქალაქეებიც განიხილავენ. სწორედ, მედიის საშუალებით გახდა პოლიტიკური ენა მრავალადრესატზე ორიენტირებული (Mehrfachadressiert) და შესაბამისად, პოლიტიკოსებიც იძულებულნი გახდნენ მათი საქმიანობის შესახებ

ინფორმაცია საზოგადოების ყველა ფენისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი და აღქმადი გაეხადათ და უფრო დიდი სარგებელი მოეტანათ ამომრჩეველთა ქცევის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შეცვლის გზით. ენა ემსახურება არგუმენტაციასა და მოლაპარაკებას, კონსესუსის გამონახვას, მაგრამ იგი ამავდროულად ენობრივი მანიპულაციის საშუალებით საზოგადოებრივ, კერძოდ კი, პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მიზნითაც გამოიყენება.

საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა და მოსახლეობის „გულის მოგება“ პოლიტიკოსების უპირველესი ამოცანაა. საზოგადოებაში ისინი არც ისე მაღალი სანდოობით გამოირჩევიან, რაც მათ მიერ ენის, როგორც მანიპულაციის იარაღის გამოყენებით არის განპირობებული, შესაბამისად, როგორც პოლიტიკა, ასევე მანიპულაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას საზოგადოებრივი მოვლენების მართვა წარმოადგენს, საზოგადოებრივ მოვლენებს სწორედ, პოლიტიკური დისკურსი განსაზღვრავს. საზოგადოების აზროვნების, კულტურისა და ფსიქოლოგიის კომპლექსურობა კი, თავის მხრივ, სწორედ დისკურსში გამოვლინდება.

ტერმინი „დისკურსი“ მრავალწახნაგოვანი ფენომენია და იგი პოლისემიურობით ხასიათდება. მისი განხილვა ერთი დისციპლინის ფარგლებში შეუძლებელია, მას კავშირი აქვს სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან, რაც მისი ინტერდისციპლინური ხასიათით არის განპირობებული. მიუხედავად უამრავი გამოკვლევისა და სამეცნიერო თეორიისა, დისკურსის ზუსტი დეფინიცია დღემდე არ არსებობს. სამეცნიერო საზოგადოებაში არსებულმა განსხვავებულმა შეხედულებებმა მისი გაგება კიდევ უფრო გაართულა.

თემის აქტუალურობა - ენისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება, ენის საშუალებით საზოგადოების განწყობების შექმნა და მისი შესწავლა ჯერ კიდევ

ანტიკურ ეპოქაში დაიწყო, მაგრამ თანამედროვე მედიის პირობებში შეიცვალა საზოგადოების ქცევა და, რა თქმა უნდა, ენის გამოყენების სტრატეგიებიც. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა პოლიტიკური ტექსტების შესწავლა, ვინაიდან სწორედ პოლიტიკური დისკურსი განსაზღვრავს საზოგადოების ცნობიერებას, დღითიდღე მატულობს სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც სწორედ პოლიტიკური მეტყველების შესწავლას ემსახურება.

პოლიტიკური დისკურსის შესწავლა, მისი მრავალპლანიანობიდან გამომდინარე, არათუ ამოიწურა, პირიქით, გაჩნდა ახალი დისციპლინები და შესაბამისად, ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები მისი ღრმად შესწავლის მიზნით. პოლიტიკური ენა თავისთავად არ არის **ვიწრო სპეციალიზაციის ენა** (Fachsprache), ვინაიდან პოლიტიკა ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: კულტურა, მეცნიერება, ჯანდაცვა, ეკონომიკა და ა.შ. ამ საკითხის სრულყოფილი გამოკვლევა შეუძლებელია და ყოველთვის იძლევა კვლევისთვის საინტერესო მასალას. გარდა იმისა, რომ თემა აქტუალური და საინტერესოა, **ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს** ასევე ქართული პოლიტიკური დისკურსის შედარება გერმანულ პოლიტიკურ დისკურსთან, რაც ამ დრომდე არ მომხდარა. ჩვენი კვლევა კი, ჩვენი აზრით, ამ ხარვეზის გამოსწორებას შეუწყობს ხელს. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევა უმთავრესად გერმანული მეცნიერული თეორიების ბაზაზე დაყრდნობით ჩატარდა, რამაც პოლიტიკური ენის კვლევის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პრაქტიკის გაზიარების საშუალება მოგვცა.

კვლევის მიზნები და ამოცანები - ჩვენი კვლევის მიზანია მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ლინგვისტური თვალსაზრისით განხილვა გერმანულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში; კერძოდ, განსხვავებულ კულტურათა მონაცემების, გერმანული და ქართული სინამდვილის ერთმანეთთან შედარება და ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური კულტურის ბაზაზე თანამედროვე საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ენობრივი საშუალებების

შეპირისპირებითი ანალიზი; ენობრივი საშუალებების მრავალფეროვნების გამოვლენა და მოსახლეობის პოლიტიკურ შეხედულებებზე ზემოქმედების მიზნით მათი გამოყენებით გამოწვეული შედეგების კონტექსტში ჩვენება და ახსნა, კერძოდ, თუ რა კონკრეტული ენობრივი საშუალებებით ხდება საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა და სასურველი ქმედებისკენ ბიძგის მიცემა.

კვლევის მიზანებია ასევე, პოლიტიკურ დისკურსში მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ტიპების დადგენა, მათი ენობრივი თავისებურებების განსაზღვრა; ენობრივი საშუალებების სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია, ენობრივი ტრანსფორმაციების დადგენა და მათი სისტემატიზაცია ლექსიკურ–სემანტიკურ და პრაგმატიკულ დონეზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი **ამოცანების** გადაჭრა:

- დარგში არსებული თეორიების განხილვა და აღნიშნული თეორიების ბაზაზე საკვანძო ტერმინების განსაზღვრა;
- აღნიშნული ტერმინების ტრანსფორმაციისა და მოდიფიკაციის მიზეზების დადგენა;
- პოლიტიკური ენის დიაქრონიულ ჭრილში განხილვა;
- ზეგავლენის ენობრივი სტრატეგიების იდენტიფიცირება;
- კონკრეტული კონტექსტის გამოვლენა, თუ რა პირობებშია შესაძლებელი მანიპულირება;
- ენის, როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტის დემონსტრირება.

კვლევა ორიენტირებულია პოლიტიკური ენის გავლენის შეფასებაზე და იმ ენობრივი საშუალებების იდენტიფიცირებაზე, რითაც პოლიტიკოსები ახდენენ ზეგავლენას საზოგადოებაზე.

ვინაიდან *დისკურსი განსაზღვრავს ცნობიერებას, ცნობიერება კი ქმედებას*, ჩვენთვის საინტერესოა გერმანული და ქართული საზოგადოების ენობრივი მანიპულირების მექანიზმების განსაზღვრა და შეფასება, **ენის, როგორც არამართო**

პროპაგანდის საშუალების, არამედ, როგორც მანიპულაციისა და ზეგავლენის საშუალებების წარმოჩენა დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში.

აღნიშნული ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს გერმანული (2017-2021წწ.) და ქართული (2016-2020წწ.) პოლიტიკის ბოლო მოწვევის პარლამენტების ოპოზიციური და სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლების საპარლამენტო გამოსვლები, მათ შორის, სამი სახელისუფლებო და სამი საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის პოლიტიკური მეტყველების კორპუსი, რომელიც მოიცავს ბოლო მოწვევის თითქმის ოთხწლიან ციკლს.

გერმანულ ემპირიულ მასალად აღებულია საპარლამენტო სხდომების ავთენტური ჩანაწერები (6 დეპუტატის 98 გამოსვლა). სულ გამოვლენილია ენობრივი მანიპულაციის 851 ერთეული.

ქართულ ემპირიულ მასალას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული მასალა, რომლებიც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე იქნა მიღებული (6 დეპუტატის 73 გამოსვლა). სულ გამოვლენილია ენობრივი მანიპულაციის 420 ერთეული (იხ. დანართი1).

ემპირიული მასალის შერჩევა განაპირობა ორმა გარემოებამ, კერძოდ, 2016 წლის ქართული საპარლამენტო და 2017 წლის გერმანული პარლამენტის (ბუნდესთაგის) არჩევნების შედეგებმა, რომელთა შედეგადაც, ერთი მხრივ, საქართველოში საპარლამენტო მანდატები დაიკავა მემარჯვენე-კონსერვატიულმა პარტიამ „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ 2012 წელს გამოჩნდა, პირველად მონაწილეობა მიიღო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, სადაც საერთო ხმების 4,72 % დააგროვა. ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დაწინაურდა და საერთო ხმების 5,01% - ით პროპორციული სიით 6 დეპუტატის მანდატი მოიპოვა. მეორე მხრივ, მსგავსი სცენარი განვითარდა 2017 წელს გერმანიაში, სადაც 2013 წელს რეგისტრირებული მემარჯვენე-პოპულისტური, ნაწილობრივ მემარჯვე-ექსტრემისტული პარტია AfD (Alternative für Deutschland) პირველად 2013 წელს 4,7 %-ით, ხოლო 2017 წელს 12,6

%-ით გერმანული საზოგადოების უმრავლესობისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ბუნდესთაგში. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ყველა იმ პარტიის ენობრივი სტრატეგიების ანალიზი, რომელთაც 2017 წელს გერმანიაში, ხოლო 2016 წელს საქართველოში შეძლეს მინიმალური ზღვარის გადალახვა და პარლამენტში შესვლა, ასევე მათი ენობრივი სტრატეგიების შედარება AfD-სა და პატრიოტთა ალიანსის ენობრივ სტრატეგიებთან, რათა გამოვლინდეს ამ ორი პარტიის ის ენობრივი სტრატეგიები, რამაც მათი წარმატება განაპირობა.

კვლევის მეთოდოლოგია - ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტური კვლევისა და შეპირისპირების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც ხდება გერმანულ-ქართულ საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ენობრივი მასალის, კერძოდ, მანიპულაციის საშუალებების შედარებითი ანალიზი და ანალიზის საფუძველზე მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა.

ნაშრომში გამოყენებულია ასევე, კორპუსლინგვისტური მეთოდი, რომელიც თანამედროვე ჰუმანიტარულ კვლევებში ძალიან აქტუალურია. ამ მეთოდის გამოყენება დიდი მოცულობის ემპირიული მასალის სწრაფად და ეფექტურად დამუშავების საშუალებას იძლევა, რაც კვლევის პროცესს საგრძნობლად ამარტივებს. ამავდროულად, იგი გვამძლევს საშუალებას, ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, კვლევა ვაწარმოთ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს კვლევის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას.

კორპუსლინგვისტური კვლევის მეთოდებთან ერთად, დისკურსის კრიტიკული ანალიზი პოლიტიკური დისკურსის სრულყოფილი შესწავლის უნივერსალური მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს პოლიტიკურ დისკურსში არსებული საზოგადოებრივი და სტრუქტურული უთანასწორობა (დეტალურად იხ. გვ. 28).

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და თეორიული ღირებულება - კვლევა ეფუძნება თანამედროვე თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რაც გვიქმნის მოლოდინს, რომ ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სტილისტიკის, დისკურსის ანალიზის, პოლიტოლინგვისტიკისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინების შესწავლის პროცესში. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო დისციპლინათა ლექცია-სემინარებზე. ამავედროულად, დამუშავებული მასალა და თეორიული განზოგადებები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა პოლიტიკოსებს და საზოგადოების ნებისმიერ წევრს, რომ შეძლონ მანიპულატორი პოლიტიკოსების ამოცნობა და მათი ზემოქმედებისგან თავის დაცვა.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და ქვეთავებისაგან. ახლავს ზოგადი დებულებები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართები. ნაშრომში განხილულია კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, ასევე, მოცემულია მნიშვნელოვანი ცნებების განმარტებები და გაანალიზებულია დარგში არსებული კვლევების თანამედროვე მეცნიერული თეორიები, კერძოდ:

პირველ თავში განხილულია პოლიტიკური ენის ისტორია ანტიკური რიტორიკიდან თანამედროვე რიტორიკამდე, მისი ტრანსფორმაცია და პოლიტიკური დისკურსის განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები; ამავე თავში საუბარია ენისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების, ენის, როგორც პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტისა და საზოგადოების ფორმირებაზე მისი გავლენის შესახებ, ასევე, პოლიტოლინგვისტიკის, როგორც ლინგვისტიკის შედარებით ახალი დისციპლინის ჩამოყალიბების შესახებ. განხილულია ის პრაგმატული გარემოებები, რაც ენას პოლიტიკის ინსტრუმენტად აქცევს.

მეორე თავში საუბარია დისკურსის შესახებ, განხილულია დისკურსის ძირითადი თეორიები, მისი განვითარების ისტორია და ის მიდგომები, რომლებიც არსებობს თანამედროვე მეცნიერებაში. საუბარია ასევე დისკურსის სხვადასხვა

სახეობაზე, უფრო მათ შორის პოლიტიკურ დისკურსზე. ამავე თავში საუბარია კორპუსლინგვისტიკისა და დისკურსის იმ საერთო მახასიათებლების შესახებ, რომლებიც კორპუსლინგვისტიკისა და დისკურსის კორელაციურ თავისებურებებს განაპირობებს.

მესამე თავში განხილულია *ენობრივი მანიპულაცია*. მოცემულია ცნების განმარტებები და ასევე, საუბარია ცნების სემანტიკური ტრანსფორმაციის შესახებ. აღნიშნული თავი შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან, სადაც განხილულია ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მანიპულაციის მიზნით გამოიყენება და რომელთა საშუალებითაც პოლიტიკოსი საზოგადოების ცნობიერებასა და განწყობებზე ახდენს ზეგავლენას.

მეოთხე თავში განხილულია გერმანული და ქართული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსები და დისკურსის თავისებურებები, კერძოდ, მოცემულია მათი პრაგმატიკულ-სემანტიკური ანალიზი, გამოვლენილია მანიპულაციის ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული ქვეყნის საპარლამენტო დისკურსისათვის, ასევე, მოცემულია მათი კლასიფიკაცია.

წარმოდგენილია მანიპულაციის ენობრივი საშუალებების რაოდენობრივი ანალიზი და მიღებული სტატისტიკის შეფასება თეორიულ ასპექტში.

დასკვნაში ასახულია ჩატარებული კვლევის შედეგები და მოცემულია თეორიული განზოგადებები.

თავი I – ენა და პოლიტიკა

ენისა და პოლიტიკის შესახებ მსჯელობას ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში ვხვდებით. პოლიტიკოსის საქმიანობა ყოველთვის იყო დამოკიდებული მის დამაჯერებელ, არგუმენტირებულ, ორატორულ უნარ-ჩვევებსა და რიტორიკის ტექნიკის ფლობაზე. რიტორიკის უმთავრეს ამოცანას სწორედ საჯარო გამოსვლების ტექნიკისა და საუბრის ხელოვნების შესწავლა წარმოადგენდა.

1.1 რიტორიკის განვითარების ისტორია

რიტორიკა ძვ.წ მე-5 საუკუნის შუა პერიოდში განვითარდა სიცილიაში. რიტორიკის წესების ერთობლიობა პირველად კორაქსის მიერ იქნა შემუშავებული, ხოლო სასამართლო დარბაზის რიტორიკის შემუშავება მისი მოსწავლის, ტისიასის სახელს უკავშირდება, მან შეიმუშავა სასამართლო ტექსტების ის წესები, რომელთა მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ მოსამართლეები. ანტიკური რიტორიკის თეორიის დასასრულამდე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც წერილობით, ასევე ზეპირმეტყველებას, რომლებიც ძირითადად, სამართლის სფეროში იქმნებოდა. მალე განვითარდა საუბრის კიდევ ორი ფორმა – პოლიტიკური მეტყველება საჯარო კრებების დროს და ეპიდექტური საუბარი, რომლითაც აუდიტორიას სანახაობას სთავაზობდნენ.

გორგიასი გახლდათ პირველი სოფისტი, რომელმაც საუბრის სტრუქტურა, არგუმენტაციის ტექნიკები და რიტორიკული სტილისტური საშუალებები თეორიულად დაამუშავა. გორგიასის მიხედვით, რიტორიკისთვის უმნიშვნელოვანესი იყო საზოგადოების გრძნობებზე ზეგავლენის მოხდენა და სასურველი მიზნის მიღწევა.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ რიტორიკა ანტიკური ფილოსოფიის ყურადღების ქვეშ მოექცა. პლატონი რიტორიკას შეეხო იმდენად, რამდენადაც სოფისტების რიტორიკას აკრიტიკებდა. მან შექმნა დიალოგის ფორმის ორი ნაწარმოები „Georgias” და „Phaidro”. მისი აზრით,

რიტორიკა არის „ადამინის სულის მოგება სიტყვის საშუალებით“ (Marx. Online, 2000), პლატონის მოსწავლე არისტოტელე რიტორიკას მთლიანად ფილოსოფიისა და დიალექტიკის სფეროს მიაკუთვნებდა. არისტოტელეს საუბრის ხელოვნება მიმართული იყო არგუმენტაციის ტექნიკაზე, სადაც არგუმენტი (*logos*), საზოგადოების ემოცია (*pathos*) და მოსაუბრის ხასიათი (*ethos*) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ.

ლათინური რიტორიკა, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, სათავეს ბერძნული რიტორიკიდან იღებს, თუმცა რომაელებმა დიდი წვლილი შეიტანეს ახალი ენისა და მშობლიური რიტორიკის ტრადიციის განვითარებაში, რომელშიც როგორც პოლიტიკური, ისე დაკრძალვის ცერემონიის ტექსტებიც შედიოდა.

რიტორიკის გაკვეთილებზე რომაელმა სახელმწიფო ორგანოებმა თავდაპირველად უარი განაცხადეს, თუმცა ამავე საუკუნეში რიტორიკა სწორედ რომში აყვავდა.

ციცერონი, რომელიც უდიდესი ორატორი იყო, განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოლიტიკურ და იურიდიულ სფეროში. მისი საუბარი საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა ლათინური ენისა და პროზის სტილის ნიმუშად. ციცერონის აზრით, რიტორიკა საზოგადოებათა შორის კომუნიკაციას სწავლობს, საზოგადოების აზროვნებასა და საქმიანობას შორის შუამდგომლობს. ამისათვის კი საჭიროა საუბრის ნიჭი, უნარი. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ორატორს სჭირდება ფილოსოფიური განათლება, სტაბილურობა და პასუხისმგებლობა. ციცერონი მოლაპარაკეს ყურადღების ცენტრში აყენებს (Marx online.,. 2000).

საგულისხმოა, რომ ციცერონის თანახმად, ორატორი პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს და არა უბრალოდ დეკლამატორი. ჭეშმარიტმა ორატორმა კარგად უნდა იცოდეს ისტორია, ლოგიკა, ფსიქოლოგია. უნდა იყოს ლოგიკური და განათლებული, რომ შეძლოს მსმენელთა ყურადღების მიპყრობა, მაგალითების კარგად მომარჯვება, აუდიტორიის გუნება-განწყობილების ამოცნობა. მისი აზრით, ორატორის წინაშე სამი ამოცანა დგას:

- გაამყაროს ნათქვამი სარწმუნო არგუმენტებით;
- სიამოვნება მიანიჭოს მსმენელს;
- ზეგავლენა მოახდინოს მასზე. (ციცერონი, 2010:10).

რომაული რესპუბლიკის დასასრულს იმპერიის პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა, ისევე, როგორც საბერძნეთში ალექსანდრე მაკედონელის მერე შეიზღუდა პოლიტიკური და იურიდიული რიტორიკის თავისუფლება და წინა პლანზე წამოვიდა ეპიდექტური და ცერემონიალური საუბრის ხელოვნება. სწორედ ამიტომაც, რომ იმ ტექსტების უმრავლესობა, რომლებმაც რომის იმპერიიდან ჩვენამდე მოაღწია, არის სახობო სიტყვები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საერო მეტყველების ყველა ფორმა, რომელიც ჰუმანისტების მიერ რენესანსის პერიოდში იქნა გამოყენებული, იტალიაში უკვე მე-12, მე-13 საუკუნეებში არსებობდა. ისინი სამართლებრივი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მიმართულებებიდან განვითარდა და ყველა დროის რიტორიკულ სტილს შეიცავდა.

რაც შეეხება თანამედროვე რიტორიკას, მე-20 საუკუნეში საზოგადოებრივი საუბარი მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში. პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უამრავი საზოგადო მოღვაწე შეეცადა შეეფასებინა მოვლენები და გამოეთქვა საკუთარი აზრი, რამაც საზოგადოებრივი საუბრის მნიშვნელობა წინ წამოსწია. მედიამ თანამედროვე რიტორიკის განვითარებაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. თანამედროვე რიტორიკა პროპაგანდას ემსახურება, ვინაიდან ტრადიციული რიტორიკისგან განსხვავებით, თანამედროვე რიტორიკაში ფოკუსმა არა არგუმენტირებულ მსჯელობაზე, არამედ *მანიპულირებისა და პერსუაზივის ტექნიკაზე* გადაინაცვლა

1.2 ენა, როგორც პოლიტიკური საქმიანობის მთავარი ინსტრუმენტი

პოლიტიკური ენა ლინგვისტიკის შესწავლის საგანი 1900 წლიდან გახდა, როდესაც დაიწყო ე.წ. *პარტიული ლოზუნგების (Schlagwortforschung)* კვლევა. ენა და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია და მათი განცალკევება, გაყოფა შეუძლებელია. ეს რომ ნამდვილად ასეა, დავრწმუნდებით, თუ პოლიტიკოსების ყოველდღიურ საქმიანობას თვალს გადავაავლებთ: მედია, პარლამენტი, არჩევნები, დიპლომატიური საქმიანობა – ყველა მათგანი ენობრივი ქმედებაა. პოლიტიკა – *ეს არის მოღვაწეობის დარგი, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობას, მისი მიზანია სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირება* (თეზელიშვილი, 2007: 646) ენა არამხოლოდ პოლიტიკის ინსტრუმენტია, არამედ მისი არსებობის წინაპირობაც. როგორც ვალტერ დიკმანი ამბობს „*ქმედება მანამ არის პოლიტიკური, სანამ ის ენობრივი ქმედებაა, სადაც პოლიტიკა არავერბალურია, იქ პოლიტიკა მთავრდება*“ (Dieckman 1969: 29).

აქვს თუ არა პოლიტიკას სპეციალური ენა – ანუ არსებობს თუ არა პოლიტიკური ენა, როგორც ვიწრო სპეციალიზაციის ენა. ამაზე დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯელობა. ცნობილია, რომ ანტიკურ სამყაროში პოლიტიკური ენით მხოლოდ საზოგადო მოღვაწეები, ფილოსოფოსები და ლიტერატორები იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში რთულია იმის მტკიცება, რომ პოლიტიკას რაიმე განსხვავებული და სპეციფიკური ენა გააჩნია. მიეკუთვნება თუ არა სიტყვა პოლიტიკურ ლექსიკას? არის თუ არა იგი დამოკიდებული სემანტიკურ კრიტერიუმებზე? ასევე, იმაზე, განეკუთვნება თუ არა აღსანიშნი პოლიტიკურ სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე პოლიტიკური ენა ვიწრო სპეციალიზაციის ენას (*Fachsprache*) წარმოადგენდა და საზოგადოების ძალიან მცირე ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი, ფრანგული რევოლუციის შემდეგ ეს დამოკიდებულება შეიცვალა და თანამედროვე სახელმწიფოში პოლიტიკური ენის გამოყენების არეალი

გაფართოვდა, დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში აუცილებელი გახდა პოლიტიკოსის საქმიანობა საყოველთაოდ გასაგები და ხელმისაწვდომი გამხდარიყო. დიკმანის აზრით, *თუ პოლიტიკოსს არ ესმის ამომრჩევლის ენა და, პირიქით, მათ შორის კომუნიკაცია ვერ შედგება სათანადოდ და შესაბამისად, პოლიტიკოსის მიზნებიც განუხორციელებელი დარჩება* (Diekman, 1969:63).

პოლიტიკა ძალიან ფართო ცნებაა და იგი მოიცავს უამრავ ფაქტობრივ და ქმედით გარემოებას, მაგ.: კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა, განათლება, ეკონომიკა და ა.შ. შესაბამისად, იგი აღწევს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პოლიტიკის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან ადამიანებს მიაწოდონ ინფორმაცია, დაასაბუთონ თავიანთი ქმედებები, გააანალიზონ ზოგადი სიტუაცია და გააკრიტიკონ მოწინააღმდეგეები, შეაფასონ მოვლენები დადებითად ან უარყოფითად. მათი საქმიანობა თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში უფრო ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოების ფართო მასებისთვის. მათ განკარგულებაშია ბეჭდური მედია, ინტერნეტი, ტელე და რადიომაუწყებლობა.

ენა პოლიტიკისთვის, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ქმედებას. საუბარი ან წერა პოლიტიკაში უკვე ნიშნავს ქმედების განხორციელებას, ვინაიდან პოლიტიკური ტექსტები არ არის სტატიკური და განყენებული, მას აუცილებლად მოყვება შესაბამისი ქმედება, რაც არსებითად შეესაბამება პოლიტიკოსის ინტენციას. ხოლო თუ საუბარი ქმედებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ენის გამოყენებას პოლიტიკაში მოყვება კონკრეტული შედეგები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პოლიტიკაში ენის სწორად გამოყენების მნიშვნელობას.

პოლიტიკური ენის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს (Frohlich, 1997: 30), მათ შორის არის ვოლფგანგ ბერგსდორფის, გერჰარდ შტრაუსისა და ჯოზეფ კლაინის კლასიფიკაციები:

ვ. ბერგსდორფი პოლიტიკური ენის ხუთ კატეგორიას გამოყოფს:

1. საკანონმდებლო იურისდიქცია (*Gesetzgebund Rechtsprechung*);
2. ადმინისტრაცია (*Verwaltung*);

3. მოლაპარაკება (*Verhandlung*);
4. პოლიტიკური განათლება (*politische Erziehung*);
5. პროპაგანდა (*Propaganda*);

გ. შტრაუსის კლასიფიკაცია განსხვავდება ბერგდორფის კლასიფიკაციისგან და მოიცავს ოთხ კომპონენტს:

1. საორგანიზაციო და საპროცესო ენა (*Organisations-und Verfahrenssprache*);
2. სათათბირო, ბრძოლისა და პროპაგანდის ენა (*Deliberation, Kampf und Propagandasprache*);
3. სპეციალური ენა (*Sachbereichssprache*);
4. იურიდიული ენა (*Gesetzsprache*);

არსებობს ასევე, ვ. დიკმანი/ჯ. კლაინის კლასიფიკაცია:

1. ინსტიტუციური (*Institutions*);
2. განყოფილებების (*Ressorts*);
3. ზოგადი ინტერაქციის (*allgemeines Intereaktions*);
4. იდეოლოგიის ლექსიკა (*Ideologievokabular*)

როგორც ვხედავთ, სამივე მათგანი პოლიტიკური ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიად პროპაგანდისა და იდეოლოგიის ენას განიხილავს. *პოლიტიკა, ეს არის საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. საზოგადოების მართვა კი დემოკრატიულ სახელმწიფოში სწორედ ენის საშუალებით ხდება.*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ენა პოლიტიკოსის ლეგიტიმურობის უმნიშვნელოვანესი წყაროა, იგი იძლევა ქვევის კონტროლისა და სოციალური ინტეგრაციის საშუალებას.

ვალტერ დიკმანის მიხედვით, საზოგადოების კონტროლის ორი მეთოდი არსებობს: **იძულებითი** და **სიმბოლური**. იძულებითი მეთოდი იშვიათად გამოიყენება, მაგ. მაშინ, როცა მხარეებს საერთო სიმბოლური სამყარო არ გააჩნიათ, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობა მხოლოდ სიმბოლური

მეთოდების გამოყენებით ხასიათდება (Diekman, 1969:29). საზოგადოების კონტროლის სიმბოლური მეთოდი გარდაუვალია ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის თუ პოლიტიკური პარტიისთვის, განურჩევლად მათი იდეოლოგიისა და შეხედულებებისა. არავის შეუძლია ინტეგრირება მხოლოდ იმულების საშუალებით. ტოტალიტარული რეჟიმის დროს პროპაგანდა უფრო აქტუალური ხდება, კლების ნაცვლად მისი გამოყენების სიხშირე უფრო მატულობს, ვინაიდან „რაც მეტი ფიზიკური ძალა იქნება გამოყენებული, მით უფრო დაჩქარდება მისი გასამართლება“ (Sternberger 1966 in: Diekman, 1969: 29).

სიმბოლური მეთოდის მთავარი მიზანი ფიზიკური და ეკონომიკური იარაღის არიდება, ექსტრემალურ სიტუაციაში მისი გამოყენების შეზღუდვა და გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციაა. მაშინაც კი, როცა საქმე კონფლიქტებს ეხება, პირველ ეტაპზე აუცილებელია კონფლიქტის ენის, მოპალარაკებების საშუალებით მოგვარების ცდა (Mikotajczyk, 2004:16).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ენა და პოლიტიკა ერთგვარ დიქტომიას წარმოადგენს და პოლიტიკის განხორციელება ენის გარეშე წარმოუდგენელია, ენა პოლიტიკის არსებობის წინაპირობა და მისი რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი იარაღია.

1.3 ენა - ძალაუფლების ინსტრუმენტი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენა პოლიტიკის იარაღია, პოლიტიკა კი თავის მხრივ, სწორედ ძალაუფლების მისაღებად და შესანარჩუნებლად განხორციელებული ქმედებაა. შესაბამისად, ენა ძალაუფლების იარაღია. ენის, როგორც ძალის ინსტრუმენტის გაგება განსაკუთრებით გააქტიურდა გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დროს.

გერმანიაში მესამე რაიხის დროს არსებობდა პროპაგანდის სამინისტრო, რომელსაც ი. გებელსი ხელმძღვანელობდა. 1934 წ. 2 თებერვალს გებელსმა გამოაცხადა ახალი ლექსიკონების შექმნის აუცილებლობა, რომელიც მათი

სახელმწიფოს თანამედროვე აზროვნების (*modernes Staatdenken*) შესაფერისი უნდა ყოფილიყო და სიტყვების ტრადიციული მნიშვნელობის შეცვლას (*Umdeutung*) ითვალისწინებდა.¹ (აქაც და შემდგომშიც თარგმანი ჩვენია).

აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე ცხადი გახდა, რომ სიტყვებზე სახელების გადარქმევის საშუალებით შესაძლებელია საზოგადოების ან კონკრეტული კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური გაერთიანების აზროვნების, ფიქრის და მოქმედების შეცვლა. სწორედ მესამე რაიხის პროპაგანდის შესახებ წერდა ვიქტორ კლემპერერი²: „სიტყვები შეიძლება იყოს დარიშხანის მცირე დოზა, ისინი შეუმჩნეველად იელაპება, ისე ჩანს თითქოს არავითარ გავლენასთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოწამლვა სახეზეა“.³

ნაცისტურ რეჟიმში ენის პროპაგანდისტული გამოყენების მძიმე შედეგებიდან გამომდინარე, ომის შემდგომ განსაკუთრებით აქტუალური გახდა ენის გამოყენების მორალური ასპექტი. 1957 წელს დოლფ შტემბერგერმა გამოსცა კონცეპტუალური თვალსაზრისით ძალიან საინტერესო კრებული “Das Wörterbuch des Unmenschen⁴”, რომლის მიზანიც იყო გარკვეული სიტყვების გამოყენებაზე უარის თქმა. საზოგადოება გერმანული ენისთვის GfdS (Gesellschaft für deutsche Sprache) დღესაც აქტიურად მუშობს ენის მორალურ საკითხებზე. მაგ., აღნიშნული საზოგადოება ყოველწლიურად აქვეყნებს “*unworten des Jahres*” (წლის ცუდი, არასასურველი სიტყვა) (Zollner 1997: 317). მაგ. 2020 წლის არასასურველ სიტყვად

¹ *Abstammungsnachweis* –პირველადი მნიშვნელობა იყო ცხოველების მოშინაურება(Viehzucht), ხოლო მნიშვნელობის შეცვლის მერე(Umdeutung) გენეტიკურ წარმოშობას, გერმანული შთამომავლობის გენეალოგიურ მტკიცებულებას ნიშნავდა. არსებობდა სიტყვების უამრავი რაოდენობა, რომლის გამოყენებაც აკრძალული იყო. მათ თავიდან როგორც “Sprachregelungen”(ენის ნორმები), მოგვიანებით კი - “Tagesparolen des Reichspressechefs (რაიხის რედაქტორის დღის პაროლები) ეწოდებოდა (Zollner:84)).

²კლემპერერი ვიქტორ -გერმანელი ლიტერატურათმცოდნე და ცნობილი პუბლიცისტი LTI – Notizbuch eines Philologen Sprache des Dritten Reiches - ფილოლოგის დღიური-მესამე რაიხის ენა-წიგნის ავტორი

³ *Worte können sein wie winzige Arsendosen: sie werden unbemerkt verschluckt, sie scheinen keine Wirkung zu tun, und nach einiger Zeit ist die Giftwirkung doch da. (Klemperer 1947).*

⁴ გერ. არაადამიანობის ლექსიკონი

„Rückführungspatenschaften“ (რეპატრაციის დასპონსორება) და „Corona-Diktatur“ (კორონა-დიქტატურა) იქნა არჩეული.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლიტიკური ენის კვლევით უამრავი მეცნიერი დაინტერესდა; შეიქმნა სამეცნიერო ლიტერატურა, იწერებოდა წიგნები სიტყვის და ენის გავლენების შესახებ, რომელსაც აქტუალურობა დღემდე არ დაუკარგავთ. მაგ.: „Kampf um Worten“ (Greiffenhagen 1980), „Kommunikatives Handeln“ (Habermas 1986), „Politikersprache“ (Holly 1990), „Sprache der Politik“ (Klaus 1971), „Politik Und Rhetorik“ (Koperschmidt 1995), „Ideologie - Sprache – Politik“ (Strassner 1987), „Die Politische Rede“ (Zimmermann 1969), „Politolinguistik“ (Burkhardt 1996), „Besetzen von Begriffen“ (Liedtke/Wengler/Böcke 1991). მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს ენობრივი ნიშნის სიმბოლური განზომილების და პოლიტიკაში მისი როლის გამოკვლევა. ასევე, ენის, როგორც ცნობიერების განმსაზღვრელის და როგორც ქცევის მაკონტროლებლის სისტემური ანალიზი.


აღნიშნულმა კვლევებმა საფუძველი ჩაუყარა ახალი ლინგვისტური დისციპლინების განვითარებას: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, რომლებიც ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას შეისწავლიან. ასევე, ამ პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა ლინგვისტიკის ერთ-ერთი ახალი დარგი პოლიტოლინგვისტიკა, რომლის ძირითად ამოცანას პოლიტიკური ენის გამოყენების შესწავლა (*Sprachgebrauch*) წარმოადგენს.

1.4 ლინგვოპოლიტოლოგია VS პოლიტოლინგვისტიკა,

ტერმინი პოლიტოლინგვისტიკა პირველად 1996 წელს ბურკჰარდტის მიერ იქნა გამოყენებული. პოლიტოლინგვისტიკას ბურკჰარდტი ლინგვისტიკის შემადგენელ დისციპლინად მოიხსენიებს, რომელიც პოლიტიკური ენის კრიტიკული ანალიზით არის დაკავებული. პოლიტოლინგვისტიკა ლინგვისტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების მომიჯნავე დისციპლინაა, რომელიც პოლიტიკური ენის სემანტიკასა და პრაგმატიკას შეისწავლის: „როგორც

გამოყენებითი ლინგვისტიკის სხვა ბევრი სფერო –ასევე, პოლიტიკური ენის ლინგვისტიკაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური დისციპლინაა“. (Burkhardt, 2003a: 120 in Niehr, 2014:13).

პოლიტოლინგვისტიკის საგანი პოლიტიკური ენაა, მაგრამ რას ნიშნავს პოლიტიკური ენა? ბურკჰარდტის მიხედვით, პოლიტოლინგვისტიკის კვლევის საგანი შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა №1 პოლიტოლინგვისტიკის კვლევის ობიექტი (ბურკჰარდტი 1996:81)

აღნიშნული დიაგრამის მიხედვით, ავტორი პოლიტოლინგვისტიკის კვლევის სფეროდ მიიჩნევს პოლიტიკურ ენას, რომელიც თავის თავში მოიცავს საუბარს პოლიტიკის შესახებ, პოლიტიკური მედიის ენას და პოლიტიკის ენას. პოლიტიკის ენა თავის მხრივ, ორ მიმართულებად იყოფა: პოლიტიკოსის მეტყველება და ენა, რომელიც პოლიტიკაში გამოიყენება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკური ენის შესწავლის ისტორია სათავეს ანტიკური რიტორიკიდან იღებს. თუმცა პოლიტოლინგვისტიკის გაიგივება რიტორიკასთან დაუშვებელია. თომას ნირის აზრით, რიტორიკა პრესკრიპციული, ხოლო კორპუსლინგვისტიკა დესკრიპციული ლინგვისტიკის ნაწილია. მისი ამოცანა ენობრივი ფენომენის აღწერა და ახსნაა – „*რიტორიკასა და პოლიტიკურ ენათმეცნიერებას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რიტორიკა პრესკრიპციული მეცნიერებაა, რომელსაც სურს*

ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელო მოგვაწოდოს, ხოლო პოლიტოლინგვისტიკა, თავის მხრივ, დესკრიპციული ენათმეცნიერების ნაწილად მიიჩნევა, რომლის ამოცანაც ლინგვისტური ფენომენების აღწერა და ახსნაა მათი შეფასების გარეშე“ (Niehr, 2014: 18).

პოლიტოლინგვისტიკისთვის განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკური პროცესების ენობრივი ანალიზი, ანუ ენის სტრატეგიული გამოყენება პროცესში. ტერმინ *პოლიტოლინგვისტიკასთან* დაკავშირებით, სამეცნიერო წრეებში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. ქართულ სამეცნიერო სივრცეში ტერმინ პოლიტოლინგვისტიკასთან ერთად აქტიურად გამოიყენება აგრეთვე ტერმინი ლინგვოპოლიტოლოგია. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინ *პოლიტოლინგვისტიკას*.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური ენის შესწავლა ნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკის შესწავლით დაიწყო, როდესაც ადგილი ჰქონდა ენის გამოყენებაში ხელოვნურ ჩარევას და წესებისა და რეგულაციების შემოღებას. სწორედ ამ პერიოდში 80-იან წლებში შეიქმნა უამრავი სამეცნიერო ნაშრომი პოლიტიკური ენის შესახებ: *ენა და პოლიტიკა; პოლიტიკის ენა; ენა პოლიტიკაში* (იხ.გვ. 17) პოლიტიკური ენის ერთი დისციპლინის ფარგლებში შესწავლა შეუძლებელი იყო, რამაც გამოიწვია როგორც ლინგვისტიკის, ასევე პოლიტოლოგიის კვლის მეთოდების სინთეზი. ბურკჰარდი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ვინაიდან თითქმის ყველა ნაშრომის კვლევის მთავარი ობიექტი იყო ენა და არა პოლიტიკა, *მაგ. პოლიტიკური ენა, ენა პოლიტიკაში*, ამ ორი დისციპლინის შერწყმის დროს უპირატესი იყო ლინგვისტიკა და შესაბამისად, მან ლინგვოპოლიტოლოგიასა და პოლიტოლინგვისტიკას შორის არჩევანი პოლიტოლინგვისტიკაზე შეაჩერა (Burkhard in: Klein 85. 1996). შესაბამისად, მან სათავე დაუდო პოლიტოლინგვისტიკას, როგორც ლინგვისტიკის ახალი დარგის განვითარებას.

თავი II - დისკურსი, როგორც ამბივალენტური მოვლენა

2.1 დისკურსის ცნების რაობა

დისკურსის მეცნიერული შესწავლა ლინგვისტიკაში 1960-იანი წლებიდან დაიწყო. მიუხედავად უამრავი სამეცნიერო თეორიისა, დისკურსის ფენომენის სრულყოფილი შესწავლა დღემდე ვერ მოხერხდა, ჯერ კიდევ არ არსებობს ცნების ზუსტი განმარტება. იგი ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია და შესაბამისად, ყველა დისციპლინა, მისი მიზნებიდან გამომდინარე განმარტავს მას. დისკურსის კვლევა თავდაპირველად ფილოსოფიაში დაიწყო, თუმცა შემდგომ კვლევის საზღვრები გაფართოვდა და მოიცვა სოციოლოგია, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა და ა.შ.

ტერმინი **დისკურსი** (*discursus*) ლათინური სიტყვაა და აქეთ-იქით სირბილს, საუბარს, ლაპარაკს ნიშნავს (სალია, 2018:159).

შესაძლოა, ტერმინის მრავალფეროვნება მისმა ფართო მნიშვნელობით გამოყენებამ გამოიწვია. დღეისათვის ლექსიკონის დონეზეც კი არ არსებობს დისკურსის ერთგვაროვანი განმარტება, რაც ცნების სხვადასხვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. მაგ. ქართული ენის სამოქალაქო ლექსიკონში ვკითხულობთ შემდეგ განმარტებას: „*დისკურსი წარმოადგენს კონკრეტული საკითხის გარშემო ცოდნის კონსტრუირებას ან ამ საგანზე მსჯელობის გზებს. დისკურსი არის იდეების, გამოსახულებებისა და პრაქტიკის კომპლექსი (ერთობლიობა), რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ თემასთან, სოციალურ აქტივობასთან ან ინსტიტუციასთან. ეს დისკურსული ჩამოყალიბებული ერთობლიობები განსაზღვრავენ რა არის და რა არ არის მისაღები ამა თუ იმ კონკრეტული საგნის თუ სოციალური აქტივობის შესახებ მსჯელობისას? რა ცოდნა არის აუცილებელი და აქტუალური ამ მოცემულ კონტექსტში და რა ტიპის ინდივიდები ატარებენ ამ მახასიათებლებს? ის იკვლევს არა მხოლოდ როგორ ქმნიან ენა და რეპრეზენტაცია მნიშვნელობას, არამედ ცოდნას, რომელსაც წარმოქმნის კონკრეტული დისკურსი და რომელიც*

უკავშირდება ძალაუფლებას, არეგულირებს ქცევას, შეადგენს ან აკონსტრუირებს იდენტობებს და სუბიექტებს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიაზრობოდნენ და გამოიხატებოდნენ მოცემული საგნები. დისკურსულ მიდგომაში ყოველთვის კონკრეტული ფორმის ისტორიულ სპეციფიკურობაზე ხდება ფოკუსირება ან კიდევ გამოხატვის მექანიზმზე და არა ენაზე, როგორც ასეთზე“ (სამოქ. ენციკ. ლექსიკონი online⁵).

დისკურსის თეორია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფილოსოფიური თეორიების წიაღში აღმოცენდა. მისი ფილოსოფიურ კონტექსტში განხილვა თანამედროვე ფილოსოფიაში იურგენ ჰაბერმასისა და მიშელ ფუკოს სახელებს უკავშირდება, რომლებმაც ლინგვისტურ მეცნიერებებში გადატრიალება მოახდინეს.

ი. ჰაბერმასი თვლის, რომ ენის მიზნობრივი გამოყენების უნარი ადამიანისთვის გადამწყვეტია. დისკურსი მისთვის არის: „კომუნიკაციური რაციონალიზმის დემონსტრირების ადგილი“ (*Schauplatz kommunikativer Rationalität*) ამ გაგებით, დისკურსი არის არგუმენტირებული დიალოგი, რომელშიც სინამდვილის მტკიცებასა და ნორმების ლეგიტიმაციაზეა საუბარი. ის, რაც გონივრულად არის მიჩნეული, არის ინტერსუბიექტური, ანუ საზოგადოების ყველა წევრის მიერ აღიარებული სინამდვილე – „რაციონალური დისკურსი“.

ჰაბერმასის მიხედვით, დისკურსის თეორიისთვის ფუნდამენტურია სამეტყველო აქტების თეორიაში არსებული კვლევის შემდეგი მიმართულებები:

- სამეტყველო აქტი, გაგებინებაზე ორიენტირებული გამონათქვამი;
- მკვეთრად საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული „სტრატეგიული ქმედება“.

ამ უკანასკნელის შემთხვევაში, კომუნიკაციის აქტში მოსაუბრე წინა პლანზე აყენებს პროპოზიციულ, ნორმატიულ და სუბიექტურ სინამდვილეს და მიზნად

⁵ სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>

ისახავს მოწინააღმდეგის დარწმუნებას. თუკი მოსაუბრე ამ მიზანს ვერ მიაღწევს, მაშინ მათ შორის კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული.

დისკურსი უზრუნველყოფს კონსესუსის მიღწევის შესაძლებლობას მასში კონსტრუირებული საშუალებებით, რომელიც გარდაუვალ აუცილებლობად იქნება აღიარებული ყველა მონაწილის მიერ. მონაწილეების მხრიდან არის მცდელობა შექმნან იდეალური საკომუნიკაციო სიტუაცია, რაც, ჰაბერმასის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „*უკეთესი არგუმენტისა და კოოპერატიული ჭეშმარიტების ძიების მოტივის ნებაყოფლობითი შეზღუდვა*“ *der zwanglose Zwang des besseren Arguments und das Motiv der kooperativen Wahrheitssuche* (Habermas, 1992:123).

მიშელ ფუკო მიიჩნევს, რომ დისკურსი არის **კონკრეტულ** ენასა და კულტურაში არსებული სინამდვილე, რომელიც უკავშირდება **კონკრეტულ** ეპოქას. არსებობს დისკურსის წესების განსაზღვრული ერთობლიობა ან კონკრეტული ცოდნის სფერო, სადაც განსაზღვრულია, მაგალითად, რა შეიძლება ითქვას? რისი თქმა არის დაუშვებელი? ვისგან შეიძლება ითქვას სათქმელი? ან რის შესახებ შეიძლება ზოგადად საუბარი? ამას ფუკო **დისკურსულ პრაქტიკებს** უწოდებს: „*დისკურსული პრაქტიკა არის ანონიმური, ისტორიული წესების ერთობლიობა, რომელიც განისაზღვრება დროსა და სივრცეში; იგი განსაზღვრავს მოცემულ ეპოქაში და მოცემულ სოციალურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ ან ენობრივ გარემოში გამონათქვამის ფუნქციის გავლენის პირობებს*“⁶ (Foucault 1993: 121).

ფუკოს განმარტებით, დისკურსი არის ენობრივად შექმნილი აზრის ერთობლიობა, რომელსაც აქვს კონკრეტული წარმოდგენები და რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ძალის სტრუქტურები და ინტერესები. დისკურსი ქმნის რეალობას და ახდენს მის სტრუქტურირებას. ფუკო დისკურსის ორ ასპექტს განასხვავებს:

- ენობრივი ასპექტები (დისკურსი);

⁶ (*Diskursive Praxis –ist eine Gesamtheit von anonymen, historischen stets im Raum und in der Zeit determinierten Regeln die in einer gegebenen Epoche und für eine gegebene soziale, ökonomische, geographische oder sprachliche Umgebung die Wirkungbedingung der Aussagefunktion definiert haben*) (Foucault 1993: 121).

- არაენობრივი ასპექტები (მაგ. პოლიტიკური ინსტიტუციები და არქიტექტურა).

ფუკოს მთავარი ამოსავალი არის დისკურსის ისტორიულობა, საზოგადოებრივი პრაქტიკებისა და გამონათქვამების ერთობლიობა. მისი აზრით, გამონათქვამი უფრო მეტია, ვიდრე წინადადება; გრამატიკული ანალიზისას გამონათქვამი შესაძლოა შეუცნობელი დარჩეს, მაგრამ სამეტყველო აქტისთვის იგი არის „როგორც თვალსაჩინო ფორმა/სხეული, რომელშიც იგი წარმოჩინდება“ (Foucault, 1993:156), განსხვავებულ ფორმასა და დროში არსებული გამონათქვამები ქმნიან ერთობლიობას, როცა ისინი ერთსა და იმავე ობიექტზეა მიმართული და ასეთ გამონათქვამთა ერთობლიობა ქმნის დისკურსს.

ძალზე მნიშვნელოვანია ფუკოს შეხედულება იმის შესახებ, რომ დისკურსი არა მხოლოდ ქმნის სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იგი იყენებს ცოდნას ძალაუფლების დასამყარებლად. ფუკოს მიხედვით, ცოდნა სხვებზე ძალაუფლების წყაროა, რამდენადაც დისკურსი გამოიყენება ქცევის გასაკონტროლებლად. ის, ვინც ფლობს დისკურსს, ფლობს ძალაუფლებას.

ფუკო საუბრობს არა ცოდნაზე როგორც ასეთზე, არამედ როგორც ძალისა და ცოდნის ერთიანობაზე, სადაც ძალა და ცოდნა ერთ მთლიანობას ქმნის. დისკურსი ადამიანების ცოდნის ტრანსფორმირებას ახდენს, რაც ძალის გამოვლინებაში გამოიხატება: „დისკურსი - ასწავლის ისტორიას - ეს არ არის მხოლოდ ბრძოლისა და სისტემების ბატონობის ენად გარდაქმნა; ეს არის, ახსნა, თუ რატომ და რის საშუალებით იბრძვიან; ეს არის ძალა მათთვის, ვინც ეძებს ძალაუფლებას“ (Foucault, 1999:54).

ფუკოს დისკურსული თეორიები საფუძვლად დაედო სხვა არაერთი მეცნიერის შემოქმედებას, თუმცა მათი განმარტებები დისკურსთან დაკავშირებით მაინც ინდივიდუალურია. მაგ.: ზიგფრიდ იეგერი და იურგენ ლინკი დისკურსის

⁷ *Und der Diskurs – dieses lehrt aus immer wieder die Geschichte – ist auch nicht bloß das, was die Kämpfe oder die Systeme der Beherrschung in Sprache übersetzt, er ist dasjenige warum und womit man kämpft er ist die Macht deren man sich zu bemächtigen sucht* (Foucault 1999:54).

ანალიზს განმარტავენ, როგორც **ინსტიტუციონალურ, საზოგადოებრივ** საუბარს, რომელიც ადამიანის ქმედებას განსაზღვრავს. დისკურსის საგნად ისინი მიიჩნევენ გამონათქვამის როგორც ფორმას, ასევე, შინაარსს. იეგერისთვის დისკურსი არის **ისტორიული განზომილება**: „*დისკურსი არის სიტყვისა და ტექსტების ნაკადი („ცოდნა“) დროთა განმავლობაში*“ (*Diskurs ist ein Fluss von Rede und Texten („Wissen“) durch die Zeit (Jäger: 2004)*).

იურგენ ლინკის აზრით, დისკურსის ანალიზი მედიისა და პოლიტიკური დისკურსის ანალიზს გულისხმობს. იგი განიხილავს აქტუალურ დისკურსსა და მის ძალას და აღნიშნავს, რომ დისკურსი არის გავლენის მოპოვების საშუალება. იგი ეხმიანება ჰაბერმასის განმარტებას დისკურსის შესახებ, რომელიც თვლიდა, რომ დისკურსი „*რაციონალურად არგუმენტირებული, საჯარო დებატებია კონკრეტულ საგანთან მიმართებით*“ (*Habermars in: Jäger 2004:26*).

ი. ლინკი აღიარებს დისკურსის ძალას და ამბობს, რომ დისკურსი არის ინსტიტუციონალურად გამყარებული საუბარი, მეტწილად ისეთი საუბარი, რომელიც ქმედებას განსაზღვრავს, ამყარებს და ანიჭებს ძალაუფლებას.

დიტრიხ ბუსსე / ვოლფგანგ ტოიბერტი, ფუკოსგან განსხვავებით, დისკურსს **გამონათქვამთა**, ან გამონათქვამის ნაწილთა ერთობლიობად მიიჩნევენ, ამასთან, დისკურსს „**თემატურად, ფუნქციურად და ინტერტექსტუალურად** ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტების **ვირტუალურ კორპუსს**“ უწოდებენ და ცნების ისტორიას განიხილავენ, როგორც **ცნობიერების ისტორიას**.

რთ ვარნკე ეყრდნობა ტექსტების მიმდევრობას და არა მხოლოდ ლექსიკოლოგიურ კითხვას. იგი ქმნის დისკურსის ლინგვისტიკის განსხვავებულ მიდგომას (Performanzorientiert). მისი საგანი არის „**გამონათქვამების ერთობლიობა ენობრივი ზედაპირულობის გათვალისწინებით, რამდენადაც ის თვითონ დისკურსულ ფორმაციებს მიეკუთვნება**“ (Warnke 2007s13 in: Jäger: 15 : 2004). სწორედ პერფორმანსზე ორიენტირებული დისკურსის შესწავლის მიზნით, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა ვენის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც რუბ

ვოდაკი ხელმძღვანელობდა. ეს ჯგუფი ტექსტების მრავალფეროვნებას შეისწავლიდა და ამით „მრავალფეროვანი მეთოდების“ საჭიროებას ასაბუთებდა. მათ დასახელებული აქვთ ენობრივი ქმედების თეორიები, სოციოლინგვისტიკა, ენობრივი ცრურწმენები და ენობრივი არგუმენტაცია, ასევე, რაოდენობრივი ტექსტის ანალიზი, სტილისტიკის, რიტორიკისა და პერსუაზივის საკითხები. აღნიშნული ჯგუფის ეს მიდგომები არის დისკურსული თეორიების **მეთოდების ბაზისი**.

კონსტანც შპისი, ბუსეს მსგავსად, დისკურსს თემატურად ურთიერთდაკავშირებული ტექსტებისა და გამონათქვამთა ერთობლიობას უწოდებს, რომლებიც *„ჩნდება გარკვეული სიტუაციური და კონტექსტური ფაქტორების გამო, ისინი ვითარდებიან თანდათანობით და თანმიმდევრულად, მათ ახასიათებთ დინამიზმი და მოქნილობა, ჩვეულებრივ ადგილი აქვს საჯარო სფეროში და დამოკიდებულია მასმედიაზე“* (Spieß: 2019:302).

ზემოთ მოყვანილი განმარტებები ცხადყოფს, რომ ცნება **დისკურსის** მიმართ არსებობს მრავალფეროვანი მიდგომა, თუმცა შესაძლებელია მოხდეს მათი კლასიფიცირება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. დისკურსი –ტექსტების ერთობლიობა;
2. დისკურსი – ენობრივ ქმედებათა ერთობლიობა;
3. დისკურსი – საზოგადოებრივი ქმედება;
4. დისკურსი –საზოგადოების მაკონსტრუირებელი ძალა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ დისკურსის იმ თეორიებს, რომლებიც დისკურსს განმარტავენ, როგორც თემატურად ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთიანობას, სადაც კონტექსტი და პრაგმატიკული ასპექტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და სადაც დისკურსი საზოგადოების მაკონსტრუირებელ ძალად განიხილება.

2.1.1 პოლიტიკური დისკურსის თავისებურებები

პოლიტიკური დისკურსი საზოგადოებრივი დისკურსის ერთ-ერთი გავრცელებული და გავლენიანი სახეობაა. ვინაიდან ენა აზროვნების საშუალებაა, აზროვნება და მეტყველება კი პოლიტიკოსის უმთავრესი საქმიანობაა, ნიშნავს, რომ ენა და პოლიტიკური დისკურსი განუყოფელი კომპონენტებია.

პოლიტიკოსების მოქმედების დიდი ნაწილი სწორედ ენას უკავშირდება. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსი არის უწყვეტი ტექსტების ერთიანობა, პოლიტიკოსის ქმედება კი დასახული მიზნის – ძალაუფლების მოპოვებისა და სამოქალაქო განწყობილების შეცვლისაკენ სწრაფვის განხორციელებაა.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია გამოიწვია. მათი საშუალებით თანამედროვე პოლიტიკოსებს შეუძლიათ, მიმართონ არა მხოლოდ მათ ირგვლივ მყოფ მსმენელებს, არამედ საზოგადოების ფართო ფენებსაც, მათ, ვინც საუბრის მომენტში მათთან არ იმყოფება. მსმენელი აუდიტორია გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა. შესაბამისად, პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ მათი დისკურსი, მათი საჯარო გამოსვლები მრავალადრესატზე ორიენტირებული გამხდარიყო და შესაბამის ტექნოლოგიებსა და საზოგადოების ფართო მასების მოთხოვნილებებზე ადაპტირებულიყვნენ, რამაც პოლიტიკური დისკურსის ტრანსფორმაცია განაპირობა.

ტერმინი **პოლიტიკური დისკურსი** ერთ-ერთი კლასიკური მეტყველების ფორმას აღნიშნავს, რომელიც კონკრეტული სფეროს სპეციფიკურ კომუნიკაციის პროცესზე თემატიზირდება, იგი ტექსტის სხვადასხვა სახეობაში რეალიზდება როგორც საზოგადოებრივი დისკურსის ინდივიდუალური ან სოციალური მნიშვნელობის ფორმა.

პოლიტიკური მეტყველება საზოგადოებრივი ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია. საუბრისა და მოსმენის უნარი და მზაობა პოლიტიკოსისათვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია. დემოკრატია მსგავსი

ენობრივი კომუნიკაციის ურთიერთ გაცვლის, დიალოგის და უმრავლესობის ხმის მიცემის (თანხმობის) გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია და უფუნქციო.

პოლიტიკური დისკურსის ფორმები სხვადასხვა ენობრივ რეგისტრში ვლინდება:

1. მოლაპარაკებისა და სარეკლამო ენა საპარლამენტო დისკუსიებში ან საარჩევნო ღონისძიებებში;
2. იდეოლოგიის ენა – პარტიის შეხედულებების გამოხატვა, რომელსაც განეკუთვნება ცნებები : თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, დემოკრატიზაცია, კლასობრივი ბრძოლა, ან სოციალური ვალდებულება;
3. ინსტიტუციონალური ენა , რომელსაც ეკუთვნის ადმინისტრაციული მოწყობა და ფრაქციის მომხსენებლების ტერმინოლოგია – ხმა, საკანონმდებლო პერიოდი, ცნობები ერის მდგომარეობის შესახებ, ფინანსური გათანაბრება;
4. სპეციალიზებული ენა, რომელიც პოლიტიკურ სფეროში ან პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოიყენება და რომლის ლექსემაც, როგორც სახელმწიფო თეორიებს, საშუალოვადიან ან ფინანსურ გეგმებსა და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს მოიცავს.

ამ ენობრივი ფორმების გამოყენება პოლიტიკური გამოსვლებისას მიუთითებს მოსაუბრის კომპეტენტურობაზე, თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ამ ენობრივი თავისებურებების გამოყენების შემთხვევაში პოლიტიკოსის გამოსვლა რთულად გასაგები და აბსტრაქტულია.

პოლიტიკური გამოსვლა ყოველთვის საქმეზე ან ფაქტებზე ორიენტირებული ვერ იქნება, იგი ხშირად მოიცავს ირაციონალურ და ემოციურ კომპონენტებს. ემოციურ შეფერილობას აძლიერებს როგორც გამომსვლელის მიერ გამოყენებული დიალექტური სიტყვები, ასევე, პარალინგვისტური საშუალებები. პოლიტიკურ დისკურსს არ ეკუთვნის აბსოლუტური ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი საუბარიც არ

არის მისი უპირველესი მიზანი. მისი მიზანია დარწმუნება და არგუმენტირება, რაც ამას შეუწყობს ხელს, ის იქნება მთავარი პოლიტიკისთვის და არა თავად ჭეშმარიტება (Owczarek, 2010:22).

2.2 კორპუსლინგვისტიკა და დისკურსის კრიტიკული ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდები

დისკურსის ანალიზი დამოუკიდებელ დისციპლინად 1972-1974 წლებში ჩამოყალიბდა. ტერმინი **დისკურსის ანალიზი** ამერიკელ ლინგვისტს ზ. ჰარისს ეკუთვნის, რომელმაც 1952 წელს ამ ტერმინით მკვიდრი ამერიკული ენების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზისადმი მისი მიდგომა აღწერა.

აღსანიშნავია, რომ დისკურსის ანალიზის რამდენიმე მიდგომა არსებობს, მაგ.:

- **ინტერაქციულ-სოციოლოგიური** – ამ მიდგომის მთავარ ინტერესს ადამიანებს შორის ინტერაქცია – როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს.
- **ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური** – ეს მიდგომა დისკურსის მაკრო და მიკრო სტრუქტურის, ადგილის და დროის გარემოებების ანალიზს ემყარება.
- **ტექსტი და ტექსტურობა** – „ტექსტი“ ნებისმიერი სახის დოკუმენტირებადი ნარატივია, ხოლო „ტექსტურობა“ ტექსტის იმ მახასიათებლების ერთიანობა, რაც მის ლოგიკურ მთლიანობას უზრუნველყოფს.
- დისკურსის ანალიზისადმი კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მიდგომაა **დისკურსის კრიტიკული ანალიზი**⁸ –იგი ტექსტის ლინგვისტიკის და სოციოლინგვისტიკის მიჯნაზე აღმოცენდა. დისკურსის კრიტიკული ანალიზი ძალაუფლებასა და დისკურსს შორის კავშირს იკვლევს, კერძოდ, ის სწავლობს, თუ როგორ ხდება სოციოპოლიტიკურ კონტექსტში

⁸ ინგ. Critical discourse analysis; გერმ. Kritische Diskursanalyse ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ასევე „კრიტიკული დისკურსის ანალიზი“

ძალაუფლების ასახვა, კვლავწარმოება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ტექსტის და საუბრის გზით. მისი მიზანია საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებრივი ასიმეტრიისა (Machtanalyse) და მისი გამოვლენის ფორმების კვლევა. ასევე იკვლიოს ენა, როგორც სოციალური ფენომენი, რომელიც სინამდვილის კონსტრუირებაზე ახდენს ზეგავლენას. ენა და სოციალური რეალობა დიალექტიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს, შესაბამისად, დისკურსის კვლევის მეთოდებიც ეკლექტიკურია და მას მეთოდებისა და თეორიების ჰეტეროგენურობა ახასიათებს (Mautner, 2012 : 83).

თავის მხრივ, არსებობს დისკურსის კრიტიკული ანალიზის სხვადასხვა მიდგომები, მათ შორის ყველაზე გავრცელებული მიდგომაა **ფუკოს მიდგომა**, რომელმაც სხვა მიდგომებს შეუქმნა საფუძველი. ფუკოს ხედვით დისკურსი ყოველთვის ძალაუფლებისა და კონტროლის ინსტრუმენტია და ამ თვალსაზრისით, ყოველთვის პოლიტიკურია. ამიტომ დისკურსის ანალიზი ამ ძალაუფლებრივი ასიმეტრიის საფუძველმდებარე პირობებისა და თანმდევი შედეგების შესწავლის საშუალებაა. ასევე, ცნობილი მიდგომაა **ნორმან ფერკლოუს ტრანსდისციპლინური მიდგომა**, ფერკლოუს თანახმად, დისკურსის კრიტიკული ანალიზის ფოკუსია ურთიერთკავშირი დისკურსსა და სოციალური სტრუქტურის სხვა ელემენტებს შორის, როგორებიცაა ძალაუფლებრივი ასიმეტრია, იდეოლოგია, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური იდენტობები და ა.შ.

რუთ ვოდაკის დისკურსულ-ისტორიული მიდგომა პოლიტიკისა და დისკურსის ურთიერთმიმართებას გულისხმობს, კერძოდ, მას აინტერესებს, თუ როგორ ახდენენ პოლიტიკოსები თვითპრეზენტაციას საჯარო „სცენაზე“ და რა ხდება პოლიტიკურ „კულისებში“. აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ვოდაკი დისკურსულ-ისტორიულ მიდგომას იყენებს, რომელიც პოლიტიკის ლატენტური ძალაუფლებრივი დინამიკის ასახსნელად ისტორიული, ინტერტექსტური წყაროებისა და სოციოპოლიტიკური კონტექსტის შესახებ

ცოდნის ინტეგრირებას ახდენს. ეს მიდგომა სამ განზომილებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ტექსტის მნიშვნელობას განსაზღვრავს: *თემები*, რომლებზეც საუბრობენ ან წერენ; გამოყენებული *დისკურსული სტრატეგიები* და *ლინგვისტური საშუალებები* ამ თემებისა და სტრატეგიების ხორცშესხმისთვის (წულაძე, 2020: 527).

თონ ვან დიკის სოციოპოლიტიკური დისკურსული ანალიზი მიკრო და მაკრო დონეების დაკავშირებას ცდილობს. ენის გამოყენება, ვერბალური კომუნიკაცია და დისკურსი სოციალური წესრიგის მიკრო დონეს განეკუთვნება, სოციალურ ჯგუფებს შორის დომინანტობა, ძალაუფლება და უთანასწორობა კი – მაკრო დონეს.

ე. ფელდერის აზრით, დისკურსის ანალიზი ერთგვარ სამკუთხედზე: **საზოგადოებაზე–ქმედებაზე–ცოდნაზე** ორიენტირებული კვლევებია (Felder, 2012:12). ქმედებაზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზი უკავშირდება **გამონათქვამზე** ან **მთქმელზე** ორიენტირებულ მიდგომას. გამონათქვამზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა კონკრეტული ცნებების, თემის და ფაქტების პერსპექტივა კოსტიტუირდება. რაც შეეხება **მთქმელზე**, მოსაუბრეზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზს, იგი დისკურსის ლინგვისტურ პარადიგმაში ქმედებების ტიპებისა და დისკურსის სტრატეგიების კატეგორიზაციას ახდენს.

დისკურსის ანალიზის, როგორც კვლევის მეთოდის მიმართ არსებობდა მოსაზრება, რომ ძალიან თეორიული და სუბიექტური იყო, განიცდიდა ემპირიის ნაკლებობას და კვლევის შედეგების განზოგადება არ იყო მართებული. კორპუსლინგვისტიკამ კი, რომელიც რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა, ეს საკითხი გადაჭრა.

კორპუსლინგვისტიკა ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულებაა, რომელიც მეცნიერების ორი დარგის, ჰუმანიტარიისა და ინფორმატიკის მიჯნაზე წარმოიშვა. პირველი კორპუსი გასული საუკუნის 60-იან

წლებში შეიქმნა. John Sinclair-ის პროექტმა „English collocation studies“, რომელმაც მეთოდური და თვისებრივად თეორიული საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე კორპუსლინგვისტიკის განვითარებას (Theubert 2012:231).

რა არის კორპუსი? ამასთან დაკავშირებით თავად კორპუსლინგვისტიკის თეორეტიკოსებშიც კი არ არსებობს ერთგვაროვანი შეფასება. ზოგიერთი მას როგორც ლინგვისტიკის კვლევის მეთოდს განიხილავს (ბუბენჰოფერი), ზოგიერთი კი მაგ., მანანა თანდაშვილი და ზაქარია ფურცხვანიძე დამოუკიდებელ დისციპლინად მიიჩნევს. ისინი თავიანთ ერთობლივ ნაშრომში „კორპუსლინგვისტიკა“ კორპუსლინგვისტიკას (corpus linguistics) შემდეგნაირად განმარტავენ: „დარგთაშორისი სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს კორპუსების აგების, მართვისა და გამოყენების მეთოდებს. კორპუსლინგვისტიკის მიზანია ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემური კვლევა“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014:40).

ბუბენჰოფერი/შარლოტის მიხედვით, კორპუსლინგვისტიკა ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის მეთოდია, რომელიც დიდი მოცულობის ავთენტური მასალის მოკლე დროში დამუშავების და კვლევის ჰიპოთეზის გადამოწმების საშუალებას იძლევა (Scharloth/Bubenhofner, 2012:196). მათი აზრით, კორპუსლინგვისტიკის მთავარი უპირატესობებია:

- დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავების შესაძლებლობა;
- არა ცალკეული ტექსტების, არამედ ენის გამოყენების პროცესის შესწავლა ტექსტების ჯგუფებში;
- მისი ემპირიული ხასიათი, კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება, რაც უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა.

თოიბერტი ინტერესდება იმით, თუ რამდენად რელევანტურია სტატისტიკური ინფორმაცია სემანტიკისთვის? თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ კორპუსლინგვისტიკამ დიდი დახმარება გაუწია გამოყენებით ენათმეცნიერებას, შესაძლებელი გახდა დიდი მოცულობის ტექსტების მოკლე დროში მარტივად

დამუშავება. როგორც ვიცით, სიტყვის დამოუკიდებლად შესწავლა კონტექსტის გარეშე შეუძლებელია. მისი მნიშვნელობის სრული გაგება მხოლოდ კონტექსტის დახმარებით არის შესაძლებელი, რაც კორპუსლინგვისტიკის პირობებში საგრძნობლად გამარტივდა (Theubert, 2012:231).

90-იანი წლების შემდეგ კორპუსლინგვისტიკის ინსტრუმენტები უაღრესად სასარგებლო აღმოჩნდა და მისი გამოყენების სიხშირე კვლევებში გაცილებით გაიზარდა. მაგ., კორპუსლინგვისტიკის საფუძველზე განვითარდა კოლოკაციების სისტემური შესწავლა, დიდი მოცულობის ტექსტების საფუძველზე შესაძლებელი გახდა კოლოკაციების გამოყენების სიხშირის განსაზღვრა (Mautner, 2012:83).

კორპუსლინგვისტიკა და კრიტიკული დისკურსის ანალიზი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეთოდებია. ორივე მათგანის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს დისკურსი და ენა გამოყენების პროცესში (Sprachgebrauch). მათი გამოყენება ემპირიული მასალის შედარების ძალიან დიდ მასშტაბებს იძლევა და შედეგი ძალიან სწრაფად ხდება შესამჩნევი.

თავი III - მანიპულაცია - ცნების კატეგორიზაცია და მისი როლი პოლიტიკურ კომუნიკაციაში


3.1 მანიპულაცია - ცნების განმარტება და ტრანსფორმაცია

სიტყვა **მანიპულაცია** ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად გამოიყენება. ეტიმოლოგიურად *Manipulation* მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან (manus „ხელი“ და plere „შესრულება“ (Lay 1977: 17)) და ხელით შესრულებულ საქმეს ნიშნავს. მის პირველად მნიშვნელობას დადებითი კონოტაცია ჰქონდა და „მარჯვე“, „მოხერხებულს“ ნიშნავდა.

სოლომონ თეზელიშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში „**მანიპულაცია**“ შემდეგნაირად არის განმარტებული: ფრ.<manipulation>, ლათ. <manipulus> 1. რთული მოძრაობა ხელით ან ხელებით სამუშაოს შესრულებისას. 2. ხრიკი,

მაქინაცია. 3. საკუთარი თავისთვის ადამიანების სასიკეთო ქცევის უზრუნველყოფა, რომელიც მიიღწევა მათი გონებით მანიპულირების შედეგად (თეზელიშვილი 2007:474).

მე-18 საუკუნეში „მანიპულაცია“ გერმანიაში საფრანგეთიდან მედიცინის გავლით შევიდა. 1945 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ სიტყვამ უარყოფითი დატვირთვა შეიძინა და დღემდე გამოხატავს **სხვებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას** განსაკუთრებით, პოლიტიკაში. გერმანული ენის ციფრულ ლექსიკონში⁹ სიტყვა მანიპულაციის გამოყენების სტატისტიკა წლების მიხედვით მოცემულია N2 დიაგრამაზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ უარყოფით მნიშვნელობასთან ერთად ცნება **მანიპულაციამ** აქტუალურობაც შეიძინა და მისი გამოყენების დინამიკა დღემდე პროგრესულად ვითარდება.



დიაგრამა №2 ტერმინ მანიპულაციის გამოყენების დინამიკა წლების მიხედვით

დღესდღეობით სიტყვა **მანიპულაცია** უმთავრესად პოლიტიკასთან ასოცირდება, თუმცა მისი კვლევა ასევე აქტიურად მიმდინარეობს სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში. **მანიპულაცია** გვესმის ყველგან, თითქმის ყველა საკითხთან მიმართებით. იგი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია, განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მედიაენასა და რეკლამებში. მანიპულაციის ტექნიკების შესახებ იწერება უამრავი სახელმძღვანელო, ასევე,

⁹გერმანული ენის ციფრული ლექსიკონი <https://www.dwds.de/>

იგეგმება სასწავლო სემინარები და ვორკშოპები, თუ როგორ მოვახდინოთ სხვებზე მანიპულირება ან პირიქით, როგორ დავიცვათ თავი მისგან. მას სხვაგვარად „შავ რიტორიკასაც“ უწოდებენ.

მანიპულაციის უამრავი საშუალება არსებობს. მაგ.: ტექნიკური, ფიზიკური, ვიზუალური და ა.შ. თუმცა ჩვენი კვლევის ინტერესს მხოლოდ ენობრივი მანიპულაცია წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მეცნიერის მხრიდან ტერმინის არაერთი განმარტება არსებობს.

თეოდორ ლავანდოვსკი ენის მანიპულირებას შემდეგნაირად განმარტავს:

„ენობრივი მანიპულაცია, გავლენის მოხდენა, აზრის ფორმირება, ქცევის კონტროლი (ძირითადად) გაუცნობიერებელი მოტივაციის ფორმირების გამო შელამაზებული ან დაფარული, გარკვეულწილად, ფაქტების ინტერპრეტაციისა და ემოციონალიზაციის ვერბალიზაციაა, რაც ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალი ამბების ინფორმაციის შერჩევასა და კომბინაციაზე, კონკრეტული ჯგუფის ინტერესიდან გამომდინარე. ჩვეულებრივ, ენობრივი მანიპულაცია არის როგორც ენის მანიპულირება, ასევე მანიპულირება ენის საშუალებით“¹⁰ (Lewandowski 1994: 1036).

მელის (Mel) აზრით, „მანიპულაცია არის ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა ცნობიერების, აზროვნების ჩვევებისა და ემოციური მდგომარეობის მართვის მისაღწევად“¹¹ (Mel in:Lay 1977: 20).

გ. ჰეიდენი (Heyden) მანიპულაციას განმარტავს, როგორც **მმართველობის** ტექნიკას, რაც ნიშნავს, რომ ადამიანები მართულნი არიან „*თანამედროვე*

¹⁰*Sprachmanipulation-Beeinflussung, Meinungsbildung, Steuerung des Verhaltens aufgrund (meist) unbewusste Motivationsbildung durch beschönigende oder verschleiernde, in bestimmter Weise interpretierende und emotionalisierende Versprachlichung von Sachverhalte, die auch mit der Selektion und Kombination von Informationen aus einem vorhandenen Nachrichtenrepertoire im Interesse einer Gruppe verbunden sein kann. Sprachmanipulation ist in der Regel sowohl Manipulation der Sprache als auch Manipulation durch Sprache (Lewandowski 1994: 1036).*

¹¹Wird die Manipulation als „Beeinflussung des Menschen zum Zwecke einer systematischen zielgerichteten Lenkung und Prägung des Bewusstseins, der Denkgewohnheiten, Gefühlslagen definiert). “ (Mel in:Lay 1977: 20).

მეცნიერული უნარებითა და ტექნიკური მეთოდებით მათ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით“ (Heyden in: Lay 1977: 20).

როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, ენის საშუალებით მანიპულირება გაგებულია, როგორც ცნობიერების და აზროვნების მანიპულაცია, რომელიც სხვების ინტერესების სასარგებლოდაა მიმართული, ენა, კი წარმოადგენს მანიპულაციის იდეოლოგიურ ინსტრუმენტს - „ენა მანიპულაციის იარაღია“.

3.1.1 მანიპულაცია პოლიტიკურ დისკურსში, პოლიტიკოსის მთავარი ამოცანა თუ მიზანი

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მანიპულაციის მიზანი ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნებაა. დეა ჯიქია თავის სტატიაში „მანიპულაციის ხერხები: ხელისუფლება და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება“ საუბრობს მანიპულატორის სტრატეგიების შესახებ. მისი განმარტებით, „მანიპულატორი გვკარნახობს საკუთარი ტექსტის ან ქცევის რეალობასთან ისეთ კავშირს, თავს გვახვევს მის ისეთ ახსნას, რომ მოხდეს სინამდვილის შესახებ ჩვენი წარმოდგენის ტრანსფორმაცია მანიპულატორისთვის სასურველი მიმართულებით, მანიპულირებაში მოიაზრება წინასწარ დაგეგმილი შედეგების მისაღწევად ვინმეზე მიზანმიმართული ზემოქმედება. სწორედ ეს არის ადამიანების ქცევის მართვის ტექნოლოგია – საზოგადოებრივი აზრის, მასების მისწრაფებებისა და განწყობების იმგვარად დაპროგრამება, რომლის შედეგადაც მიიღწევა ისეთი ქცევა, როგორც სჭირდება მანიპულირების საშუალებების მფლობელს“ (ჯიქია, 2010).

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ პოლიტიკოსის ამოცანა არა ჭეშმარიტების ქადაგება, არამედ საზოგადოებაზე გავლენის მოპოვება და საზოგადოების ქცევის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ წარმართვაა. **მანიპულაცია კი მიზნების განხორციელების იარაღია**, რომელიც მსმენელის განწყობებსა და მოლოდინებზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ მოსაუბრის საკუთარ ან სხვა, მესამე პირის


ინტერესებზე. შესაბამისად, პოლიტიკურ დისკურსში ცნება – „გავლენა“ (Wirkung) ერთ-ერთი საკვანძო კონცეპტია. პოლიტიკური სუბიექტების წარმატებაზე მაშინ ვსაუბრობთ, როცა მათ შეუძლიათ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა, თუმცა ეს გავლენა არ გულისხმობს მხოლოდ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენას, არამედ გავლენას, რომელიც ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებით იძლევა გრძელვადიან, თანმიმდევრულ ცვლილებას საერთო, კოლექტიურ ცნობიერებაზე. „რამდენადაც დისკურსის თეორიასა და დისკურსის ანალიზს დიდი გავლენა აქვს ცნობიერებაზე, მათ შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ ზემოქმედების კვლევაში“ (Jäger, 2012: 48-50).

ამგვარად, მანიპულაცია თავისი არსით ცალსახად ნეგატიური მოვლენაა, თუმცა საგულისხმოა, რომ მანიპულატორის ინტერესები საგულდაგულოდ არის შეფუთული და იგი მსმენელებს არწმუნებს, რომ მისი მიზნები და სურვილები საზოგადოების მოთხოვნებს შეესაბამება და მათთან თანხვედრაშია, მსგავსს სიტუაციაში კი წინააღმდეგობის გაწევის საჭიროება აღარ არსებობს, საზოგადოება მორჩილია და ადვილად ექცევა ზეგავლენის ქვეშ.

3.1.2 ენობრივი მანიპულაციის არსი

საინტერესოა, თუ რითი განსხვავდება მანიპულაციური კომუნიკაცია სხვა ტიპის სტანდარტული კომუნიკაციისაგან. გერჰარდ ვოლფის აზრით, მათ რამდენიმე მახასიათებელი განასხვავებს ერთმანეთისგან.

ჩვეულებრივი კომუნიკაციის დროს ხდება ინფორმაციის გაცვლა კომუნიკანტებს შორის, რომელთა მიზანი არის გაგებინება, რაც იმისთვის არის საჭირო, რომ შედგეს ურთიერთობა.



დიაგრამა №3 ციკლური საკომუნიკაციო აქტი

სქემაზე ნაჩვენებია ჩვეულებრივი საკომუნიკაციო აქტის პროცესი, სადაც მოლაპარაკე გასცემს შეტყობინებას და ასევე, მსმენელსაც აქვს შესაძლებლობა გასცეს თავისი შეტყობინება, რაც ქმნის კომუნიკაციის უწყვეტ ციკლს. აღნიშნულ პროცესს აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- **სიმეტრიული** (*symmetrisch*) - ფარდობითი თანასწორობა ადრესანტსა და ადრესატს შორის;
- **ციკლური** (*symmetrisch*) – ყველა გამოთქმას მოყვება მსმენელის პასუხი, რაც შემდგომ იწვევს ორივე მხარის განცხადებებს;
- **განვრცობა** (*komplementär*)– მოლაპარაკე და მსმენელი განავრცობენ ერთმანეთს, საკომუნიკაციო აქტი შეიცავს სუბიექტურად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რასაც მსმენელისთვის სიახლის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

მსგავსი კომუნიკაციისგან განსხვავებით, ენობრივი მანიპულაცია, თავის მხრივ, ნიშნავს რაოდენობრივად და თვისობრივად **ასიმეტრიულ, არაციკლურ და შემოკლებულ** (შეზღუდულ) საკომუნიკაციო პროცესს, რომლის დროსაც კომპეტენტური და ჰომოგენური მოსაუბრე დიდი, მაგრამ იერარქიულად დაბლა მდგომი მიმღები აუდიტორიის წინაშე გამოდის (Wolff, 1978: 8).

ვოლფის აზრით, იმისათვის, რომ საზოგადოების აზრებზე ზეგავლენა წარმატებით განხორციელდეს, საკომუნიკაციო პროცესი რამდენიმე პირობას უნდა

აკმაყოფილებდეს. მიზნის მისაღწევად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- მოლაპარაკის განწყობა, რომ ის არაფრით განსხვავდება ინფორმაციის მიმღებისგან (ადრესატისგან);
- ენობრივი საშუალებების საკუთარი ინტერესებისათვის ოსტატურად გამოყენების უნარი;
- მიმღების უუნარობა მოლაპარაკის სურვილებისა და შესაძლებლობის წინაშე.

პოლიტიკურ დისკურსში მანიპულაციის ყველაზე წარმატებული მეთოდი ენობრივი მანიპულაციაა, რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც ენის სამი ძირითადი თვისება განაპირობებს:

- **ვირტუალობა (Virtualität)** – შინაარსის თვითნებური წარმოდგენა: ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ყალბი რეალობა, სასურველი აზროვნება;
- **სქემატურობა (Schematizität)** – მნიშვნელობის გამარტივება მიზნის მისაღწევად, ენა სტანდარტიზებული ხდება საერთო გამოცდილებით;
- **თანმიმდევრულობა (Sukzessivität)** – ცალკეული ნიშნების წრფივი რიგითობა, რაც აღქმასა და წარმოდგენაში სინთეზირებულია, ხოლო ენაში - შესაძლებელია ანალიტიკურად იქნეს გამოხატული.

გ. ვოლფის აზრით, ენა ქმნის ორ განსხვავებულ სამყაროს. პირველი, ეს არის ნამდვილი, ობიექტური, მეორე – წარმოსახვითი, სასურველი ან არასასურველი სამყარო. მაგრამ სიტყვები, საგნები და მოქმედებები არავითარ შემთხვევაში არ არიან ერთმანეთის მსგავსნი, რის საშუალებითაც ენა ჩვენს წარმოდგენებს მხოლოდ სიმბოლურად გამოხატავს. ჩვენ გვაქვს გარკვეული წარმოდგენა იმ ობიექტებზე, რომლებიც ქმნიან ჩვენს რეალობას. როცა ჩვენ საგნებს ვარქმევთ სახელებს, ვაძლევთ მათ სინამდვილის ერთ ფორმას ჩვენი ახსნის საფუძველზე,

რომლებიც სიტყვების საშუალებით ხდება გასაგები საზოგადოებისათვის. ამიტომაც ენა თავად არის მანიპულაციის უშრეტი (Wolff, 1978).

თავის მხრივ, ჯ. ოსტინის სამეტყველო აქტების თეორიაც, რომელიც მან თავის სალექციო მასალაზე დაყრდნობით პირველად 1962 წელს გამოაქვეყნა სახელწოდებით: “How to Do Things with Words”, ხაზს უსვამს ენის მანიპულაციურ ხასიათს. იგი განასხვავებს ლინგვისტური აქტის სამ სახეობას:

- **ლოკუციური აქტი** (*Locutionary act*) – ეს არის რაღაცის თქმის აქტი. მას აქვს მნიშვნელობა და იგი ქმნის გასაგებ გამონათქვამს, რომელიც გადმოიცემა ან გამოიხატება.
- **ილოკუციური აქტი** (*Illocutionary act*) – ის ხორციელდება როგორც რაღაცის თქმის ან როგორც რაღაცის თქმის საწინააღმდეგო ქმედება. ილოკუციურ გამოთქმას აქვს გარკვეული ძალა, იგი არის საკომუნიკაციო აქტის მთავარი მიზანი, რომელიც მთქმელს ამოდრავებს და გამოხატავს მის სუბიექტურ დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ.
- **პერლოკუციური აქტი** (*Perlocutionary act*) – ეს, როგორც წესი, ქმნის აუდიტორიაზე შედეგობრივი გავლენის განცდას. ეფექტი შეიძლება იყოს აზრების, წარმოსახვების, გრძნობების ან ემოციების სახით. ადრესატზე ზემოქმედება არის პერლოკუციური გამონათქვამის მთავარი მახასიათებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ოსტინი ადასტურებს ენის მანიპულაციურ ხასიათს, სამეტყველო აქტების თეორიაში იგი ასევე საუბრობს ენის პერსუაზიულ¹² თვისებებზე. ხშირად, ლიტერატურაში მანიპულაცია და პერსუაზივი სინონიმებადაა მიჩნეული, მაგრამ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გავმიჯნოთ ისინი.

გერჰარდ ვოლფი **პერსუაზივს** განმარტავს, როგორც - ნაწილობრივი და სპორადული (შემთხვევითი) დამაჯერებლობის ტექნიკას, რომელიც გამოიყენება

¹² ლათ. *persuadere* გადარწმუნება, გადაბირება. სრულად იხილეთ გვ 51.

მსმენელის მოსაზრებების და ქცევის წარმართვის მიზნით, სიტუაციიდან გამომდინარე. მისგან განსხვავებით, კი მანიპულაცია, მისი აზრით, არის გლობალური, გრძელვადიანი მოულოდნელობის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ღრმა ცვლილებას, ამასთან, მოსაუბრის რეალური მიზნები რჩება დაფარული (Wolff, 1978).

მანიპულაციისა და პერსუაზივის განსხვავებაზე მსჯელობს ვან დეიკი. იგი განმარტავს, რომ „პერსუაზივის დროს აუდიტორია დამოუკიდებელია და შეუძლია დაიჯეროს, ან არ დაიჯეროს მოსაუბრის ნათქვამი, მაგრამ მანიპულაციის დროს აუდიტორია პასიურ მდგომარეობაშია, წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია და მსმენელი მანიპულაციის მსხვერპლი ხდება“ (Dijk, 2006: 361 in: Black, 2011:43).

წარმატებულ მანიპულირებას აქვს "სისტემის სტაბილიზაციის ეფექტი", იგი აძლიერებს არსებულ ძალთა სტრუქტურებს, ადასტურებს ენის, როგორც დომინირების საშუალებას, აძლიერებს მასების ემოციურობას და ხელს უწყობს მის შემდგომ კონტროლირებას. ცალკეული პროცესის შედეგები, თავის მხრივ, მანიპულირების წინაპირობაა, რადგან იგი მოითხოვს მუდმივ, მექანიკურ განმეორებას, ისინი სტრუქტურულ შეზღუდვას ასრულებენ როგორც გამგზავნისთვის, ასევე მიმღებისთვის (Adressant vs. Adressat).

ამრიგად, მანიპულირება მიზნად ისახავს კომუნიკაციური პროცესების სრულად დაუფლებას, რომელიც დაფუძნებულია წინასწარ ჩაფიქრებული, შორს მიმავალი გეგმის რეალიზებაზე.

3.1.3 ენობრივი მანიპულაციის ტექნიკები და მეთოდები

საზოგადოების ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად მანიპულაციის არაერთი საშუალება არსებობს, მაგალითად, ფსიქოლოგიური, ტექნიკურ-მატერიალური, ვიზუალური და ა.შ. თუმცა ჩვენი კვლევის ინტერესს ენობრივი მანიპულაცია წარმოადგენს და შესაბამისად, შევეცდებით ენობრივი მანიპულაციის სრატეგიები და მეთოდები უფრო დეტალურად განვიხილოთ.

გერჰარდ ვოლფი თავის ნაშრომში „ენობრივი მანიპულაცია“ (Sprachmanipulation) გამოყოფს ენობრივი მანიპულაციის სამ დონეს:

1. მანიპულაცია სიტყვის დონეზე;
2. მანიპულაცია წინადადების დონეზე;
3. მანიპულაცია ტექსტის დონეზე.

სიტყვის (სემანტიკის) დონეზე მანიპულაციის ენობრივი საშუალებები მოიცავს აგრეგირებულ სიმბოლოებს, სლოგანებს, კლიშეებს, ზედსართავი სახელების აღმატებით ან პოლარიზებულ შედარების ფორმებს, როგორებიცაა: საშიში, ბუნდოვანი, უფრო მეტი, უფრო მდიდარი და ა.შ.

წინადადების (სინტაქსის) დონეზე მანიპულაცია გულისხმობს ფრაზეოლოგიურ-იდიომურ გამონათქვამებს, იდეოლოგიებს, პრესუპოზიციას, შეფასებით-გამომხატველ სიტყვებს. მაგ.: *თავისუფლება, კეთილდღეობა, დემოკრატია, ე.წ. ცარიელი ფორმები (Leerformen)*. აგრეთვე ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც დაუყოვნებლივ შედეგს იძლევა, მაგ.: *ჩვენ, ყველამ ვიცით, რომ; ჩვენ ყველა ვეკუთვნით...; უმრავლესობა ვთანხმდებით; არავინ არის წინააღმდეგი*. მსგავსი გამონათქვამები, განსაკუთრებით ასიმეტრიული კომუნიკაციის დროს, დიდ გავლენას ახდენს მსმენელზე.

რაც შეეხება **ტექსტის დონეს (ფუნქციური/ინტენციონალი)**, აქ ვოლფი გულისხმობს სხვადასხვა სტრატეგიებს, მაგალითად საკუთარი შეხედულებების ისე წარმოჩენას, თითქოს ეს მსმენელის ინტერესსაც წარმოადგენდეს, ასევე, მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია, ან მოწინააღმდეგის იდეებთან დაახლოების ისეთი სტრატეგია, თითქოს მოწინააღმდეგის სასარგებლოდ საუბრობდეს, სინამდვილეში კი მხარდაჭერას თვითონ მოსაუბრე იღებდეს (Wolf 1978:13-16).

თავის მხრივ, ენობრივი მანიპულაციის მეთოდებსა და ტექნიკებზე საუბრობს რუპერტ ლეიცი, რომელიც თვლის, რომ მანიპულაციის მეთოდები ნეიტრალურია და არ არსებობს თავისთავად დადებითი ან უარყოფითი მეთოდი. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით მიზნების მისაღწევად.

1. **რიცხვებისა და სტატისტიკის გამოყენება** – ამ მეთოდის გამოყენების დროს მსმენელი უძლურია მყისიერად გადაამოწმოს იმ ციფრების სიზუსტე, რომელსაც მანიპულატორი იყენებს და იძულებულია მიიღოს იმგვარი ინფორმაცია, როგორსაც სთავაზობენ.

2. **აბსტრაქტული სიტყვები/შეფასებითი სემანტიკის სიტყვები**, რომლებიც ბუნებაში არ არსებობს, ხშირად ხდება იდეოლოგიის იარაღი. მაგ.: თავისუფლება, ლიბერალიზმი, თანასწორობა და კეთილდღეობა სხვა.

3. **გამეორება** – იდეოლოგიის შელამაზების კარგი საშუალებაა, მსგავსი გამეორების შედეგად ნათქვამში ინდივიდუალურობა გაბუნდოვანდება და იქმნება კოლექტიური სტილი. ინფორმაციის სიხშირე არაცნობიერზე გავლენას ახდენს. ერთხელ ნათქვამი შეიძლება მსმენელს გამორჩეს, უყურადღებოდ დარჩეს, მაგრამ თუ მას მოისმენს რამდენჯერმე, როგორი რთულად აღქმადი და გაუგებარიც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად დაიმახსოვრებს.

4. **ავტორიტეტების ციტირება** – ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების მოხმობა, ციტირება. ცნობილი ისტორიული ფაქტების გახსენება ემოციურ ზემოქმედებას იწვევს.

5. **ობიექტის გადატვირთვა** – მანიპულაციის ერთ-ერთი მეთოდია მსმენელის გადატვირთვა ჭარბი ინფორმაციით, ფაქტებით, რიცხვებით. არა პირდაპირი მიზნის გამოცხადება, არამედ სხვა დამატებითი მიზნების მოფიქრება. მაგ., სამხედრო მიზნები რეგიონზე – უმცირესობების უფლების დაცვა (რუსეთი) ან სამყაროს დიდი საშიშროებიდან გადარჩენა (ტერორიზმი) (lay, 1999:12).

6. **ქაოსის შექმნა** – ქაოსი, რომელსაც ნაკლები გავლენა აქვს, საერთო ჯამში უფრო მომგებიანია, ვიდრე დიდი გავლენა ქაოსის გარეშე *Chaos mit geringer Beeinflussung hat enorme Vorteile gegenüber der Methode "starke Beeinflussung ohne chaos"*, ვინაიდან ქაოსში:

- მიზანი არ არის ნათელი;

- მოქმედებები უკონტროლოა;
- შეცდომების მიმართ საზოგადოება ტოლერანტულია;
- სადაც მიზანი ნათელი არ არის, იქ არც მოწინააღმდეგე რ არის (lay, 1999:14)

7. **დეზინფორმაცია** - მიზანმიმართული არასწორი ინფორმაცია, მიზანმიმართული დისკრედიტაცია. ასევე დაუსაბუთებელი ბრალდება და ცილისწამება.

8. **ცრურწმენები** - მანიპულაციის საშუალებაა აგრეთვე წინასწარი, გაბატონებული შეხედულებები. ყველა გამომსვლელი იქნება შესაფერისად დაფასებული, თუ ისინი მსმენელის შეხედულებებს დაადასტურებენ, დაამოწმებენ. ეს ტექნიკა ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტექნიკაა.

9. **ნაციონალური სტერეოტიპები** - სტერეოტიპები მართავენ ადამიანის დამოკიდებულებებს, ისინი წარმოადგენენ აზროვნების ნიმუშებს, ამარტივებენ აღქმის პროცესს და ამასთანავე ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციას:

- არსებული სამყარო შემცირების საშუალებით მარტივი ხდება.
- მათ აქვთ დაცვითი ფუნქცია - იგი ჩვენი ტრადიციების ბირთვია, რის მეშვეობითაც „*იცავენ ჩვენს პოზიციას საზოგადოებაში*“ (*unser Stellung in der Gesellschaft verteidigen* (Mikotajczyk 2004:15).

10. **უიმედობა** – უიმედო სიტუაციაში ადვილია მანიპულირება, ვინაიდან უიმედოს არ აქვს მიზანი და არ ცდილობს ძალისხმევა გამოიჩინოს, უიმედო საზოგადოება ნაკლებად რეზისტენტულია და შესაბამისად, ადვილად ემორჩილება ლიდერს, არ გააჩნია საკუთარი მიზნები, რაც მანიპულირებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

11. **საზოგადოების მოთხოვნილებებზე ფოკუსირება** - მანიპულატორის გამოსვლა არსებულ მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს. მოთხოვნილებებზე აქცენტირება ძალიან დიდ კმაყოფილებას იწვევს. მაგ. *ფიზიოლოგიური* მოთხოვნილებები - საკვები, წყალი; ასევე, მნიშვნელოვანია *სოციალური* -

ყურადღება, ზრუნვა და უსაფრთხოების მოთხოვნები - მტრისგან, სილატაკისგან, ავადმყოფობისგან დაცვა. თუ ეს მოთხოვნები ვერ კმაყოფილდება, მაშინ ირღვევა ადამიანის ფსიქიკის რეგულაცია. სოციალური აღიარება, (პატივის ცემა) შექება, ყურადღება - თითოეული მათგანი იძლევა მანიპულირების საშუალებას, მოთხოვნილება თუ არ არსებობს, მანიპულატორი წააქეზებს მის გაღვივებას. ეს მეთოდი პოლიტიკაში **პოპულიზმის**¹³ ფორმით ვლინდება. პოპულიზმის იდეა უბრალო ხალხის თემებით მანიპულირებაა. მიიჩნევა, რომ ხალხის ინტერესებზე აპელირება პოლიტიკოსების მხრიდან არ არის გულწრფელი და აქედან გამომდინარე, ტერმინს **პოპულიზმი** ნეგატიური კონოტაცია აქვს.

12. პირველი დეფინიცია - განსაკუთრებით გამოკვეთილად დასამახსოვრებელია პირველი დეფინიცია, იგი მეხსიერებაში კრისტალიზდება და მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს, რომელიც სამომავლო ინფორმაციის ორგანიზებას უწყობს ხელს და ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ის ადვილად გასაგებია, ცნობიერებას გამოკვეთს და შეუძლია მოქმედების დიდი მოტივიცია გამოიწვიოს. პოლიტიკაში სიტყვის პირველად გამოყენებას, მისაკუთრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. *„ვინც ასახელებს საგნებს, ფლობს მათ. განმარტებები ქმნიან „რეალობას“ (Wer die Dinge benennt, beherrscht sie. Definitionen schaffen „Realitäten“ (Greiffenhagen, 1980:13).* ცნების მისაკუთრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის განსაზღვრის დროს, როცა პარტია ცდილობს თავისი ნიშა დაიკავოს პოლიტიკურ წრეებში. მაგ., *ევროპული საქართველო ან პროდასავლური ღირებულებები.*

¹³ „პოპულიზმი“ ეგრეთ წოდებული რელაციური (ფარდობითი) ტერმინია. სუბსტანციური ტერმინებისგან განსხვავებით, რომლებიც ერთგვარია და ონტოლოგიური ან ფენომენოლოგიური დამოუკიდებლობას გულისხმობს, რელაციური ტერმინები მუდმივად ცვალებადია. ძირითადი იდეოლოგიებისგან განსხვავებით, როგორცაა ლიბერალიზმი ან კომუნიზმი, პოპულიზმი ყოველთვის ახალ, ცვალებად სისტემებზე აკეთებს ფოკუსირებას. Priester 2012, 3 in Scharloth 2017)

13. კოლექტიური სიმბოლო – ენობრივი მანიპულაციის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია კოლექტიური სიმბოლოს გამოყენება. პოლიტიკაში ენა წარმოადგენს ერთიანობის სიმბოლოს ისეთ სიმბოლოებთან ერთად, როგორებიცაა მაგ., ისტორია და კულტურა. ენისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთკავშირის საშუალებით ენა იდენტობის მთავარ იარაღად იქცევა. ამიტომაც, დიკმანის აზრით, მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდეს. „ვინც ჩემსავით საუბრობს, მე მგავს (ჩემი თანასწორია). ისე ფიქრობს, როგორც მე და ისე იქცევა, როგორც მე“ (*Wer so spricht wie ich, zu mir gehört, so denkt wie ich und sich so verhält wie ich* (Dieckmann, 1969:32).

კოლექტიურ სიმბოლოს იურგენ ლინკი (Jürgen Link) „ე. წ. კულტურული იმიჯის მთლიანობას“ (*die Gesamtheit der sogenannten "Bildlichkeit" einer Kultur*) უწოდებს და გამოყოფს იმ მახასიათებლებს, რაც მისი მანიულირების თვისებას განაპირობებს:

- იგი ვიზუალურ წარმოდგენას ექვემდებარება. ადვილია მისი წარმოდგენა (ხატის შექმნა);
- კოლექტიური სიმბოლოები პოლისემიურია და ბუნდოვანი;
- კოლექტიურ სიმბოლოები აგრძელებენ მოყოლას, აგრძელებენ ინფორმაციას. როცა ჩვენ ერთ-ერთ სიმბოლოს ვხედავთ ან გვესმის, ის იწვევს სხვა სიმბოლოების გახსენებას, გარკვეულ ასოციაციას;
- კოლექტიური სიმბოლო აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის ანალოგიის დამოკიდებულების საშუალებას იძლევა (Link1992a:69 in:Jäger 2012:52).

როგორც ცნობილია, გარდა დესკრიპციული მნიშვნელობისა ენას ემოციონალური მნიშვნელობაც გააჩნია. ვალტერ დიკმანი თავის ნაწარმოებში „ენა პოლიტიკაში“ ასახელებს იმ რამდენიმე მეთოდს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადოების განწყობებზე ზემოქმედება. ამ დროს გასათვალისწინებელია:

- სიმბოლოს რა გამოხმაურება ექნება ტექსტში (attantio);

- რა ღირებულ მოსაზრებას დაუკავშირებს მოსაზრე ამ სიტყვას (direction);
- რა იქნება ხაზგასმული სიტყვაში (intensity).

მანიპულაციის ტექნიკებია აგრეთვე:

- ინფორმაციის არასრული მიწოდება, როცა ჩვენს ნაკლს ვფარავთ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ ვეფლობით მანიპულაციის სამყაროში.
- ინფორმაციის ნეგატიური ასპექტების წინა პლანზე წამოწევა
- არასწორი/არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ფაქტებს არ ეყრდნობა (Fehler oder übermittlung) – ინფორმაციის გადაცემისას დაშვებული შეცდომა; ამ ტექნიკის ყველაზე ცნობილი მაგალითია ე.წ. „ემსის დეპეშა“ იგივე „ბისმარკის დეპეშა“¹⁴.

მანიპულაცია გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ობიექტი თვლის, რომ მანიპულატორის მიზანი მისი მიზანიცაა, ეს უკანასკნელი მანიპულაციის მიზანს ვერ ხვდება და მანიპულატორის აღქმა შეუძლებელია.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენა მანიპულაციის განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა. წარმატებული, ეფექტური მანიპულაციისთვის სწორად შერჩეულ მეთოდსა და სიტყვას, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.


3.2 პერსუაზივი, როგორც ენობრივი მანიპულაციის ერთ-ერთი საშუალება

უკვე აღვნიშნეთ, რომ მანიპულაცია და პერსუაზივი ერთმანეთისგან განსხვავდება და მათი ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია. მათ შორის განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ მანიპულაცია გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი, ხოლო პერსუაზივი სპორადულია და სიტუაციიდან გამომდინარეობს.

¹⁴ 1870 წელს ესპანეთის ვაკანტური სამეფო ტახტის დასაკავებლად, პრუსიელებმა პრინც ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენის კანდიდატურა წამოაყენეს, რაც ნაპოლეონ მესამემ შეურაცხყოფად მიიღო და პროტესტის გამოსახატავად მეფე ვილჰელმ I-ის წინაშე საფრანგეთის ელჩი პრუსიაში ვენსან ბენედეტი მიავლინა. პრუსიელებმა ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნის კანდიდატურაზე უარი თქვეს. შეხვედრის აღმწერი დეპეშა ოთო ფონ ბისმარკმა გადააკეთა, თუმცა შინაარსი იგივე დატოვა, ფორმა შეუცვალა და შეამოკლა, აღნიშნული დეპეშა პრუსია-საფრანგეთის ომის მიზეზი გახდა.

თუმცა მიგვაჩნია, რომ ვინაიდან მანიპულაციის მისაღწევად მოკლევადიანი ღონისძიებები გრძელვადიანი ეფექტის მოსახდენად ძალიან მნიშვნელოვანია და იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად მიმდინარეობს, პერსუაზივი, როგორც მოკლევადიანი დარწმუნების ტექნიკა, ხელს უწყობს მანიპულაციის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ენობრივი მანიპულაციის მეთოდები ორი მიმართულებით შეიძლება დაიყოს. ერთი მხრივ, საკუთრივ მანიპულაციის მეთოდები და მეორე მხრივ, პერსუაზიული მეთოდები, რომლებიც მანიპულაციის მიზნით გამოიყენება.



დიაგრამა № 4

ტერმინი პერსუაზივი ლათინური სიტყვიდან *Persuassion* მომდინარეობს და ნიშნავს სხვების საკუთარი იდეების სასარგებლოდ გადაბირებას, დარწმუნებას.

პერსუაზიული კომუნიკაციის შესწავლის ისტორიული საწყისები ანტიკური რიტორიკიდან მოდის. მეოცე საუკუნის 40-50 - იანი წლებიდან ეს ფენომენი შეისწავლება სოციალური ფსიქოლოგიის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიის ჩარჩოებში. ლინგვისტური მეცნიერება პერსუაზივს განიხილავდა, როგორც სამეტყველო მაკროაქტს.

პერსუაზივი განიხილება სტილისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ჩარჩოებშიც, ასევე სამეტყველო ზემოქმედების კვლევის არეალში.

აქამდე არსებული კვლევების მიხედვით, არსებობს პერსუაზივის შემდეგი ტიპები:

1. ფსიქოლოგიური (პირისპირ) მოკლევადიანი ეფექტი;
2. სოციოლოგიური - ვიზუალური ტექნიკის საშუალებით;
3. კომუნიკაციაზე ორიენტირებული კვლევა (ორ ადამიანს შორის კომუნიკაცია ან ბევრი ადრესატის მქონე კომუნიკაცია).

სწორედ კომუნიკაციაზე ორიენტირებული პერსუაზივი წარმოადგენს ჩვენი კვლევის ინტერესს.

ჰადუმოდ ბუსმანის (Hadumod Bußmann) განმარტებით, პერსუაზივი წარმოადგენს *„იმ ენობრივი ქმედების დამახასიათებელ თვისებას, რომლის საშუალებითაც ადრესატი მისი ფაქტობრივი წინააღმდეგობის მიუხედავად დარწმუნდება, რომ უნდა განახორციელოს ესა თუ ის ქმედება“*¹⁵ (Bußmann 2002: 508 in: Makovski:16).

ჯ. კლაინის შეფასებით, პერსუაზივს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ მმართველობაში, სადაც ძალაუფლებას დროებით და საჯარო კონკურენციის პირობებში ეუფლებიან: *„პოლიტიკურ მეტყველებას და წერას აქვს გადაჭარბებულად სარეკლამო და პერსუაზიული ხასიათი - მათთვის, ვისაც „აქვთ ძალაუფლება“; ვისაც „სურთ ჰქონდეთ ძალაუფლება“ ან მათთვის, ვისაც სურთ მხოლოდ ძალის აღსრულება“*¹⁶ (Klein, 2019: 13).

მისივე შეფასებით, პერსუაზივი შეიძლება მხოლოდ ენის საშუალებით განხორციელდეს, იგი არამხოლოდ აზრებისა და შეხედულებების გადაცემისა და დაწმუნების საშუალებაა, არამედ, ადრესატების მიერ ქმედების განხორციელებისაკენ მოტივირება და შემდგომ ქმედების გამოწვევა.

ამავე მოსაზრებას იზიარებს ლავანდოვსკიც, რომელიც თვლის, რომ პერსუაზივი მხოლოდ მედიაციისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალება არ

¹⁵ *Eigenschaft einer sprachlichen Handlung, durch die der Adressat gegen seinen tatsächlichen oder angenommenen Widerstand von einer Meinung überzeugt oder zu einer Handlung veranlasst werden soll). (Bußmann 2002: 508 in: Makovski:16).*

¹⁶ *politisches Reden und Schreiben überwiegend werbenden, persuasiven Charakter – sowohl bei denen, die ‚an der Macht sind‘, als auch bei denen, die ‚an die Macht wollen‘ oder die lediglich auf punktuellen Durchsetzen zielen (Klein 2019: 13).*

არის, იგი არის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ფიქრებზე, წარმოდგენებსა და ქმედებაზე (Lawandowski, 1994).

ამერიკელი ფსიქოლოგის, კარლ ჰოვლენდის თანახმად, იმისთვის, რომ პერსუაზივმა შედეგი გამოიღოს, უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები:

1. შეხედულების ცვლილება (Veränderung der Meinung);
2. დამოკიდებულების ცვლილება (Veränderung der Haltung);
3. ქცევის ცვლილება (Veränderung der Verhaltens).

წარმატებულ პერსუაზივზე მაშინ ვსაუბრობთ, თუ სამივე მათგანი შესრულდება (C.I.Hovland in: Mikotajczyk, 2004).

პოლიტიკური ტექსტები, კომენტარი, ინტერვიუ, სტატიები, დებატები, საარჩევნო პროგრამები, თავის მხრივ, ყველა ეტაპზე მოიცავს პერსუაზივს და საქმე გვაქვს ენის პერსუაზიულ ფუნქციასთან. პოლიტიკურ ტექსტებში აშკარაა, რომ რეციპიენტი მსმენელს რაიმე კონკრეტული ქმედების ჩადენისკენ უბიძგებს და პერსუაზიული სტრატეგიები მეტად თუ ნაკლებად არის შესამჩნევი, ტრანსფარირებული. მოქალაქისთვის უკვე ნათელია ტექსტის მიზანი.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური კომუნიკაციის მიზანი პოლიტიკის გასაჯაროება, პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმაცია და ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებაა, ამიტომაც პოლიტიკური აქტორებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია პერსუაზივის ენობრივი საშუალებების სტრატეგიული გამოყენება.

3.2.1 პერსუაზივის ენობრივი საშუალებები

როგორც პერსუაზივის განმარტებებიდან ჩანს, იგი ცალსახად ენობრივი მოვლენაა, მაგრამ საინტერესოა, რომელ ენობრივ საშუალებებს გააჩნიათ პერსუაზიული თვისებები.

ჩარტერის ბლეკის თანახმად, დიდი პერსუაზიული უნარი გააჩნიათ ბიბლიურ ალუზიებს და ანეკდოტებს, თუმცა განსაკუთრებით წარმატებულ

შედეგს იძლევა სტილისტური საშუალებები: მეტაფორა, ევფემიზმი, ირონია და სხვა.

მეტაფორა – მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი საშუალებაა. მეტაფორის თეორიის გადატრიალება 1980-იანი წლების დასაწყისში ლაკოფ/ჯონსონის თეორიის conceptual Metaphor Theory საფუძველზე მოხდა. ნაშრომში მეტაფორა განიხილება არამხოლოდ როგორც ენობრივი ელემენტი, არამედ, ასევე, შემეცნებისა და აზროვნების საშუალება. *„მეტაფორები არამარტო ენის, არამედ ასევე აზროვნებისა და შემეცნების ელემენტებია, რომლებზე უარის თქმაც შეუძლებელია“ (Metaphern sind nicht nur Elemente der Sprache, sondern des Denkens, der Kognition eines Denkens, das auf die Imagination nicht verzichten kann (Lakoff/Johnson, 2017:11).*

მეტაფორა, ბლეკის აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ლიდერებისთვის, რადგან იგი ცნობიერსა და არაცნობიერს შორის მედიაციის საშუალებაა. მას აქვს განუსაზღვრელი პოტენციალი პერსუაზივისა, ვინაიდან ის ჩვენს შეხედულებებზე, რწმენასა და ღირებულებებზე ახდენს გავლენას, მისი საშუალებით არაცნობიერი ემოციური ასოციაციები აქტიურდება (Black, 2011:98).

მეტაფორის სემანტიკურ და პრაგმატიკულ მნიშვნელობაზე არაერთი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ვინაიდან სემანტიკა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობას, ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთდამოკიდებულებას იკვლევს, იგი პოლიტიკურ დისკურსში აშკარა პრაგმატული დანიშნულებით გამოიყენება და, შესაბამისად, განეკუთვნება პრაგმატიკის სფეროს, ანუ სფეროს, რომელიც იკვლევს დამოკიდებულებას ნიშნიდან ინტერპრეტატორამდე როგორ, რა მიზნით, გამოიყენება სიტყვა და რა გავლენა აქვს მას. ითვალისწინებს დეიქსისს, იმპლიკაციას, პრესუპოზიციას და კონვერსაციის სტრუქტურებს, იგი იკვლევს მიმართებას ენასა და კონტექსტს შორის (Levinson, 1983:31).

ლინგვისტიკაში მეტაფორის უამრავი ფუნქცია არსებობს, თუმცა მისი ფუნქციები მეტწილად დისკურსის ტიპზე, ტექსტისა და კონტექსტის

აგებულებაზეა დამოკიდებული. ლაკოფ /ჯონსონის აზრით, კოგნიტურ მეტაფორას ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, რომელიც კონტექსტზეა დამოკიდებული: დაფარვისა და წინა პლანზე წამოწევის ფუნქცია - Die Funktion der Verbergung und der Hervorhebung ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. როცა რამეს ვფარავთ, იქვე ვცდილობთ რაღაცის წინა პლანზე წამოწევას (Lakoff/Johnson. 2017:264).

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორა არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან ცნებას, იგი მსმენელმა შეიძლება ისე ვერ გაიგოს, როგორაც მთქმელი გულისმობს. მანიპულაციის პროცესი არ ხასიათდება მხოლოდ მეტაფორის გამოყენებით, არამედ თავად მეტაფორა არის მანიპულაციის სუბიექტი, რადგან ის კონკრეტული ინფორმაციის ასოციაციას იწვევს, რომელიც საზოგადოებისთვის ნაცნობი და ახლობელია.

ევფემიზმი – მანიპულირების მიზნით ევფემიზმების გამოყენება არ არის ახალი და იგი განსაკუთრებით აქტუალური ნაციონალისტური რეჟიმის პერიოდიდან გახდა. ევფემიზმი ლათ. Euphemismus ლამაზ საუბარს, შელამაზებას ნიშნავს, იგი, ერთი მხრივ, რიტორიკის შემადგენელი ნაწილია, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ერთიანობაზე ახდენს გავლენას და ტაბუს კომპენსირებას წარმოადგენს, სტილისტიკურ-სემანტიკურ ასპექტს ეყრდნობა და გამონათქვამისა და მისი ჩანაცვლების ანუ ნათქვამისა და მოაზრებულის ურთიერთდამოკიდებულებას აღნიშნავს.

ცოლნერი ევფემიზმის ოთხ ფუნქციას გამოყოფს: შერბილების, შელამაზების, შეფუთვისა და შენიღბვის (mildernde, beschönigende, hüllende und eine verschleiernde Funktion) (Zollner, 1997: 94).

შელამაზების ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ევფემიზმი საზოგადოებრივ ტაბუზე გვერდის ავლის საშუალებას იძლევა, ან არასასიამოვნო მოვლენის ნაკლებად მტკივნეულად აღქმას ემსახურება. მაგ.: **არ არის კარგი** ნაცვლად **ცუდია** ან **Nulwachstum** (ნულოვანი ზრდა) სტაგნაციის ნაცვლად. შენიღბვის ფუნქცია კი

იმისკენ არის მიმართული, მსმენელის ყურადღება კონკრეტული ფაქტიდან სხვა მიმართულებით წარმართოს. მაგ. **Endlösung** (საკითხის საბოლოო გადაჭრა) ებრაელებთან მიმართებით გამოყენებული ყველაზე ცნობილი ევფემიზმია.

ევფემიზმი, როგორც ტაბუ, დროსთან ფარდობითია და საზოგადოებაზეა მიბმული. მისი გადატანა ერთი საზოგადოებიდან მეორეში შეუძლებელია. იგი იმავე საზოგადოებაში უნდა განიხილოს, რომელშიც შეიქმნა. (Leinfeller, 1971:10 in Zollner 1997:109).

გამონათქვამის საერთო მნიშვნელობა კონტექსტში მხოლოდ პრაგმატიკის და სემანტიკის გათვალისწინებით შეიძლება გახდეს გასაგები. ეს ასევე ეხება, რა თქმა უნდა, ევფემიზმსაც. ვინაიდან მხოლოდ სიტყვისა და საგნის ურთიერთმიმართების გაგება ვერ ახსნის ევფემიზმის მნიშვნელობას. პრაგმატიკის დახმარებით შეიძლება აიხსნას სიტყვის მიზანი, საფუძველი და გავლენა. კონკრეტული სიტუაცია რომ სათანადოდ აიხსნას, საჭიროა როგორც სემანტიკური, ასევე, პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინება (Zollner, 1997:114).

პერსუაზიული ფუნქცია აქვთ აგრეთვე **პერფორმატიულ ზმნებს**. ისინი პერსუაზიული ფუნქციის თვალსაჩინო მაგალითია, ვინაიდან მათი გამოყენების შემთხვევაში ქმედება, რომელზეც გამომსვლელი საუბრობს, უკვე შესრულებულია. მაგ. **გთხოვთ, გპირდებით, ვიმედოვნებ** და ა.შ. (Austin, 1956).

პოლიტიკისთვის დამახასიათებელია **სიტყვების/ლექსიკის პოლარიზება**. მაგ. ჩვენ და სხვები; მტერი-მეგობარი. თუმცა ეს არ ეხება მარტო ლექსიკურ ერთეულებს, საკუთარი მიზნის მისაღწევად პოლიტიკოსმა შეიძლება განსაკუთრებულ დიქოტომიაზე დაყრდნობით შექმნას პოლარიზებული წარმოსახვითი სამყარო. ასეთი აქსიოლოგიური მახასიათებელი მსმენელში იწვევს ემოციურ განწყობას.

პერსუაზივის მექანიზმებია ასევე, **გამარტივება** და **განზოგადება** (Vereinfachung – Generalisierung);

მარტენ ჰაიკოს აზრით, დიდი პერსუაზიული ძალა გაჩნიათ კომპოზიტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია თემატური ფაქტების კონკრეტული თვისებების წინა პლანზე წამოწევა. ამა თუ იმ პარტიისთვის დამახასიათებელი თვისების უკვე ნაცნობ ცნებასთან გაერთიანება, საერთო ჯამში, დიდ გავლენას ახდენს ძველი ცოდნის საფუძველზე. მაგ., „თავისუფალ-დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატები“ და ა.შ. (Haiko, 2016).

აქდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსაუბრის მიზნების მისაღწევად და საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, მანიპულაციის სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად პერსუაზიული საშუალებებიც წამატებულ შედეგს იძლევა.

3.3 ფრეიმინგი – ცნებები ქმნიან რეალობას

საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის ერთ-ერთი გავრცელებული, თუმცა შედარებით ახალი საშუალება არის ფრეიმინგი, რომელიც კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის ობიექტს განეკუთვნება. ელიზაბეტ ველინგი ფრეიმინგს შემდეგნაირად განმარტვას: „როცა ჩვენი ტვინი ახერხებს ჩაწვდეს სიტყვებს ან იდეებს, ჩვენს ტვინში აქტიურდება მნიშვნელობის ჩარჩოები, რასაც კოგნიტურ ლინგვისტიკაში ფრეიმები ჰქვია“ (Wehling, 2016: 28). მისი აზრით, „სიტყვებს - უფრო სწორად, სიტყვის საშუალებით გამოხმობილ ფრეიმებს მყარი ძალა აქვთ და მოქმედებს არა მხოლოდ ჩვენს აზროვნებასა და აღქმაზე, არამედ ჩვენს მოქმედებებზეც“ (Wehling, 2016: 37).

ფრეიმები ტვინში ენის საშუალებით აქტიურდებიან. ისინი აწესრიგებენ ინფორმაციის მიღებას ჩვენს ფიზიკურ გამოცდილებასა და დაგროვილ ცოდნას სამყაროს შესახებ. ფრეიმები ყოველთვის შერჩევითია. ისინი კონკრეტულ ფაქტებსა და რეალობას წინა პლანზე წამოწევენ და ზოგ ინფორმაციას ფარავენ. ფრეიმები ენის საშუალებით აფასებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ

ინფორმაციას, აქტიურდებიან ადამიანის ტვინში. ისინი უძღვებიან ადამიანის აზროვნებას და ქმედებას, თუმცა ეს გაუცნობიერებელი რჩება.

სიტყვებს რომ ჩავწვდეთ, ამისათვის ჩვენი ტვინი ააქტიურებს ჩვენს მეხსიერებაში დალექილი ცოდნის მარაგს, მაგ.: სუნი, ხმაური, გრძნობები ან ვიზუალური გახსენება (წარმოდგენა რაღაც სიტუაციის). ეს საგნები ლინგვისტურ კონცეპტებზე მნიშვნელობის მისანიჭებლად სიმულირებენ. ადამიანები გადაწყვეტილებებს არა ფაქტებზე, არამედ შინაარსიან ჩარჩოებზე დაყრდნობით იღებენ (*Sinngebende Frames*). ჩვენი აზროვნების მხოლოდ ორი პროცენტია გააზრებული, გაცნობიერებული. ველინგის აზრით, პირი, რომელიც ოპოზიციაშია ვინმესთან, ის ორმაგად არის დაზარალებული, მან უნდა შეძლოს საკუთარი შეხედულებების გაზიარება, ასევე მოწინააღმდეგის გაკრიტიკება, რა დროსაც ძალაუნებურად მოცდება საკუთარი იდეების არგუმენტირებას და პროპაგანდას უწევს მოწინააღმდეგეს. ავტორის აზრით, იდეების უარყოფა იწვევს მის გააქტიურებას და ხელს უწყობს პროპაგანდას. „ფრეიმის უარყოფა ყოველთვის გულისხმობს მის გააქტიურებას, ასევე, ნეირონების გაძლიერებას“ (*Eine Frame zu negieren bedeutet immer, Ihn zu aktivieren, zugleich sie neuronal zu stärken* (Wehling, 2016: 52).

2015 წლიდან გერმანიაში ლტოლვილებისა და მიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად გააქტიურდა ფრეიმები: unser Land ist ein Boot auf hoher See (ჩვენი ქვეყანა არის ნავი ადელვებულ ზღვაზე. ასევე, eine Welle, eine Flut, Tsunami, Storm (ტალღა, მოქცევა, ცუნამი, შტორმი), რაც ააქტიურებს ფრეიმს - წყლის დიდ მასას, რომელიც სწრაფად მოვარდება ხოლმე, სტიქიაა, მისი წინასწარ პროგნოზირება რთულია და დიდი ზარალი მოაქვს. ასევე, გამოყენებულია სიტყვები: *Schmarotzer, Parasiten und Fremdkörper* (*პარაზიტები, უცხო სხეულები, მუქთახორები*), რომლებიც ჩვენს „სხეულში შეიჭრებიან“ და ეკონომიკის ჯანმრთელობისთვის საშიშროებას წარმოადგენენ.

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, რომ ფრეიმის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ენის ნებისმიერმა ერთეულმა, რომელსაც გარდა პირდაპირი, ზუსტი მნიშვნელობისა გააჩნია ასევე, მეორეული, ასოციაციური კონოტაცია, რაც მსმენელში ინფორმაციის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, ენა პოლიტიკურ მეტყველებაში მანიპულაციური სტრატეგიების მრავალფეროვნებით გამოირჩევა და საკუთარი მიზნების მისაღწევად ამ სტრატეგიების სწორად გამოყენება პოლიტიკოსის უპირველესი ამოცანაა.

თავი IV - ემპირიული მასალის ანალიზი

4.1 საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი

პოლიტიკური დისკურსი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დისკურსია. იგი განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნების განვითარების აწმყოსა და მომავალს. სწორედ პოლიტიკოსების დისკურსზეა დამოკიდებული ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სოციალური განვითარება. გავლენიანი პიროვნებები ქმნიან გავლენიან დისკურსს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის მომავალს. არსებობს პოლიტიკური დისკურსის რამდენიმე სახეობა: *ინსტიტუციური, ადმინისტრაციული, ინტერაქციული და იდეოლოგიური* (Klein,1989). თითოეული მათგანის მიზანი არის საზოგადოების მასების აზრების, ფიქრებისა და ქცევების მართვა.

როგორც შესავალში აღვნიშეთ, ჩვენი კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა გერმანულ-ქართული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი, ვინაიდან პარლამენტი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუციაა როგორც გერმანიისთვის, ასევე საქართველოსთვის და სწორედ, პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს

საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“ .

მართალია, პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ენა მე-18 საუკუნის შემდეგ ვიწრო სპეციალიზაციის ენას აღარ წარმოადგენს, ვინაიდან საყოველთაო და მრავალადრესატზე ორიენტირებული გახდა (ის. გვ. 14), მაგრამ საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, მაგ.: კანონპროექტის შემუშავება, განხილვა, დამტკიცება, ასევე, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული საკითხები, თავის მხრივ, შეიცავს სპეციალურ პოლიტიკურ ენასაც. მაგ. განკარგულება, ბრძანება, დადგენილება, დეკრეტი, რატიფიცირება და ა.შ.

საპარლამენტო დისკურსი მკვეთრად განსხვავდება მაგ. წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსისაგან, როდესაც პოლიტიკოსები თითქმის თავისუფალი არიან პასუხისმგებლობისგან და ხშირად მათი პროგრამები განუხორციელებელ დაპირებად რჩება. მისგან განსხვავებით, საპარლამენტო დისკურსს აუცილებლად მოჰყვება საპარლამენტო საქმიანობის შედეგი, ანუ ესა თუ ის კანონი, რომლის აღსრულებაც მომავალში ყველასათვის სავალდებულო იქნება. კანონის აღსასრულებლად კი საზოგადოების მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ პარლამენტარების ის სტრატეგია და ტექნიკა, რომელთა საშუალებითაც კანონმდებლები ახერხებენ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას.

დამაჯერებელი, პერსუაზიული მეტყველება რომ პარლამენტარისთვის უმნიშვნელოვანესია, ამას თავად ტერმინის განმარტებაც ცხადყოფს: „**პარლამენტი** ფრანგ. *parlement* ← *parler* = ლაპარაკის პროცესი, განხილვა (თეზელიშვილი, 2007: 606) პარლამენტარის საქმიანობას უმთავრესად, სწორედ ლაპარაკი წარმოადგენს. პარლამენტში საუბრის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ასევე გერმანელი პოლიტიკოსი

და ფსიქოლოგი ვილი ჰელპახი, რომელიც პარლამენტს უწოდებს **სალაპარაკო ადგილს** (*Redestätte*) და **ვერბალურ ბრძოლას** (*Redeschlacht*), რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში უფრო დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე პრესა. “Parlament heißt Redestätte, Die Redeschlacht war einst der Brennpunkt des parlamentarischen Lebens, von ihr ging, damals mehr als von der Presse, die Oeffentliche Meinungsbildung aus “ (W.Hellpach 1927 14 in Burkhardt, 2010:200).

თავის მხრივ, გერმანიის ბუნდესთაგის მოქმედი თავმჯდომარე ვოლფგანგ შოიბლეც ამბობს: „აქ (პარლამენტში) კამათი არა მხოლოდ დასაშვებია, (არამედ) კამათის მეშვეობით ხორციელდება (პარლამენტის) ფუნქციონირება“ (Da darf Streit nicht nur sein; das geht nur über Streit...) და ასევე დასძენს: „Im Parlament **schlägt das Herz** unserer Demokratie“ (*პარლამენტში ჩვენი დემოკრატიის გული ძგერს* (სხდომა1).

საპარლამენტო დისკურსი შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხშირად წერილობითიც და ზეპირსიტყვიერიც ერთდროულად. როგორც წესი, მომავალი სხდომის დღის წესრიგი წინასწარ ხდება ცნობილი და დეპუტატებს საშუალება აქვთ მოხსენების ტექსტები ჯერ წერილობით მოამზადონ შემდეგ კი, სხდომის მიმდინარეობისას წარმოთქვან კიდევ, თუმცა მათ ხშირ შემთხვევაში, ოპონენტის კომენტარებზე რეაგირება სპონტანურადაც უხდებათ. მოხსენების წინასწარი მომზადება განსაკუთრებით იმ პოლიტიკოსებს სჭირდებათ, რომლებიც ინიცირებული კანონპროექტების ავტორები არიან, რათა შეზღუდული დროიდან გამომდინარე, მოკლედ და მკაფიოდ წარმოადგინონ კანონპროექტი და დაასაბუთონ მისი მიღების აუცილებლობა. წინასწარ ფორმულირებული საპარლამენტო გამოსვლა, თუ ის სწორად არის დაგეგმილი, უზრუნველყოფს ხმების საჭირო რაოდენობის დაგროვებას და კანონპროექტის მიღებას. ხშირ შემთხვევაში კანონპროექტის შემომტანები სახელისუფლებლო პარტიის

წარმომადგენლები არიან, თუმცა ასევე, შესაძლებელია ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც განახორციელონ კანონპროექტის ინიცირება.

საპარლამენტო დისკურსი ორი თავისებურებით ხასიათდება: ერთის მხრივ, პარლამენტარები დისკუსიაში შედიან სხვა მოწინააღმდეგე პარტიების წარმომადგენლებთან და ცდილობენ დაარწმუნონ ისინი საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტებაში; მეორე მხრივ, პარლამენტში გამომსვლელებმა იციან, რომ მათი გამონათქვამები, გამოსვლის ტექსტის ამონარიდები მასმედიისა და სხვა სოციალური ქსელების საშუალებით საჯაროდ განხილვის საგანი შეიძლება გახდეს, შესაბამისად, ისინი არა მარტო პარლამენტის წევრებს მიმართავენ, არამედ ირიბად ესაუბრებიან საზოგადოების სხვა დანარჩენ ნაწილსაც. ასეთ შემთხვევაში გამომსვლელსა და საზოგადოების ფართო ფენებს შორის კომუნიკაცია ასიმეტრიულია და საპასუხო რეაგირება დამსწრე დეპუტატების გარდა არავის შეუძლია, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმნის მანიპულაციის განხორციელებისათვის ხელსაყრელ გარემოს.

4.2 ქართული საპარლამენტო დისკურსი

ქართული საპარლამენტო დისკურსის ანალიზისთვის ემპირიულ მასალად შერჩეულ იქნა სახელისუფლებო პარტიის – „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს სამი დეპუტატის – **არჩილ თალაკვაძის, ირაკლი კობახიძისა და გიორგი ვოლსკის** საპარლამენტო გამოსვლების ტექსტები. ასევე, სამი ოპოზიციური პარტიის „ევროპული საქართველოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატების **გიგა ბოკერიას, სალომე სამადაშვილისა და ირმა ინაშვილის** საპარლამენტო გამოსვლები.

4.2.1 სახელისუფლებო პარტია – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

არჩილ თალაკვაძე - პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის „ქართული ოცნება“ ერთ-ერთი ლიდერი. 2012-2014 წლებში სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე; 2014-2016 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე 2019 წლის 25 ივნისიდან 2020 წლის 11 დეკემბრამდე, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე 2020 წლის 11 დეკემბრიდან.

კვლევის პროცესში გავანალიზეთ არჩილ თალაკვაძის 12 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა 62 გამონათქვამი და საერთო ჯამში ჩვენ მიერ დამუშავდა მანიპულაციის 92 ერთეული (სრული სია იხილეთ დანართი №1).

არჩილ თალაკვაძის გამოსვლების შინაარსი თემატურად ეხება ადამიანის უფლებებს, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და დემოკრაციას. რაც შეეხება მანიპულაციის მეთოდებს. ა.თალაკვაძე იგი ძირითადად ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაციას ეწევა, დისკრედიტაციისთვის კი აქტიურად იყენებს როგორც სტილისტურ, ასევე მანიპულაციის სხვა საშუალებებს.

1. *„მერე კიდევ სახელმწიფო რატომ ცემდა და აწამებდა საკანში და რა თქმა უნდა, ეს ადამიანები დღეს ჩვენს საზოგადოებაში არიან და ისინი არიან ტრამვირებულები“ (2019 წლის 22 მარტი).*

თალაკვაძე 2019 წელსაც კი ოპოზიციას ახსენებს 2012 წლამდე მათი ხელისუფლების ჩრდილოვან მხარეებს. *ცემა, წამება, ტრამვირება*, ე.წ. „ციხის კადრები“ – ეს ყველაფერი ოპოზიციის მიერ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მარცხის მიზეზი გახდა. იგი ხშირად იყენებს ნეგატიური კონოტაციის მქონე სიტყვებს, რათა საზოგადოებაში განაახლოს აგრესიული მუხტი ოპოზიციის მიმართ (*კერსონიფიკაცია, მეტაფორა, ფრეიმი*).

2. „ათასობით ადამიანს რომ უთვალთვალებდით, სად იყავით, მათ პირად ცხოვრებაში, ყველგან, საძინებლებიდან დაწყებული, კაბინეტებში დამთავრებული, ის ჩანაწერები, რომ ჩაწერეთ უკანონოდ, სად ინახავდით, ვის გადასცემდით, ტელეფონებით და კასრებში ბოლოს, როგორ აძველებდით იმასავით სავარგულივით“ (2019 წლის 2 მაისი).

ამ მონაკვეთში თალაკვაძე ოპოზიციას ახსენებს მათი ხელისუფლების ყველაზე ნეგატიურ მოვლენებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევის შესახებ. კასრები –ერთგვარ ფრეიმად იქცა. კასრი მანამდე ქართული საზოგადოების მეხსიერებაში ყველაზე ძვირფასი, გამორჩეული, ხანგრძლივი დაძველების მქონე ღვინის საცავს წარმოადგენდა, სწორედ, ამიტომ აღნიშნავს თალაკვაძე: „აძველებდით იმასავით სავარგულივით“. ჩანაწერების სავარგულივით შენახვა კი იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფის მტკიცებულებებს წარმოადგენდა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ერთ-ერთ საგამომიებო საქმეს სწორედ „კასრების საქმე“ ეწოდება. აღნიშნული ცნება მსმენელში იწვევს უარყოფით ასოციაციებს და ცხადია, ნეგატიურად განაწყობს საზოგადოებას ნაციონალური მოძრაობის მიმართ (ფრეიმი, კოლექტიური მეხსიერების სიმბოლო).

3. „მაისები და ნოემბრები იყო საშინელი, ერთი ლიტერატურული გამოსვლა მაგას რომ მიუძღვნათ, ცუდი არ იქნებოდა (2019 წლის 22 მარტი).

მაისები და ნოემბრები –ამით ა. თალაკვაძე ოპოზიციას 2007 წლის ნოემბრისა და 2011 წლის მაისის აქციებს ახსენებს. საპროტესტო აქციები, რომლებიც ადამიანის თავისუფალი სიტყვის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, მაშინდელმა ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით დაარბია, რასაც მოჰყვა მსხვერპლიც. **მაისები და ნოემბრები** – აქ მხატვრული ხერხი მეტაფორაა, რომელიც ფრეიმად კონსტიტუირდა და ქართულ საზოგადოებაში ხელისუფლების მხრიდან დარბეული მშვიდობიანი აქციების გახსენების სტიმულირებას იწვევს (მეტაფორა, ფრეიმი).

4. *“მოდით შევხედოთ მეზობელი ქვეყნების ვალუტებს, აქ ხედავთ უკრაინული გრივნას, თურქულ ლირას, ხედავთ აზერბაიჯანულ მანათს, ევროს, ბრიტანულ ფუნტსაც კი და ხედავთ გაუფასურების ტენდენციებს. ეს არ არის მხოლოდ ლარის პრობლემა და ეხლა ის ხალხი, რომელიც ამ ყველაფერს წარმოადგენს, რაღაც მითოლოგიურ ბრძოლად ლარსა და დოლარს შორის, რომელშიც ერთ-ერთმა უნდა გაიმარჯვოს, მე მგონი, მართლა არის მულტიფილმების გავლენის ქვეშ, არის იმიტომ, რომ სხვა ვერ ხვდება ამას, რა ჰქვია, თქვით, ხალხო, რომ დოლარი არის მსოფლიო ვალიუტა, დოლარის უკან დგას ამერიკული ეკონომიკა და ამერიკული ეკონომიკა არა მხოლოდ ამერიკაში და ლარის უკან დგას საქართველო, ჩვენი სავაჭრო კავშირები და ჩვენი ინტეგრირებული ეკონომიკა. შესაბამისად ეხლა ხალხის დაშინება, რომ დოლარი ებრძვის ლარს და ლარი კვდება და ცურვა აღარ იცის, არ არის სწორი საქმე” (2016 14 დეკემბერი).*

აქ მითოლოგიური ბრძოლა სუსტისა და ძლიერის ბრძოლასთან შედარების ასოციაციას იწვევს, მითოლოგიაში როგორც წესი, სუსტი ამარცხებს ძლიერს, თუმცა ამ შემთხვევაში ლარი არის სუსტი, რომელიც დოლართან ბრძოლაში სულ უფრო სუსტდება. აქ ედარების სტილისტური ხერხია გამოყენებული. თალაკვაძის ნათქვამი – *„ეს არ არის მხოლოდ ლარის პრობლემა“* - თავისთავად აღიარებაა, რომ ლარი ნამდვილად გაუფასურდა და ნამდვილად აქვს პრობლემა, მაგრამ მას აქვე მოჰყავს საქართველოზე მეტად განვითარებული და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ვალუტების მაგალითები და თავს იმართლებს, რომ ეგ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო პრობლემაა, მაგ.: თურქეთი, უკრაინა, ბრიტანეთი და ა.შ. და ამით პარტიის ლიდერი გაურბის პასუხისმგებლობას და გამოსავალს კი არ სთავაზობს ხალხს, არამედ შეგუებისკენ მოუწოდებს. ამავე მონაკვეთში იგი ოპოზიციას ადანაშაულებს საზოგადოებაში შიშის დანერგვის გამო : *„ეხლა ხალხის დაშინება, რომ დოლარი ებრძვის ლარს და ლარი კვდება და*

ცურვა აღარ იცის“ - საამისოდ ა. თალაკვაძე მიმართავს პერსონიფიკაციის ხერხს (მეტაფორა, შედარება, პერსონიფიკაცია).

5. „ყველაფერი გაგრძელდება მშვიდად, მელიამ რამდენიც არ უნდა იყვიროს და რამდენიც არ უნდა აქ მოაწყოს ჯამბაზური დებოშები, ვერაფერს ვერ შეცვლის მელიას ეს ქცევები. ეს არის მისი ხელმძღვანელის მიმართ რაღაც კვლევობა“ (2018 წლის 12 დეკემბერი).

თალაკვაძე ოპოზიციას არეულობაში, აყალ-მაცალის შექმნაში ადანაშაულებს, თან ჯამბაზებს უწოდებს ირიბად, რითაც იგი ცდილობს დააკნინოს ოპოზიცია, იგი იყენებს უხვო სიტყვას – **დებოში**. ასევე, მეტი ემოციონალიზაციითვის ურთავს ეპითეტს *ჯამბაზური*, რაც საზოგადოებაში, ცხადია, ოპოზიციის მიმართ არასერიოზულ დამოკიდებულებას იწვევს. ამავე წინადადებაში აგრძელებს იგი ოპონენტის დისკრედიტაციას და ეუბნება, რომ ხელმძღვანელის წინაშე **კვლევობს**, თავს იწონებს, რაც ტოვებს განცდას, რომ მელია სხვის სასარგებლოდ, კონკრეტულად, კი ხელმძღვანელის (საკაშვილის) წინაშე იწონებს თავს (*ირონია, მეტაფორა*).

6. „მილიონი ჩვენი თანამოქალაქე, ვინც არჩევანი გააკეთა, გამოაცხადეთ მოძალადეებად და მელია ჩაწერეთ მშვიდობის მტრედებში... მელია ჩაწერეთ მშვიდობის მტრედებში. ესეთი კრეატივიზმი აქ არ ყოფილა დღეს განცხადებებში“ (2018 წლის 12 დეკემბერი).

მტრედი ქართულ კულტურაში, ისევე, როგორც სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში, მშვიდობის სიმბოლოს გამოხატავს. აქ, ცხადია, ავტორი მშვიდობის სიმბოლოს ირონიულად იყენებს ოპოზიციის ერთ-ერთი გამორჩეულად ხმაურიანი ლიდერის მიმართ, მელიას და მტრედის დაპირისპირება, ჩვენი აზრით, თავად მელიის სიმბოლოს ალუზიას იწვევს, რომელიც ქართულ კულტურაში ცბიერების სიმბოლოდ არის მიჩნეული. იგი ამავე წინადადებაში აგრძელებს სარკასტულ-ირონიულ პათოსს და ამბობს: *ესეთი კრეატივიზმი აქ არ ყოფილა დღეს. სიტყვა კრეატივიზმი (კრეატიულობა), როგორც წესი, პოზიტიურია და გამოიყენება*

ინდივიდის შემოქმედებითი, ინდივიდუალური აზროვნებისა და ხედვის უნარის აღსანიშნავად (ირონის, მეტაფორა, შედარება).

7. „*მე მგონი თქვენ ან რიცხვების წაკითხვა არ შეგიძლიათ, ან ერთი დაზეპირებული მესიჯი გაქვთ წამოღებული თბილისიდან და მაგას ლაპარაკობთ ყოველ სესიაზე*“ (2017 წლის 13 დეკემბერი).

„დაზეპირებული მესიჯი გაქვთ წამოღებული თბილისიდან“ (პრესუპოზიცია). „არ ხართ თავისუფლები, სხვებს ემორჩილებით და საკუთარი აზრი არ გაგაჩნიათ“.

ა. თალაკვაძე ცდილობს ოპოზიცია მორჩილებაში დაადანაშაულოს. თუ პოლიტიკოსი თავად არ არის დამოუკიდებელი, მაშინ იგი ვერც საზოგადოებას მოუტანს თავისუფლებას, და შესაბამისად, არ ექნება ნდობა საზოგადოების მხრიდან (პრესუპოზიცია, ირონია).

8. „*სხვის ბიზნესებს რომ ათვალთვრებდით, იმიტომ ხართ დღეს ოპოზიციაში, იმიტომ გაგიშვათ ხალხმა სახლში*“ (2017 წლის 13 დეკემბერი).

სახლში გაშვება –მეტაფორა, უარის თქმა. ათვალთვრებით, ასევე მეტაფორულად არის ნათქვამი და მიანიშნებს სხვისი საკუთრების ხელყოფას, რასაც ადგილი ქონდა ოპოზიციური პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში (ზრალდება, მეტაფორა).

9. „*საჯაროდ, როდესაც თვითონ იყო მმართველი ძალის წარმომადგენელი და ხარჯები ნახეთ მაშინ, არამიზნობრივი ხარჯები, მასაჟებში და შოპინგებში იხარჯებოდა ფული*“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

ხარჯი და თან **არამიზნობრივი**, მსმენელის ემოციურ განწყობაზე უარყოფითად მოქმედებს, გადასახადის გადამხდელები, ცხადია, არ შეეგუებიან მათ მიერ გადახდილი გადასახადები არამიზნობრივად რომ იქნეს გამოყენებული. საზოგადოების მეტად გასაღიზიანებლად აქვე აგრძელებს მოყოლას **მასაჟებში და შოპინგებში** დახარჯული ფულის შესახებ. **მასაჟები და შოპინგები** ნაციონალური მოძრაობის მმართველობის სიმბოლოებად იქცა, იგი წარმოადგენს ფრეიმს,

რომელიც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ და მაშინდელი ხელისუფლების მფლანგველობას აღნიშნავს (ბრალდება, ფრეიმი).

10. „თქვენი შეფასებებით, ქვეყანაში უსაფრთხოების დონე დაეცა, თქვენი შეფასებებით ინვესტიციები და ეკონომიკა არ ვითარდება, საქართველოს ხელისუფლებას აქვს პრობლემები, შუქი ჩამქრალა, ფერები არის მუქი, ამას ლაპარაკობთ თქვენ (2017 წლის 13 დეკემბერი).

ფრაზა „ქვეყანაშია ფერები მუქი“ უცნობის სიმღერის (2003 წ.) რეფრენს წარმოადგენს და იმ პერიოდზე მიუთითებს, რომელიც 90-იან წლებში იყო საქართველოში და იმ დროის უკან დაბრუნებას გულისხმობს. ქვეყანაში რამე ცუდი თუ ხდება, ამას თქვენ ამბობთ, **თქვენი შეფასებებით**. თქვენი შეფასება კი სუბიექტურია და ეს სინამდვილეში ასე არ არის, გულისხმობს ავტორი (ფრეიმი, პრესუპოზიცია).

გარდა მხატვრულ-სტილისტური საშუალებებისა, თალაკვაძე ხშირად მიმართავს ასევე, მანიპულაციის სხვა საშუალებებს, მაგალითად, ემოციონალიზაციას და აბსტრაქტულ შეფასებითი სემანტიკის გამომხატველ სიტყვებს, როგორებიცაა: დემოკრატია, თავისუფლება, განვითარება, კეთილდღეობა:

11. „ჩვენ გავაგრძელებთ განუხრელად იმ კურსს, რომელიც თითოეული მოქალაქის, თითოეული ოჯახის და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე, სტაბილურ განვითარებაზე გადის“ (2019 წლის 6 მარტი).

ოჯახი ქართულ კულტურასა და ტრადიციებში ძალაინ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. არსებობს კონცეპტები: *ოჯახის ბურჯი, ოჯახის კაცი, კარგი მეოჯახე, კარგი ოჯახის შვილი* და ა.შ. შესაბამისად, პოლიტიკოსი, რომელიც ოჯახის კეთილდღეობაზე იზრუნებს, ცხადია დიდი მხარდაჭერით ისარგებლებს საზოგადოებაში (კოლექტიური სიმბოლო, შეფასებითი სემანტიკის სიტყვები).

12. „2017 წლის ბიუჯეტი არის განვითარებაზე ორიენტირებული და ფისკალურ მდგრადობაზე ორიენტირებული ბიუჯეტი“ (2016 წლის 14

დეკემბერი). „ბიუჯეტი არის ორიენტირებული მომავალზე და განვითარების ისეთ ტემპებზე, რომელიც რეგიონში საქართველოს მოწინავე ქვეყნის პოზიციაში დატოვებს კვალს“ (2017 წლის 13 დეკემბერი).

ბიუჯეტი თავისთავად განვითარების დაგეგმვას ნიშნავს. იგი აუცილებლად გულისხმობს მომავლის განვითარებას და არა წარსულის. ნიშანდობლივია, რომ 2016 და 2017 წლებში ბიუჯეტის მნიშვნელობას ა. თალაკვაძე ერთნაირად ასახულებს და საამისოდ იყენებს ე.წ. ცარიელ ფორმებს (Leerformen).

13. „ეს არის მოცემულობა და ეს არის, რასაც ყველა ეთანხმება და ვილაცებმა ეს უკვე გააკეთეს აღმოსავლეთ ევროპაში და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეხლა“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

თითქმის შეუძლებელია საკითხის არსებობა, განსაკუთრებით პოლიტიკაში, რასაც ყველა შეიძლება დაეთანხმოს, მაგრამ ეს არის მანიპულაციის ძალიან გავრცელებული საშუალება, ვინაიდან მსმენელი იძულებულია ყველაში მოიაზროს საკუთარი თავიც, და თუ ყველა ეთანხმება ე.ი. სწორია და მას არ უჩნდება პროტესტი მიეკუთვნოს ამ ყველას.

14. „დღეს ჩვენ გვყავს ქალი პრეზიდენტი, რაც ხაზს უსვამს თანასწორობას და თანაბარ შესაძლებლობებს ჩვენს ქვეყანაში. ხაზს უსვამს, რომ საქართველო არის ევროპული სახელმწიფო დიდი ისტორიით, სადაც ქალის ადგილი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და მნიშვნელოვანია დღესაც“ (2019 წლის 6 მარტი).

ქალის უფლებების დაცვა ძალიან აქტუალური საკითხია, ამით ა. თალაკვაძე ცდილობს ქალი ამომრჩევლის პატივისცემა და ნდობა დაიმსახუროს. მით უფრო მნიშვნელოვანია ქალების მხარდაჭერა, რომ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას, სწორედ ქალები წარმოადგენენ (საქსტატის მიხედვით, 2017 მონაცემებით ქალთა საერთო რაოდენობა 1 940 900-ია, მამაკაცების კი –1 779 500). ისტორიული შედარება, აბსოლუტური თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობა ძალიან უტოპიური და პოპულისტურია, თუმცა მაინც სასიამოვნო მოსასმენია

საზოგადოებისთვის და რაც სასიამოვნოა, ადვილად დასაჯერებელიც შეიძლება გახდეს (სამიზნე ჯგუფები, შეფასებითი სემანტიკის სიტყვები).

15. „მე მესმის თქვენი პოლიტიკური სტრატეგია. ყველაზე დიდი ჯგუფები აიღეთ, გუნდში იმსჯელეთ, პენსიონერები, პოლიციელები, პედაგოგები“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

ამ წინადადებაში თავად თალაკვაძე ახსენებს მანიპულაციის ერთ-ერთ გავრცელებულ ტექნიკას –სამიზნე ჯგუფების გამოყოფას. პენსიონერები, პოლიციელები, პედაგოგები ყველაზე დიდ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ პოლიტიკოსისთვის და მათი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. (სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირება).

14. „უთხარით დღეს, რომ ხალხს ტყუილს ეუბნებოდით ან ეუბნებოდით სხვანაირ სიმართლეს იმიტომ, რომ სხვა ახსნა აი, ამ მაჩვენებლებს არა აქვს“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

ეს არის მოწოდება აღიარებისაკენ, რომელიც არარეალურია. მართალია, ოპოზიციური პარტიებიდან ამის აღიარებას არ ელოდება, მაგრამ ა. თალაკვაძე ამით დარბაზის გარეთ მყოფ საზოგადოებას მიმართვას და ახსენებს არასასიამოვნო წარსულს (მოწოდება).

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	ირონია	12
2	მეტაფორა	11
3	შედარება	11
4	სამიზნე ჯგუფები	10
5	ფრეიმი	9
6	რიტორიკული კითხვა	7
7	პოპულიზმი	6
8	შეფასებითი სემანტიკის სიტყვები	3
9	გამეორება	3
10	ციტირება	3
11	ბრალდება	3
	სხვა	14
სულ		92

დიაგრამა №5 თალაკვაძის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

აღნიშნულ დიაგრამაზე ნაჩვენებია არჩილ თალაკვაძის მიერ გამოყენებული ენობრივი მანიპულაციის საშუალებების ტიპები და მათი რაოდენობა. როგორც ცხრილიდან ჩანს, იგი ყველაზე ხშირად ირონიას იყენებს, რაც, როგორც წესი, მოწინააღმდეგის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. იგი ასევე ხშირად იყენებს მეტაფორას, შედარებას და სხვა სტილისტურ საშუალებებს, თუმცა ასევე წარმატებით იყენებს მანიპულაციის სხვა საშუალებებსაც, როგორებიცაა სამიზნე ჯგუფებზე ფოკუსირება, ფრეიმი, პოპულიზმი და სხვა.

გიორგი ვოლსკი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“

გიორგი ვოლსკი 1991 წლამდე, საბჭოთა კავშირის პერიოდში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1991-2004 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის მოადგილედ რუსეთის ფედერაციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროს მრჩევლად, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსად. 2004-2006 წლებში ვოლსკი იყო კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი. 2012-2016 წლებში - საქართველოს მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტის „ქართული ოცნების“ დეპუტატი პარტიული სიით.

კვლევისთვის გავაანალიზეთ გიორგი ვოლსკის 10 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებისათვის შერჩეულ იქნა 17 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 31 საშუალება.

გიორგი ვოლსკის გამოსვლების შინაარსი ძირითადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკას უკავშირდება, რაც მისი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარეობს და მისი საქმიანობის მთავარი ნიშას წარმოადგენს.

ვოლსკი საკმაოდ წარმატებით იყენებს როგორც პერსუაზიულ, ასევე სხვა მანიპულაციურ სტრატეგიებს. მისი მთავარი სტრატეგია ოპონენტების დისკრედიტაციაა, რასაც იგი ძირითადად, ფრეიმების, მეტაფორებისა და რიტორიკული კითხვების საშუალებით ახერხებს.

15. „საქართველოს თემა რომ დღის წესრიგში არის, ამას არ უნდა მტკიცება.

ჩვენ ზუსტად ვიცით, ჩვენ თუ არა ვაშინგტონში იციან. ვაშინგტონის თუ არ სჯერათ, ბრიუსელს მიაკითხონ“ (2019 წლის 20 სექტემბერი).

ამ გამონათქვამში გამოყენებულია სტილისტური ხერხი –კლიმაქსი. სამოქმედო არეალის მასშტაბები თანდათან იზრდება, ვაშინგტონი და ბრიუსელი აქ მეტონიმებია, რომლებშიც საქართველოს პარტნიორი ქვეყნები და მათ შორის, ევროკავშირიც მოიაზრება, რომლებიც დიდი ავტორიტეტის სარგებლობენ როგორც ოპოზიციურ პარტიებში, ასევე საზოგადოებაში (მეტონიმია, კლიმაქსი).

16. „აქ, რასაკვირველია, პრობლემები, შეიძლება იყოს, რასაკვირველია, პრობლემების გარეშე არ არსებობს ჩვენი დღევანდელია“ (2017 წლის 7 აპრილი).

საკუთარი შეცდომების აღიარება, მაგრამ არა კონკრეტული შეცდომისა, ერთ-ერთი გავრცელებული მანიპულაციური ტექნიკაა.

17. „არასტაბილური სავალუტო ბაზარი განა მარტო საქართველოს ახასიათებს?

ჩამოინგრა ეკონომიკები, ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა ბევრი ქვეყანა, რომლებიც გუშინ წარმატებული და მდიდარი გვეგონა და არასდროს არ ვიფიქრებდით, რომ ვერ დაძლევენ იმ კრიზისს, რაც მსოფლიოში არსებობს“ (2017 წლის 7 აპრილი)

რთული ეკონომიკური სიტუაციის და ლარის გაუფასურების გამო გიორგი ვოლსკი საქართველოს ადარებს სხვა ქვეყნებს, ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ სხვაგანაც ასე ხდება, თუმცა არ აკონკრეტებს ქვეყნებს, რაც გადამოწმების შესაძლებლობას არ იძლევა და ცალსახა მანიპულაციას წარმოადგენს. საზოგადოება იძულებულია მიიღოს მოცემულობა, რომელიც მას

შესთავაზეს. „ქართული ოცნების“ ცნობილი სახე აღნიშნულ სიტუაციაში ცდილობს პასუხისმგებლობას გაექცეს და ამბობს, რომ ხელისუფლება არაფერ შუაშია. მოვლენები თავისთავად, ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ვითარდება და შექმნილ სიტუაციას მსოფლიოში არსებული გამოწვევებით ხსნის (შედარება).

18. „არსებობს თუ არა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების რეალური სურათი? რასაკვირველია, არსებობს და აღარ ჩამოვთვლი ამ არსებობის დამახასიათებელ ნიშნებს ევროკავშირის ასოცირებული წევრობიდან დაწყებული ვიზა-ლიბერალიზაციაზე დამთავრებული“ (2017 წლის 7 აპრილი). ეს არის რიტორიკული კითხვა, რომელსაც პასუხს თავად შეკითხვის ავტორი სცემს. როცა კითხვა ისმება, ყველა ელოდება პასუხს. ამიტომ მცირე პაუზის შემდეგ პასუხის მოსმენა მსმენელის მოლოდინს ამართლებს.

19. „ბრძოლის ველზე მიატოვეს დაღუპული გმირები; კონკრეტული ქმედებებით ხელი შეუწყვეს ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ფორმულირებების შეტანას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში“ (2019 წლის 31 მაისი).

ვოლსკი ოპოზიციას პირდაპირ ადანაშაულებს უპასუხისმგებლობასა და უპრინციპობაში, ასევე, მათ არასანდოობას უსვამს ხაზს. ბრძოლის ველზე მიტოვება ლაჩრული საქციელია, რაც მსმენელში, ბუნებრივია, იწვევს ემოციურ გაღიზიანებას, ოპოზიციის მიმართ უნდობლობასა და უპატივცემულობას (კოლექტიური მეხსიერება).

20. „და მთავარი თემა ოკუპაცია, ოკუპაცია, რომელსაც წინაპირობა და საფუძველი შეუქმნა სწორედ იმ გაუთვლელმა დანაშაულებრივმა პოლიტიკამ, რომელიც გააჩნდა წინა ხელისუფლებას“ (2017 წლის 7 აპრილი).

ოკუპაცია თანამედროვე საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის მოგვარება და ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვეტა მოცემულ რეალობაში თითმის წარმოუდგენელია. პრობლემის გადაჭრას ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება ვერ გადაჭრის ამ საკითხს. კონფლიქტი და ოკუპაცია ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის არსებობს, რომლის გადაჭრა ორივე მათგანის ნებაზეა დამოკიდებული. ვინაიდან მეორე მხარეს რუსეთი წარმოადგენს, ამ საკითხის სწრაფად მოგვარების ილუზია არ უნდა გვექონდეს. შექმნილი სიტუაციის გამო, ვოლსკი ოპონენტებს აკისრებს პასუხისმგებლობას და არაკომპეტენტურობასა და დანაშაულში სდებს ბრალს. **გაუთვლელი, დანაშაულებრივი პოლიტიკა** – საზოგადოების დიდ ნაწილში, რასაკვირველია, ოპოზიციის მიმართ უნდობლობას, ბრაზს და აგრესიას იწვევს (ბრალდება, კოლექტიური მეხსიერების სიმბოლო).

21. „განა ქვეყანაში პრობლემები არ არის? განსაკუთრებით ეკონომიკურ პრობლემებზე მაქვს აქცენტი და ყოველთვის, განა ადამიანების დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ, ან უმუშევარი ან შეჭირვებული არ არის?! – რასაკვირველია არის” (2019 წლის 20 სექტემბერი).

ვოლსკი აღიარებს ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ცხადია, ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მაგრამ საკუთარი შეცდომებისა და სისუსტის აღიარება საზოგადოებაში თანაგრძნობას იწვევს (რიტორიკული შეკითხვა. აღიარება).

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	ფრეიმი	5
2	მეტაფორა	4
3	შედარება	3
4	სამიზნე ჯგუფები	2
5	ისტორიული მეხსიერების ფიგურები	2
6	რიტორიკული ითხვა	2
7	ბრალდება	2
8	დისკრედიტაცია	2
9	აღიარება	2

10	შეფასებითი სემანტიკის სიტყვები	1
11	სხვა	6
	სულ	31

დიაგრამა №6 ვოლსკის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, ვოლსკის მიერ გამოყენებულ ენობრივ მანიპულაციურ საშუალებებში სჭარბობს ფრეიმები, მეტაფორები და შედარებები. იგი ასევე იყენებს ისტორიული მემსიერების ფიგურებს და ფოკუსირდება სამიზნე ჯგუფებზე (სრული სია იხ. დანართი №1).

ირაკლი კობახიძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“

პოლიტიკოსი, იურისტი, კონსტიტუციონალისტი, იურიდიული განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995-2000 წლებში, აგრეთვე გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის უნივერსიტეტში 2002-2006 წლებში, სადაც მიენიჭა სამართლის მაგისტრისა (LL.M.) და სამართლის დოქტორის (Dr. iur.) აკადემიური ხარისხები. 2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, ხოლო 2016-2019 წლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

კვლევის დროს გავაანალიზეთ ირაკლი კობახიძის 5 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებისათვის შერჩეულ იქნა 31 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა ენობრივი მანიპულაციის 48 საშუალება.

ირაკლი კობახიძის საპარლამენტო გამოსვლები, ძირითადად, საკონსტიტუციო ცვლილებებს შეეხება. იგი მანიპულირებისთვის იყენებს შეფასებით გამომხატველ ცნებებს, რაც მოწინააღმდეგის დისკრედიტაციისათვის არის გამიზნული.

22. *„მე შეგახსენებთ, რა ხდებოდა საქართველოში ჩვენი ხელისუფლების მოსვლამდე და რა ხდება დღეს. მაგალითად, ბიზნესის რეკეტი იყო ყოველდღიურობა 2012 წლამდე და ბიზნესის რეკეტს არაერთი ადამიანის*

ინტერესები და სიცოცხლეც კი ეწირებოდა, ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ეს ყველაფერი, ეს პრაქტიკა ბიზნესის რეკეტის, ტოტალური რეკეტის პრაქტიკა არის მთლიანად აღკვეთილი“ (2017 წლის 7 აპრილი).

2017 წელს კობახიძე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის დროს ხშირად იმველიებს ოპონენტების წარსულს და მათ ბიზნესის რეკეტში სდებს ბრალს, **ტოტალური რეკეტი** – ბიზნესის რეკეტი და სხვისი ფულის მიტაცება თავისთავად უკანონო და დანაშაულებრივი საქმიანობაა, მაგრამ მეტი ემოციური სიმძაფრისთვის იგი იყენებს ეპითეტს **ტოტალური**, რაც *მსწენელში კიდევ უფრო ამძაფრებს უარყოფით დამოკიდებულებას*. ამავე წინადადებაში იგი ღიად ადანაშაულებს ოპოზიციას ადამიანების სიცოცხლის მოსპობაში. **ბიზნესის რეკეტს არაერთი ადამიანის ინტერესები და სიცოცხლეც კი ეწირებოდა**, რაც ცხადია, უმძიმესი ბრალდებაა და საზოგადოებაში რევანშისტულ დამოკიდებულებას იწვევს (ბალდება, ზედსართავი სახელის პოლარიზებული გამოყენება).

23. „საქართველო იყო ევროპაში პირველ ადგილზე ამ ნეგატიური სტატისტიკით. ჩვენს ქვეყანაში ორნახევარჯერ, 24500-დან 9500-მდე შემცირდა პატიმართა რაოდენობა და ეს არის ამ ხელისუფლების დამსახურება და როცა ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, ესეც უნდა გავიხსენოთ აუცილებლად“ (2017 წლის 7 აპრილი).

სტატისტიკა წყაროს დასახელების გარეშე, როცა მსმენელს მისი გადამოწმების საშუალება არ აქვს, მანიპულაციის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა. მსმენელი იძულებულია მიენდოს გამომსვლელს. **ადამიანის უფლებები, დემოკრატია**, ზოგადი შეფასებით, გამომხატველი სემანტიკის სიტყვებია, მათი მოსმენა საზოგადოებაში ყოველთვის დადებით ემოციას იწვევს. (შეფასებითი სემანტიკის სიტყვები, სტატისტიკა, შედარება).

24. „თქვენ ბოლო არჩევნებიც გახსოვთ 2013 წელს, გიორგი მარგველაშვილს, რომელიც იყო „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი,

კალიგულას ცხენს და ათას შურაცხმყოფელ, ასე ვთქვათ, გამონათქვამებს უწოდებდნენ, ეს იყო რეალობა“ (2018 წლის 2 მაისი).

კალიგულას ცხენი - ცნობილი გამოთქმა, რომელიც რომის ერთ-ერთი იმპერატორის ულავს უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, იმპერატორმა ცხენი სენატორად დანიშნა, ამით კი მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება სენატორების მიმართ და მათი დაკნინება და დაცინვა გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში კობახიძე ოპოზიციის შეფასებას იყენებს პრეზიდენტის მიმართ, მაგრამ მათი სიტყვების გამეორებით ახლა თვითონ ცდილობს დააკნინოს უკვე ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი. *(მეტაფორა, ფრეიმი, შედარება)*

25. „ასევე, მაგალითად, რომ შევადაროთ ამერიკულ პრაქტიკას აღმოჩნდა, რომ ბატონი გიორგი მარგველაშვილი 80-ჯერ მოწყალეა, ვიდრე ბარაკ ობამა. გამოდის ისე, რომ განსაკუთრებულად გულქვა ადამიანია ბატონი ბარაკ ობამა, ან რაღაც ვერ არის საქართველოს პრეზიდენტის პრაქტიკაში. რეალურად ჩვენ უფრო მეორე დასკვნისკენ ვიხრებით“ (2017 წლის 7 აპრილი).

მარგველაშვილი 80-ჯერ მოწყალეა, ვიდრე ბარაკ ობამა – შედარებაა, ამავდროულად ირონიული შედარება. მოწყალეა, ცხადია, რიცხვებით არ იზომება, 80-ჯერ უფრო მოწყალე შეუძლებელია იყოს ვინმე, მაგრამ ამით კობახიძე კიდევ ერთხელ ცდილობს ყოფილი პრეზიდენტის დისკრედიტაციას *(შედარება, ზედსართავი სახ.)*

26. „აღნიშნა ბატონმა პრეზიდენტმა, რომ მას არასდროს გაქცევია სიტყვა, თუმცა, მე ერთი რამე შემიძლია გითხრათ, როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეებს გაურბით სიტყვა და ძალიან მძიმე ფორმით გაურბით სიტყვა, ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტს გაურბის სიტყვა და ამიტომ საუბარს იმაზე, რომ ჩვენ არ გაგვირბის სიტყვა, ჯობია რომ მართლა არ გაგვექცეს ასეთი სიტყვები და ვიყოთ კორექტულები

როგორც ჩვენი კოლეგების მიმართ, ასევე სხვა კონსტიტუციური ორგანოების მიმართ“ (2017 წლის 7 აპრილი).

გამეორება – ერთხელ ნათქვამი შეიძლება გამორჩეს მსმენელს. გამეორების შემთხვევაში კი არასდროს დარჩება უყურადღებოდ; **სიტყვა გაეძვა** – ფრაზეოლოგიზმი, იდიომი, არასწორად საუბარი, შეცდომის დაშვება (*გამეორება, ფრაზეოლოგიზმი*).

27. „დასრულდება მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლო დაადასტურებს იმას, რაც ყველამ ერთად ვიცით, პოზიციამ და ოპოზიციამ ყველამ ერთად ვიცით რა მოხდა „რუსთავი 2“-ში 2004 წლიდან მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში“ (2017 წლის 7 აპრილი).

ყველამ ერთად ვიცით – მანიპულაციის გავრცელებული ხერხია. ასევე, კობახიძე იყენებს ავტორიტეტული ორგანიზაციის *სტრასბურგის სასამართლოს* გადაწყვეტილებას, რომლის სისწორეში ეჭვის შეტანა ძალიან არასერიოზული და წარმოუდგენელია, სტრასბურგის გადაწყვეტილებები მსმენელში დიდი სანდოობით სარგებლობს.

28. „არის მნიშვნელოვნად გაზრდილი ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი კონსტიტუციის ახალი რედაქციის მეორე თავში, კერძოდ, ჩნდება ახალი ძირითადი უფლებები, რომლებიც აქამდე ან მხოლოდ არა პირდაპირი დაცული ან საერთოდ არ იყო დაცული, მაგალითად, ეს არის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება, გაზრდილი სტანდარტები თანასწორობის კუთხით და წარმოდგენილია გენდერული თანასწორობის ძირითადი უფლება, ასევე, ცალკე პუნქტით არის დაცული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“ (2017 წლის 21 ივნისი).

გაზრდილი უფლებების დაცვის სტანდარტი ნიშნავს, რომ ადრე რაც იყო, არ იყო საკმარისი, ან საერთოდ არ იყო. ახალ უფლებებში იგი გულისხმობს გენდერულ თანასწორობას, რაც სულაც არ არის ახალი, მაგრამ სამიზნე ჯგუფებზე,

ქალებსა და მათ შორის, სსსმ პირებზე აკეთებს ფოკუსირებას, რაც მათი მხარდაჭერის მოლოდინს ქმნის (სამიზნე ჯგუფები, პრესუპოზიცია).

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	შედარება	8
2	მეტაფორა	5
3	ფრეიმი	5
4	ციტირება	5
5	შეფასებითი სემანტიკის სიტყვები	4
6	ირონია	4
7	გამეორება	3
8	სტატისტიკა	3
9	იდიომი	2
10	დისკრედიტაცია	2
11	სპეცენა	2
12	სხვა	5
	სულ	48

დიაგრამა №7 კობახიძის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

ირაკლი კობახიძისთვის, ისევე, როგორც თალაკვაძისა და ვოლსკისთვის, დამახასიათებელია მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის სტრატეგია, რასაც ძირითადად, სტილისტური ხერხის –შედარების საშუალებით გამოხატავს, შედარება კი ოპოზიციის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდსა და ახლანდელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდს ეხება. კობახიძის მიერ გამოყენებული ენობრივი მანიპულაციის შემდეგი მეთოდია მეტაფორა, იგი ასევე იყენებს ფრეიმებსა და შეფასებითი სემანტიკის აბსტრაქტულ სიტყვებს.

4.2.2 ქართული ოპოზიციური პარტიების საპარლამენტო დისკურსის ანალიზი

სალომე სამადაშვილი –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 2004-2005 წლებში საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, (აქ აღნიშნეთ, რომ ამჟამად აღარ არის ამ პარტიის წევრი) 2005-2007 წლებში საქართველოს საგანგებო და

სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდებში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი. 2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 2017 წლიდან იკავებდა პარლამენტის ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილის პოსტს. 2017 წლის 13 თებერვლიდან იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

კვლევის დროს გავაანალიზეთ სალომე სამადაშვილის 15 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებისათვის შერჩეულ იქნა 31 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 62 ერთეული.

სალომე სამადაშვილის საპარლამენტო გამოსვლები, უმთავრესად, საგარეო პოლიტიკას და არსებული ხელისუფლების კრიტიკას ემსახურება. მანიპულაციის საშუალებებიდან აქტიურად იყენებს მეტაფორას, ირონიასა და მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის სხვადასხვა საშუალებას:

29. „თანამდებობა, რომელიც უნდა ყოფილიყო ხერხემალი ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობის და სამართლიანობის, გახადეთ ივანიშვილის უკანონო მმართველობის ხერხემლად“ (2019 წლის 21 მარტი).

ხერხემალი ძუძუწოვრების და მათ შორის, ადამიანის აგებულების ძირითად საყრდენს წარმოადგენს, მას ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იყენებენ რაიმე მნიშვნელოვანის, მთავარი დასაყრდენის აღსანიშნავად. *ივანიშვილის უკანონო მმართველობის ხერხემლი აქ უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება. უკანონო მმართველობის ხერხემლი უკანონობის მთავარ დასაყრდენეს ნიშნავს, რაც სუბიექტის დისკრედიტაციას ემსახურება (მეტაფორა, ფრეიმი).*

30. „ქვეყანა იწვის ცეცხლის ალში, მიმოიხედეთ თქვენ გარშემო რა ხდება, დავით გარეჯში, დავით გარეჯთან მიმართებით რა განცხადებები

კეთდება, ძალიან შემაშფოთებელი და ძალიან დამაფიქრებელი“ (2019 წლის 2 მაისი).

ქვეყანა იწვის ცეცხლის ალში – მეტაფორა. ასე ეხმაურება სამადაშვილი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შემნილ ვითარებას, სადაც ქართველი სამოქალაქო აქტივისტები აზერბაიჯანული მხარის მიერ საქართველოს საზღვართან, დავით გარეჯის, ქართული კულტურის უძველესი კერის მიმდებარედ გზის მშენებლობას აპროტესტებენ. საღვრების თემა საქართველოსთვის ყოველთვის სენსიტიური იყო, მაგრამ ამ პერიოდში, როცა ქვეყნის ტერიტორიების 20%-ზე მეტი ოკუპირებულია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული კვადრატული მეტრის დაცვა, მით უფრო, რომ ეს ეხება ქვეყნის უძველეს კულტურულ და რელიგიურ კერას. ისედაც დამაბულ სიტუაციას სამსადაშვილი კიდევ უფრო აზვიადებს და ამბობს: **ქვეყანა იწვის ცეცხლის ალში**. ისედაც ადელვებულ მოსახლეობაში მსგავსი გამოთქმები კიდევ უფრო მეტი შიშის, დაუცველობისა და ქაოსის ტალღას იწვევს. ქაოსი და გაურკვევლობა, კი მანიპულაციის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია, ვინაიდან ქაოსში იკარგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და მასები ემოციებით იმართება (*ფრეიმი, მეტაფორა, შიშს, ქაოსის, უიმედობის განცდის დანერგვა*).

31. *„გუშინ მთელი დღე ვუსმენდით ქალბატონ თეა წულუკიანს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რომელმაც რატომღაც გადაწყვიტა, რომ ამ ტრიბუნიდან გვესაუბროს უმანკოების მანტიამოსხმულმა და მორალური უპირატესობის კვარცხლბეკზე ასულმა“ (2019 წლის 21 მარტი).*

სამადაშვილი ცდილობს მინისტრის დემორალიზაციას. **რატომღაც გადაწყვიტა** – ნიშნავს რომ თვითნებურად, უსაფუძვლოდ მოირგო უმანკოების მანტია და კვარცხლბეკზე ავიდა. კვარცხლბეკზე, როგორც წესი, ღირსეულ, გამორჩეული ღვაწლით დაფასებული გმირები აჰყავთ. უდგამენ ძეგლს. აქ კი რატომღაც გადაწყვიტა –პრესუპოზიციანაა, რომელიც გულისხმობს, რომ მინისტრმა

ეს თვითნებურად გადაწყვიტა ისე, რომ მას არ დაუმსახურებია (ირონია, მეტაფორა, პრესუპოზიცია).

32. „უზარმაზარი წვლილი შეიტანეთ პოლიციისა და კონკრეტული მოქალაქეების ჯგუფებს შორის დაპირისპირების ინსპირირებაში, ვიდრე ვინმემ უკანასკნელი წლების მანძილზე“ (2019 წლის 2 მაისი).

წვლილის შეტანა რაიმე სასიკეთო საქმიანობას, სასარგებლო საქმეში მონაწილეობას გულისხმობს. აქ სამადაშვილი მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის მიზნით, ირონიულად იყენებს მას, ვინაიდან *მოქალაქეების ჯგუფებს შორის დაპირისპირების ინსპირირება* სულაც არ არის სასარგებლო საქმიანობა, პირიქით, დაპირისპირებას ხშირად ძალიან უარყოფითი შედეგი მოჰყვება (ირონია, მბრალდება).

33. „მათ უქმნის განცდას, რომ ისინი არიან სრულიად უსუსური, რეალურად დავითსა და გოლიათს ბრძოლაშიც კი სუსტმა შეიძლება რომ გაიმარჯვოს და სწორედ ძალაუფლება ამ ქვეყანაში, პირველ რიგში, ეკუთვნის ქართველ ხალხს“ (2017 წლის 7 აპრილი).

ბიბლიური ალუზია–საზოგადოებას, რომელიც თავს უსუსურად მიიჩნევს, ახსენებს, რომ სუსტსაც შეუძლია გამარჯვება, როგორც ეს დავითმა მოახერხა გოლიათის წინააღმდეგ და ცდილობს ხელისუფლების წინააღმდეგ წააქეზოს ხალხი და ახსენებს, რომ *„ძალაუფლება ამ ქვეყანაში, პირველ რიგში, ეკუთვნის ქართველ ხალხს“*, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ბაზისს წარმოადგენს (*შედარება, ბიბლიური ალუზია, მასებზე ზემოქმედება*).

სალომე სამადაშვილი გამოირჩევა მხატვრული ხერხების გამოყენების სიხშირით, მათ შორის, ლათინიზმებისა და ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით:

34. „ამიტომ, დიახ, „სი ვის პარკემ პარაბელუმ“, აი ეს არის ჩვენი, მოტო, ჩვენი სახელმწიფოსი, რომ მოემზადე ომისთვის, თუ გინდა იცხოვრო მშვიდობაში“ (2019 წლის 2 მაისი).

35. „თვალში ნაცარს აყრით საზოგადოებას, რომ ვითომ მსჯელობთ ამ დარბაზში რაიმე მნიშვნელოვანზე და სინამდვილეში იმ რეკომენდაციების გათვალისწინებაც არ გინდათ, ვენეციის კომისიის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების“ (2019 წლის 2 მაისი).

თვალში ნაცარს აყრით –გერმ. *jmdm. Sand in die Augen streuen* (Sand- ქვიშა, Asche- ნაცარი) - უნივერსალური წარმოშობის იდიომური ფრაზეოლოგიზმია, რაც მოტყუებას, სიმართლის დაფარვას გულისხმობს (ფრაზეოლოგიზმი).

36. „ხუთი ქართველიდან ერთი, ხუთი მოქალაქიდან ერთი ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობს უკიდურეს სიღატაკეში და თითქმის 70 %-ი, 2,6 მილიონი ცხოვრობს სიღარიბეში, ეს არის ის სტატისტიკა და ის მონაცემები“ (2018 წლის 21 დეკემბრი).

სტატისტიკის გამოყენება მანიპულაციური მიზნებისთვის წყაროს მითითების გარეშე; პოპულიზმი–ადამიანების ემოციურ გაღიზიანებას ემსახურება. (ემოციონალიზაცია, ჰიპერბოლა, გაზვიადება, პოპულიზმი, სტატისტიკა).

37. „თქვენ ბრძანდებით ის პოლიტიკოსი, რომელმაც საკუთარი თანაგუნდელები, ყოფილი პოლიტიკური მოკავშირეები, ის ხალხი, ვისთან ერთადაც იბრძოდა, გაწირეთ, მგლის ხახაში ჩააგდეთ, როდესაც, კაბელების საქმეს ვგულისხმობ, თქვენი საკუთარი ყოფილი თანაპარტიელები გახდნენ მორიგი მსხვერპლი ივანიშვილის რეჟიმის და ხმა არ ამოვიღიათ იმაზე“ (2019 წლის 21 მარტი).

საკუთარი თანაგუნდელები მგლის ხახაში ჩააგდეთ – გაწირეთ, საფრთხეში ჩააგდეთ, პრესუპოზიციას, თუ საკუთარ თანაგუნდელებს გაწირავთ, სხვებს მითუმეტეს არ დაინდობთ. მეგობრის, თანამოაზრეების ღალატს ქართველი ხალხი არავის პატიობს, მეგობრის ერთგულება საზოგადოებაში ნდობას და პატივისცემას იმსახურებს, ღალატი კი – უნდობლობას. მორიგი მსხვერპლი, თავის თავში გულისხმობს, რომ სხვა ბევრი მსხვერპლი არსებობს, რაც დანაშაულის

სისტემურობას უსვამს ხაზს. **კაბელების საქმე** – საკუთარი თანაგულდებლების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის ფრეიმად იქცა (*ფრეიმი, ფრაზეოლოგიზმი, პრესუპოზიცია, კოლექტიური მეხსიერების სიმბოლო*).

38. „ეს კრიზისი შექმნით თქვენ და თქვენს დაქვემდებარებაში მყოფმა ადამიანებმა შემდეგ, ეს კრიზისი განვმუხტოთ და მოვევლინოთ ქართულ საზოგადოებას **ცხენზე, ამხედრებული რაინდის** სახით სტაბილურობის გარანტად, როგორც ჩანს, ასე ესახება თქვენს **პოლიტიკურ პატრონს**“ (2019 წლის 2 მაისი).

ეს კრიზისი შექმნით თქვენ – დადანაშაულება, ცილისწამება, კრიზი თავისთავად უარყოფითი მდგომარეობაა და ამ ამდგომარეობის ხელოვნურად შექმნა ორმაგად ამძიმებს ბრალდებას. **ცხენზე ამხედრებული რაინდი** რაინდული რომანების გმირების მეტაფორაა, რომელიც ირონიას ემსახურება. იდეალური რაინდები არ არსებობენ და ასეთი რაინდის ხელოვნურად შექმნის მცდელობა იდეაშივე განწირულია. ამავე წინადადებაში სამადაშვილი აგრძელებს მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას და დასძენს: *ასე ესახება, თქვენს პოლიტიკურ პატრონს*. (ირონია, მეტაფორა, ბრალდება).

39. „რაც მანამდე თქვით არის **ჰაერის რხევა** და ეხლა, რასაც იტყვით, ისიც ასეთივე **ფუჭი ჰაერის რხევაა იმიტომ, რომ ამაში აისახება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური არსი და როგორც გაფუჭებული საათი დღეში ერთხელ აჩვენებს ნამდვილ დროს**“ (2018 წლის 21 დეკემბერი).

ფუჭი ჰაერის რხევა – მეტაფორა, უშინაარსო საუბარი, ლაყბობა. შედარება – *როგორც გაფუჭებული საათი დღეში ერთხელ აჩვენებს ნამდვილ დროს* – ტყუილში დადანაშაულება (ბრალდება, მეტაფორა, შედარება)

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	მეტაფორა	14
2	ირონია	11
3	ბრალდება	7
4	შიშის დანერგვა	4

5	ემოციონალიზაცია	4
6	შედარება	3
7	იდიომი	3
8	პოპულიზმი	3
9	ჰიპერბოლა	3
10	სამიზნე ჯგუფები	2
11	სხვა	8
სულ		62

დიაგრამა №8 სამადაშვილის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

სამადაშვილი ბოკერიას მსგავსად გამოირჩევა ირონიული საშუალებების გამოყენების სიხშირით. იგი ასევე წარმატებით იყენებს მეტაფორებს, შედარებებსა და იდიომებს. მისთვის დამახასიათებელია სიტუაციის მკვეთრად დრამატიზება და მოსახლეობაში შიშისა და უიმედობის განცდის პროვოცირება, საამისოდ იყენებს პოპულიზმს, ჰიპერბოლას და ემოციონალიზაციის სხვადასხვა საშუალებას.

გიგა ბოკერია – „ევროპული საქართველო“ – 2004-2008 წლებში იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“. 2005-2008 წლებში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ვიცე-პრეზიდენტი. 2008 წლიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 2010 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი. 2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 2017 წელს თანამოაზრეებთან ერთად დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და შექმნა ახალი პარტია „ევროპული საქართველო“.

კვლევის დროს გავააალიზეთ გიგა ბოკერიას 12 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებისათვის შერჩეულ იქნა 50 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა ენობრივი მანიპულაციის 97 საშუალება.

ბოკერია ოპოზიციის აქტიური წევრია, ეხმიანება თითქმის ყველა საკითხს, რაც პარლამენტში განიხილება: ბიუჯეტი, საგარეო პოლიტიკა, განათლება,

სასამართლო და ა.შ. იყენებს მანიპულაციის უამრავ საშუალებას. გამოყენების სიხშირით ირონია და მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის სხვა საშუალებები სჭარბობს.

40. „ვინ არის, ვისი მძევალი ხართ თქვენ, რომ წვალობთ ასე პოლიტიკურად, ბატონო გიორგი“ (2018 წლის 21 დეკემბერი).

რიტორიკული კითხვა– ვისი მძევალი ხართ? პირდაპირ მოითხოვს მოწინააღმდეგისგან აღიაროს, რომ ვინმეს მძევალია. რომ არ არის დამოუკიდებელი და ვინმეს ზედამხედველობის ქვეშ, ტყვეობაში იმყოფება. ცხადია, ამის აღიარების მოლოდინი მას არ აქვს, მაგრამ ამ ხერხით მან მსმენელს უკვე მიაწოდა სათქმელი, მსმენელს კი გამომსვლელის დამოუკიდებლობაში ეჭვი შეეპარება (რიტორიკული კითხვა, მეტაფორა).

41. „და თქვენ თუ გგონიათ, რომ უპატივცემულობა ეს არის „ევროპული საქართველოს“ მიმართ ანუ პოსტის მიმართ, ცდებით. ეს არის მთელი პარლამენტის და საზოგადოების მიმართ უპატივცემულობა, როცა პრემიერ-მინისტრი მოდის და სადღეგრძელოებს იძახის და ელის ტაშს, თან გაუგებარ ადგილებში აბსოლუტურად და კითხვებზე პასუხი არანაირი არა აქვს, მე სხვა კომენტარი ვერც მექნება“ (2019 წლის 20 მარტი).

სადღეგრძელო –ქართულ კულტურაში ვინმეს სადიდებლად, სადღეგრძელებლად წარმოთქმული სიტყვაა, რომელსაც ხშირად ლექსებითა და მაღალფარდოვანი სიტყვებით გადმოსცემენ. სიტყვა – **სადღეგრძელომ** ბოლო დროს შეიძინა გადატანითი მნიშვნელობა, რაც ნიშნავს ცარიელი სიტყვების გროვას, რომელსაც შედეგი არ მოჰყვება. ამავე წინადადებაში აგრძელებს – **ელის ტაშს, თან გაუგებარ ადგილებში** . ამით იგი მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას ეწევა, ტაში მოწონების, დასტურის ნიშანია, ხშირად მას გამომსვლელის გასამხნეველადაც იყენებენ (ირონია, ფრეიმი, კოლექტიური მეხსიერების სიმბოლო).

42. „ამ ფონზე ძალიან გთხოვთ, ოღონდ თქვენებურად, პირდაპირ და ომბიანად მითხარით, როგორ აფასებთ პროკურატურის მუშაობას, ძალიან ცუდად, უკიდურესად ცუდად, თუ უბრალოდ ცუდად. მე სხვა ვარიანტს ვერ ვხედავ და იქნებ არ მოგერიდოთ და გვითხრათ“ (2019 წლის 20 მარტი). (ირონია. რიტორიკული კითხვა, სარკაზმი).

43. „გადასახადები ყველაზე დაბალი გვაქვს. თქვენ მართალი ბრძანდებით. ბევრ ქვეყანაზე უფრო კარგ ფორმაში ვართ მაგ პარამეტრებით, ოღონდ, ეგ იმ შავზნელი წარსულის მემკვიდრეობაა, რომელზეც ასე საუბრობთ ხოლმე თქვენ“ (2019 წლის 20 მარტი).

ბოკერია ხშირად ეთანხმება მოწინააღმდეგეებს რაღაც საკითხებში, მაგრამ შემდგომში მათ მიერ გამოყენებული მოსაზრებების საკუთარ ინტეპრეტაციას გვთავაზობს. სინამდვილეში მოწინააღმდეგეს კი არ ეთანხმება, მოწინააღმდეგის გამონათქვამს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იყენებს. იმ შავზნელი წარსულის მემკვიდრეობა—ასე მოიხსენიებს ხელისუფლება ახლანდელი ოპოზიციის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს. ბოკერია კი ახსენებს, რომ შავზნელ წარსულში ყველაზე დაბალ გადასახადებს იხდიდა მოსახლეობა, და ეს იმ ხელისუფლების დამსახურებაა სწორედ (ფრეიმი, ირონია).

44. „აქ ერთი ადმიანი გამოდიოდა, თქვენი გუნდის ახალი ვარსკვლავი არის შედარებით“ (2016 წლის 14 დეკემბერი) (მეტაფორა, ირონია).

45. „თქვენ შორისაც არის ხალხი, წარმოიდგინეთ, ეგეთებიც კი არიან, ვინც ხვდება, რასაც მე ახლა ვიძახი“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია, პრესუპოზიცია – თქვენი გუნდის უმრავლესობა სულელია, მე რასაც ვსაუბრობ, მათთვის გაუგებარია და არ ჰყოფნით უნარი ჩასწვდნენ ჩემს ნათქვამს, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოგიერთი თქვენგანი ხვდება კიდევ რასაც ვამბობ (ირონია, სარკაზმი, პრესუპოზიცია).

46. „რა უნდა მოხდეს, რომ თქვენ გამოფხიზლდეთ, არაფერი გარდა ამომრჩევლების მიერ თქვენთვის გამოტანილი პოლიტიკური განაჩენისა, როცა არჩევნებით გაგისტუმრებთ“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

განაჩენი – მოსამართლის გადაწყვეტილებაა, რომელიც დამნაშავეს გარკვეული ტიპის პასუხისმგებლობას ანიჭებს (პატიმრობა, ჯარიმა და სხვა). ბოკერია მკვეთრი, რადიკალური შეფასებების დროს ხშირად იყენებს სიტყვას **პოლიტიკური, მაგ., პოლიტიკური უმცრება, პოლიტიკური დანაშაული, პოლიტიკური სისულელე**, ამით იგი პასუხისმგებლობას იხსნის, მაგრამ თავის სათქმელს მაინც ამბობს, რაც საზოგადოებას ცხადია, უყურადღებოდ არ დარჩება. **გაგისტუმრებთ** – მეტაფორაა, რომელიც დამარცხებას ნიშნავს (პრესუპოზიცი, ფრეიმი, მეტაფორა).

47. „დროზე გამოიბერტყეთ პოლიტიკურად ყური და დავჯდეთ საარჩევნო რეფორმაზე, პროპორციულ სისტემაზე გადაყვანაზე არჩევნების წინააღმდეგ შემთხვევაში მოგივათ“ (2018 წლის 12 დეკემბერი).

ამ წინადადებაში იგი კვლავ იმეორებს: **პოლიტიკურად გამოიბერტყეთ ყური**. ყურის გამობერტყვა –სომატური ფრაზეოლოგიზმია, რაც ფხიზლად ყოფნას, ყურადღების მიქცევას, გამოფხიზლებას ნიშნავს. ბოკერია მოუწოდებს ოპონენტებს სიფხიზლისა და სიფრთხილიკენ. „წინააღმდეგ შემთხვევაში მოგივათ –მუქარა, მოგივათ –პასუხს აგებთ“ (მუქარა, მოწოდება, პრესუპოზიცია).

48. „ბიუროკრატია ბევრ ფულს ჭამს და ოლიგარქის კაპრიზებზეა ყველაფერი დამოკიდებული“ (2016 წლის 14 დეკემბერი)(დისკრედიტაცია, პერსონიფიკაცია).

49. „არის ქვეყნები ჩვენზე ასჯერ უფრო მდიდარი და ღრმა ტრადიციით ეკონომიკური სიძლიერის, ვინც ამ გზაზე დადგა, მემარცხენე ექსტრემისტების და დაანგრის უმდიდრესი ქვეყნები. ერთი მაგალითი არის არგენტინა. დაინტერესდით და გაიგებთ, კატასტროფამდე მიიყვანეს. ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენთან ჯერ მანდ არა ვართ, მაგრამ ეს მოლიბულო

გზა მანდ მიდის. გადასახადების ზრდის რეგულაციების ბოლოს, გარწმუნებთ, ამ დარბაზში დაგვიწყებენ მტკიცებას, როგორ უნდა შეზღუდონ უცხოურ ვალუტაში ოპერაციები და ამით დაიცვან სამამულო წარმოება. მიხვალთ აქამდე და მერე იქნება გვიან!” (2016 წლის 14 დეკემბერი).

როცა საშიშროება ძალიან დიდია და მისი არიდება ადამიანის ძალას აღემატება, გამოიყენება გამოთქმა **ღმერთმა დაგვიფაროს**. ამით ბოკერია გადასახადების მოსალოდნელ გაზრდას ეხმიანება, იგი შედარებას აკეთებს სხვა ქვეყნებთან და ხელისუფლებას მოუწოდებს მსგავსი მაგალითი არ გაიმეოროს და მიანიშნებს, რომ ის გზა, რომელსაც ისინი ადგანან, *მოლიპულია*, ძალიან სახიფათოა და ამთავრებს მუქარით: **„მერე იქნება გვიან. გამოსწორება შეუძლებელია“** (მეტაფორა, შიშის დანერგვა, შედარება, მუქარა).

50. „როგორ უნდა შევაჯამოთ საერთოდ თქვენი მმართველობა ეს 5-წლიანი. ...

ეს არის გაზრდილი გადასახადები, გაზრდილი ვალები სამთავრობო, რომელიც დაუტოვეთ შემდეგ თაობებს. გაზრდილი კორუფცია, გაზრდილი კრიმინალი, გაზრდილი გავლენა რუსეთის ჩვენი ქვეყნის შიგნით და შემცირებული შემოსავალი ბევრი ოჯახისთვის, რეალური მსყიდველობითი უნარიანობით შემცირებული პენსია, შემცირებული ეკონომიკური ზრდა, შემცირებული რწმენა ჩვენი საზოგადოების... ეს არის უმძიმესი განაჩენი, რომელიც თქვენ გამოუტანეთ ამ მომენტში ჩვენს ქვეყანას“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

გაზრდილი გადასახადები – ფრეიმინგი. ცხადია, მოსახლეობა არ ემხრობა გადასახადების გაზრდას, რომელიც ყველამ საკუთარი შემოსავლიდან უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს, გაზრდილი გადასახადი პირდაპირ მიუთითებს შემცირებულ შემოსავალს, შემცირებული შემოსავალი კი ყველა ადამიანის სატკივარია და ნიშნავს გაუარესებულ ყოფით პირობებს. შემცირებული პენსია, შემცირებული რწმენა –საზოგადოებაში უიმედობის განცდის გაჩენას უწყობს

ხელს. საზოგადოების კიდევ უფრო გასაღიზიანებლად ხელისუფლების წინააღმდეგ დასძენს, რომ გაზრდილია კრიმინალი და რუსეთის გავლენა ქვეყანაში. ამაში კი მხოლოდ თქვენ ხართ დამნაშავე - ეს არის უმბიმესი განაჩენი, რომელიც თქვენ გამოუტანეთ ამ მომენტში ჩვენს ქვეყანას (მეტაფორა, ემოციონალიზაცია, დისკრედიტაცია, უიმედობის დანერგვა, ფრეიმი).

51. „ხარჯავთ გადასახადების გადამხდელების ფულს და ფლანგავთ კარგ შემთხვევაში, ან ვილაცები იპარავენ. ამის ნაცვლად ის ფული აღარ გამოართვათ ამ ხალხს და ფასების ზრდა აღარ იქნება ან ნაკლები მაინც იქნება“ (2018 წლის 12 დეკემბერი).

საზოგადოებაში აშკარა პროტესტს და უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, რადგან ყველამ იცის, ბიუჯეტი ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებით ივსება და იგი აუცილებლად უნდა მოხმარდეს ქვეყნის განვითარებას. მისი ხარჯვა და უკეთეს შემთხვევაში ფლანგვა (ოქსიმორა - ფლანგვა ხარჯვასთან შედარებით კიდევ უფრო მავნებლურია და არ შეიძლება იყოს უკეთესი) კი, რასაკვირველია, საზოგადოებას ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განაწყობს (ემოციონალიზაცია, დისკრედიტაცია). (ზრალდება, ფრეიმი, ზედსართავის სახელის ფორმები).

52. „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სუვერენიტეტის გადარჩენისთვის არის მნიშვნელოვანი ნატოში გაწევრიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ მოხდება თუ სუვერენიტეტი არა გაქვს, თორემ ეგეთი აღდგენილი მთლიანობა საბჭოთა კავშირის დროს გვექონდა, როცა ჩვენი ქვეყანა ჩვენ არ გვეკუთვნოდა“ (2019 წლის 4 აპრილი).

„ჩვენი ქვეყანა ჩვენ არ გვეკუთვნოდა, არ ვიყავით დამოუკიდებულები“ – ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პერიფრაზი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდებოდა“ , რაც ქვეყნის დამოუკიდებლობას გულისხმობს. ტერიტორიული მთლიანობადაკარგული რეგიონების ფრეიმს წარმოადგენს, რომელიც ჩვენი

თანამედროვე ისტორიის ყველაზე მტკივნეული წარსულის გახსენებას იწვევს. (კოლექტიური მეხსიერების სიმბოლო, ირონია).

53. „სანამ თქვენი უფროსი, ივანიშვილი, არის მოცული მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებით, ნებისმიერ ფასად და ტივტივით აი, ამ ჭაობზე, როგორსაც ის ხედავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომ ყველას უნდა გაუსწორო, რომ ნეპოტიზმი და ჩაწყობა არის ქართველების, თურმე, ბუნებრივი თვისება, მის ციტირებას ვახდენ, სანამ ამ მენტალიტეტის ხართ თქვენ, მანამდე ვერაფერი ვერ შეიცვლება. ამიტომ, უნდა შეიცვალოთ თქვენ, მშვიდობიანად და დემოკრატიულად“ (2018 წლის 21 დეკემბერი) (მეტაფორა, ირონია, დისკრედიტაცია).

54. „ახლა რაც შეეხება სასკოლო გამოცდებს. აქ ვუსმენდი აი ასეთი აბსურდის თეატრი, აი მართლა იშვიათად, ამ დარბაზშიც, კი იშვიათად ხდება, „ქართული ოცნების“ უმრავლესობის პირობებშიც კი“ (2019 წლის 5 აპრილი).

აბსურდის თეატრი – ფრანგული დრამატურგიის მიმართულება, სადაც მოქმედება ზღაპრულ, გამოგონილ სამყაროში მიმდინარეობს, არ ემორჩილება ლოგიკას, დროს და სივრცეს. გადატანითი მნიშვნელობით არარეალურ, არალოგიკურ ან წარმოუდგენელ მდგომარეობას აღნიშნავს. **ირონია – მართლა იშვიათად, ამ დარბაზშიც, კი იშვიათად ხდება** –პრესუპოზიცია, ამ დარბაზში ხშირად აქვს აბსურდის თეატრებს ადგილი, მაგრამ ეს მეტისმეტია, აქაც კი არ ყოფილა ჯერ ამდაგვარი. (ირონია, მეტაფორა).

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	ირონია	25
2	მეტაფორა	18
3	ფრეიმი	7
4	დისკრედიტაცია	7
5	სამიზნე ჯგუფები	5
6	მუქარა	5
7	მოწოდება	4

8	რიტორიკული კითხვა	4
9	ბრალდება	3
10	ზედსართავი	2
11	სხვა	17
სულ		97

დიაგრამა №9 ბოკერიას მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

სხვა დეპუტატების მსგავსად, გიგა ბოკერიას მანიპულაციის უმთავრეს სტრატეგიას მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია წარმოადგენს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ბოკერია განსაკუთრებული ირონიულობით გამოირჩევა და ერთ-ერთ სხდომაზე აღნიშნა კიდევ, რომ ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელსაც ძალაუფლების უამრავი ფორმალური საშუალება აქვს, მისი ერთადერთი იარაღი ირონიაა. გარდა ირონიისა, იგი ასევე იყენებს მეტაფორებს, ფრეიმებს, მუქარას, პოლარიზებულ ზედსართავ სახელებსა და მანიპულაციის სხვა საშუალებებს (სრული სია იხილეთ დანართი №1).

ირმა ინაშვილი – მემარჯვენე-კონსერვატიული პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, ჟურნალისტი. 1993–2005 წლებში იყო სახელმწიფო ტელევიზია „პირველი არხის“ მთავარი რედაქტორი, 2003–2010 წლებში „მედია-კავშირ „ობიექტივის“ მთავარი რედაქტორი, 2010–2012 წლებში ამავე კომპანიის პროგრამების დირექტორი, 2013–2014 წლებში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში. 2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკის– „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი –„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

კვლევის დროს გავაანალიზეთ ირმა ინაშვილის 13 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა 51 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა ენობრივი მანიპულაციის 90 საშუალება.

ინაშვილი თავის გამოსვლებში ხშირად მიმართავს მანიპულაციის პოპულისტურ ხერხს, საუბრობს ზოგადად, არის ზედაპირული და არ მოჰყავს არგუმენტები, ცდილობს მანიპულირება მოახდინოს საზოგადოებისთვის სენსიტიური თემების გააქტიურებით. განსაკუთრებით ხშირად მოიხმობს ისტორიული მეხსიერების ფიგურებსა და კოლექტიურ სიმბოლოებს: *ეროვნულობა, პატრიოტიზმი, საქართველოს გაერთიანება*. მისი გამოსვლის მთავარი თემა საზოგადოებისათვის მტკივნეული საკითხები –სოციალური სიდუხჭირე და სიღარიბეა, ითხოვს არარეალისტური საკითხების დაუყოვნებლივ გადაჭრას. მის საპარლამენტო გამოსვლებში დიდი ადგილი უჭირავს მეტაფორას:

55. *„მაგრამ ვატყობ ხელისუფლება არ აპირებს ფუნდამენტური საარჩევნო რეფორმის გატარებას და გვტოვებს იმ ვაკუუმში, სადაც გამარჯვებული იქნება ერთი პარტია, „ქართული ოცნება“ და ის აპირებს ხელისუფლებაში მარადიულად დარჩენას, ჩვენ ისეთი დემოკრატია უნდა ავაშენოთ, სადაც ხელისუფლებებს შეეცვლით არჩევნების გზით და არა ისეთი, როცა მოვა ერთი პარტია და მოინდომებს სამარადჟამოდ იყოს ხელისუფლებაში.“* (2017 წლის 7 აპრილი) (მეტაფორა, ბრალდება).

56. *„რომ თქვენ გამოდიხართ, ლაპარაკობთ თქვენს მიღწევებზე, მე მახსენდება ბრეჟნევი და ანდროპოვი და თქვენ ჩემზე ასაკით უფრო ახალგაზრდები ხართ და, წესით, ეს საბჭოთა აზროვნება თქვენში არ უნდა ბუდობდეს და არ უნდა ცოცხლობდეს და სად გაიზარდეთ, რომელ უბანში, რომელ სკოლაში სწავლობდით. საბჭოთა ეპოქაში არ გიცხოვრიათ, მე მგონი, მე ასე მგონია“* (2017 წლის 7 აპრილი).

ორმა ინაშვილი უარყოფით ხშირად ადარებს საქართველოს მდგომარეობას *საბჭოთა კავშირთან*, მაგრამ მისი იდეოლოგია და მისწრაფებები კვლავ რუსეთს უკავშირდება. კოლექტიური მეხსიერების ფიგურის გამოყენებით იგი საზოგადოებაზე ზემოქმედებას ცდილობს. *ბრეჟნევი და ანდროპოვი* ისტორიული მეხსიერების ფიგურები არიან. ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნები იყვნენ, ანდროპოვი განსაკუთრებით გამოირჩეოდა დისიდენტების წინააღმდეგ გატარებული მკაცრი პოლიტიკით (რიტორიკული კითხვა, ისტორიული მეხსიერების ფიგურები, შედარება).

57. *„პირდაპირ საარჩევნო უბნების წინ ყიდულობენ უკვე ამომრჩეველს და მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ ღარიბი ქვეყანა, როგორც დღეს საქართველოა, ეს გაწყობთ თქვენ და მიზანმიმართულად ხდება ეკონომიკის განვითარების შეფერხება, მიზანმიმართულად ხდება ახალი სამუშაო ადგილების არ აღმოცენება იმიტომ, რომ ღარიბი ქვეყნის მართვა ადვილია და მშვიერი ამომრჩევლის მოსყიდვაც ადვილია, რომელსაც სახლში შვილი ჰყავს და იმ შვილს არც ფეხსაცმელი აქვს, არც წიგნი და არც წამალი“* (2017 წლის 7 აპრილი) (პოპულიზმი, დისკრედიტაცია, გაზვიადება).

ინაშვილი ამომრჩევლის მოსყიდვაში ხელისუფლებას საჯაროდ ადანაშაულებს: *„უბნების წინ ყიდულობენ უკვე ამომრჩეველს“* – ამ შეფასებით იგი ამომრჩეველსაც აყენებს შეურაცხყოფას, თუმცა შემდეგში ამის გამოსწორებას ცდილობს და სიღარიბეს ასახელებს მიზეზად, სიღარიბეს, რომლის ხელოვნურ შექმნასა და შენარჩუნებაში კვლავ ხელისუფლებას სდებს ბრალს – *ღარიბი ქვეყნის მართვა ადვილია და მშვიერი ამომრჩევლის მოსყიდვაც ადვილია*. ინაშვილის სტრატეგია საზოგადოების შეჭირვებული ნაწილის ყოფითი პრობლემებით მანიპულირებაა, ვინაიდან ასეთი მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენს და მათი მხარდაჭერა, ცხადია, მნიშვნელოვანია (პოპულიზმი, ბრალდება, მეტაფორა).

58. *„ვხედავთ, რომ არ დაისაჯენ ძალიან დიდი ნაწილი ამ დამნაშავე პირებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს ვგულისხმობ, რატომ არ დაისაჯა ეს ხალხი და მეტს გეტყვით „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ ვეუბნები, რომ თქვენ ხართ დანაშაულის თანამონაწილე, იმიტომ რომ დამნაშავეებს აფარებდით ხელს მთელი ამ წლების განმავლობაში და*

დღესაც განაგრძობთ დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ბატონ ბოკერიას არ ექნებოდა ის გონორი, რაც აქვს და მე მინდა შეგახსენოთ ის მძიმე დღეები, აგვისტოს ომის მძიმე დღეები, როდესაც პირდაპირ გაყიდეთ და გააჩუქეთ კოდორი და ახალგორი“ (2019 წლის 4 აპრილი).

ინაშვილი კოლექტიური მეხსიერების ფიგურის გამოყენებით საზოგადოებაზე ზემოქმედებს სენტემენტალიზმის გააქტიურების გზით. იგი ხელისუფლებას ადანაშაულებს დამნაშავეების დაცვაში, ხელის დაფარებაში. დანაშაულის დაფარვა კი თავის მხრივ, დანაშაულია. იგი იხსენებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, ომი თავისთავად, შემზარავი ფაქტია, მით უფრო ისეთი უთანასწორო ომი, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის იყო, სრულიად არაპროპორციული ძალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ეს იყო ომი, სადაც თავიდანვე ნათელი იყო რომ დამარცხდებოდა ქვეყანა. ამ ფონზე ინაშვილი ცდილობს კიდევ უფრო გაამძაფროს სიტუაცია და მაშინდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ *გაყიდეს და გააჩუქეს კოდორი*. ისედაც მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც საკუთარ მიწებს მტერს ჩუქნის, ან ყიდის, რასაკვირველია, საზოგადოებაში ნდობას და პატივისცემას ვერ მოიპოვებს (ფრეიმი, მეტაფორა, პრალდება).

59. „ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ეს ბიუჯეტი არის მათი ოჯახების კეთილდღეობა, ეს ბიუჯეტი არის ის, რომ მათ შვილებს არ შიათ, ეს ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ ღირსეული პენსია, ეს ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს აქვთ დაცულობა ჯანდაცვის მიმართულებით, სხვადასხვა სოციალური მიმართულებები და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ორიენტირებულია, სამწუხაროდ, არა ამ ჩვეულებრივ ადამიანებზე, არამედ ასევე ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, რაღაცა ზოგად ციფრებზე“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

სოციალური თემებით მანიპულირება: პენსიისა და ჯანდაცვის ხსენება ბიუჯეტთან მიმართებით გაუთვითცნობიერებელ ამომრჩეველსაც კი დადებითად განაწყობს პოლიტიკოსისადმი.

ინაშვილი ხშირად ეხება მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი საზოგადოების ყოფით პრობლემებს, ასახელებს პრობლემას, რომლის გადაჭრა მოკლე დროში შეუძლებელია, მაგრამ არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან რაიმე სტრატეგიას ან გეგმას არ სთავაზობს მათ, საუბრობს ზოგადად, იყენებს ე.წ ცარიელ ფორმებს, ისედაც მძიმე სიტუაციაში მყოფ მოსახლეობას კიდევ უფრო უმძიმებს ყოფას და მომავლის რწმენას უკარგავს, ტოვებს განცდას, რომ მაინც არაფერი შეიცვლება, მაინც არ გამოსწორდება სიტუაცია, ჩვენთვის არავის არ სცალია, ასეთ უიმედი სიტუაციაში მყოფი საზოგადოების მართვა კი, მოგეხსენებათ, ძალიან მარტივია. ამავე პათოსს აგრძელებს იგი მომდევნო მონაკვეთშიც:

60. „ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს ცოცხალ ადამიანებზე და არა ასვალტებზე და შადრევნებზე, თუმცა ინფრასტრუქტურული პროექტებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ერი ფიზიკურად, აი ამას ვერ ვხედავ ამ ბიუჯეტში და ამიტომ არ გიჭერთ მხარს“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

ასვალტი და ინფრასტრუქტურა ქვეყნის განვითარებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც განათლება, დასაქმება და ჯანდაცვა (საზოგადოების მოთხოვნილებებზე ფოკუსირება, გაზვიადება, პოპულიზმი, შეფასებითი სემანტიკის სიტყვები).

61. „ჩვენ ვართ ღარიბი ქვეყნის დეპუტატები, ჩვენ ვართ ღარიბი ძალიან გაჭირვებული ქვეყნის პარლამენტი, არ ეტყობა არც ჩვენ პარლამენტს, რომ ვართ ამ ღარიბი ქვეყნის პარლამენტი, არ ეტყობა არც პრეზიდენტის ადმინისტრაციას“ (2017 წლის 7 აპრილი).

ამომრჩეველთან გაიგივების მეთოდი: მე ვარ შენ. და შემდეგ შეპირისპირება/დაპირისპირება მმართველ ორგანოებთან - პარლამენტთან და პრეზიდენტთან (პოპულიზმი, ჰიპერბოლა).

62. „მიზანი, ჩვენი კონსტიტუციური სტრუქტურების უმთავრესი მიზანი, ეს არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მაგრამ მე ვატყობ, რომ ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია დღევანდელი ხელისუფლებისთვის... იცოდეთ, რომ ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს. ჩვენ სოხუმთან და ცხინვალთან ერთად გვინდა ცხოვრება მომავალში, შერიგება გვინდა და ჩატეხილი ხიდების აღდგენა გვინდა და არა კოცონების დანთება“ (2019 წლის 4 აპრილი) (პოპულიზმი, მეტაფორა, ემოციონალიზაცია).

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უახლოეს მომავალში უტოპიური ოცნებაა, ამაზე მუშაობა, ცხადია, უნდა მიმდინარეობდეს და მისი მივიწყება არ შეიძლება, მაგრამ შედეგი ერთ საარჩევნო ციკლში ვერ გამოჩნდება, ამის მიუხედავად, ინაშვილი ამ თემით ხშირად მანიპულირებს. ჩატეხილი ხიდების აღდგენა - მეტაფორა, გაფუჭებულ ურთიერთობაზე მიუთითებს, იწვევს სევდიან ემოციას; კოცონების დანთება – ურთიერთობის დაძაბვა, კონფლიქტის წარმოშობა (მეტაფორა, ფრაზეოლოგიზმი, პოპულიზმი).

63. „თუ უნდა გავაგრძელოთ ასეთ ვითარებაში თამაში ერთმანეთთან და ხალხის მოლოდინთან. რომელიც უკვე წკიპზეა და მე, მე მგონი მარტო მე არ მომისმენია დღეს რუსეთის განცხადებები. ჟენევის ფორმატში კრიზისია, კარასინი აბაშიძის ფორმატში კრიზისია, არის ძალიან მკაფიო და მწვავე განცხადებები და ვდგავართ ომის წინა ვითარების რეჟიმში, ახლა ჩვენ და თუ ამას ხელისუფლება აცნობიერებს და ისევე, იმ რიტორიკას განაგრძობს, რომ წითელი ცხვირსახოცი რუსეთს უფრიალოს. ეს ძალიან ცუდია“ (2019 წლის 4 აპრილი)(შიშის, ქაოსის, გაურკვევლობის შექმნა) (გაზვიადება, შიშის დათესვა, მეტაფორა).

64. „ეს რეგლამენტი, ძალიან მაინტერესებს, მაშინ სად იყო ნდობის ჯგუფში რომ ჩვენი ფრაქცია არ შეიყვანეთ და კანონს რომ გადაახტით თავზე ცინიკურად, მაშინ რატომ არ იცავდით სამართლებრივ ასპექტებს, კონსტიტუცია რომ ჯიბეში ჩაიდეთ“ (2017 წლის 7 აპრილი).

რიტორიკული კითხვა – კანონს რომ გადაახტით თავზე – სომატური ფრაზეოლოგიზმია(უპატივცემულობა, დაუკითხავად, რჩევის საწინააღმდეგოდ რისამე გაკეთება, გვერდის ავლა). ჯიბეში ჩადება – იდიომური გამოთქმაა, რისამე მითვისება, მისაკუთრება. ინაშვილი ხელისუფლებას კანონების და მათ შორის უმთავრესი კანონის, კონსტიტუციის დარღვევასა და უპატივცემულობაში ადანაშაულებს (ფრაზეოლოგიზმი, მეტაფორა, ფრეიმი, ბრალდება).

65. „ავად არის ქართული პოლიტიკა დღეს, ავად არის, დაავადებულია მძიმე სენით. ამიტომაც, რომ ახალგაზრდობა არ მოდის პოლიტიკაში“ (2017 წლის 7 აპრილი) (გამეორება, პერსონიფიკაცია, პერსონიფიცირებისას ადამიანი საკითხის მიმართ უფრო ემპათიური ხდება. ავადმყოფობას ადამიანი საკუთარ თავზე წარმოიდგენს და იცის რა რთული მდგომარეობაა, ამიტომაც ქართული პოლიტიკის ავად ყოფნა ინაშვილისთვის ადვილად წარმოსადგენია, თუ რა რთულ სიტუაციაშია ქვეყანა, მით უფო, რომ იგი ამას რამდენჯერმე იმეორებს (გამეორება, პერსონიფიკაცია).

66. „ჩახვალ იორმულანლოში, რომელიც ყველა უბანი მისი არის ხმების ბელელი ხელისუფლებისთვის, ეს გადასარევად იცით თქვენც, გადასარევად იცის ხელისუფლებამაც, ყველამ, მაგრამ ვერ მოვერიეთ ამ საარჩევნო უბნებს და სწორედ ამ უბნების ხარჯზე ხდება ხოლმე მერე ხელისუფლების წარმომადგენლების „ტრიუმფალური“ გამარჯვებები იქ, სადაც წაგებული აქვთ რეალურად იმ კანდიდატებს“ (2019 წლის 31 მაისი).

„ხმების ბელელი“ –ასე მოიხსენიებენ საქართველოს რეგიონების იმ ნაწილს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა არაქართულ ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან და მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ იცის ქართული

ენა. ამ რეგიონებში ტრადიციულად ყოველთვის სახელისუფლებო პარტიები იმარჯვებენ და ამიტომაც უწოდებენ მას ხმების ბელელს, რაც ბრმა მხარდაჭერის ფრეიმად იქცა. ფრაზა – „ეს იცის ყველამ, გადასარევად იცის ხელისუფლებამაც“ – ნიშნავს, რომ აპრიორი ასეა და არავის აქვს განსხვავებული აზრი. **ტრიუმფალური გამარჯვება** – ირონია (ირონია, მეტაფორა, ფრეიმი).

67. „*მე მეჩვენება, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა ძალიან ჰგავს იმ ორკესტრს, სადაც ყველა ინსტრუმენტი უკრავს ცალკ-ცალკე და არის ერთი ჰარმონია*“ (2019 წლის 19 აპრილი) (შედარება, მეტაფორა, ირონია).

ქვეყანა ჰგავს ორკესტრს – შედარებაა. ორკესტრი მოწესრიგებული ერთიანობის, ჰარმონიის სიმბოლოა, მაგრამ ინაშვილი აქ მას ირონიულად იყენებს და ამბობს: ყველა ინსტრუმენტი უკრავს ცალკ-ცალკე და არის ერთი ჰარმონია. ცხადია, თუ ორკესტრში ყველა ცალ-ცალკე უკრავს, ვერ იქნება ჰარმონია (შედარება, მეტაფორა, ირონია).

68. „*ჩვენ გვახსოვს ისევ ის 90-იანი წლები და რისი გახსენებაც არავის არ გვსიამოვნებს ამ დარბაზში*“ (2016 წლის 14 დეკემბერი).

90-იანები საქართველოს ისტორიაში უმძიმესი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პერიოდია (ფრეიმი).

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	მეტაფორა	15
2	პოპულიზმი	12
3	ფრეიმი	8
4	გამეორება	7
5	შიშის დანერგვა	6
6	მუქარა	5
7	რიტორიკული კითხვა	5
8	შედარება	4
9	მოწოდება	4
10	ამომრჩეველთან გაიგივება	4
11	ბრალდება	4
12	ირონია	4
13	ემოციონალიზაცია	4


14	სხვა	8
სულ		90

დიაგრამა №10 ინაშვილის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირმა ინაშვილი უმთავრესად სოციალური საკითხებით ინტერესდება. იგი ხშირად მიმართავს ამომრჩეველთან გაიგივების მეთოდს და პოპულიზმს. სიტუაციის უარყოფითად შეფასებისა და საზოგადოებაზე ემოციური ზემოქმედების მიზნით ხშირად მიმართავს შიშის, ქაოსისა და უიმედობის განცდის გაღვივების ხერხს. სხვა პარლამენტარების მსგავსად ოპონენტების დისკრედიტაცია მისთვისაც ერთ-ერთი დამახასიათებელი სტრატეგიაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი თავდასხმის ობიექტს არა ხელისუფლება, არამედ საპარლამენტო ოპოზიცია წარმოადგენს.

4.2.3 ქართული სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური დისკურსის შედარებითი ანალიზი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს ქართველი პოლიტიკოსების პიროვნული მეტყველების შეფასება არ წარმოადგენდა. ჩვენი ინტერესი იყო იმ პარტიების პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსის განხილვა და სამეტყველო თავისებურებების ანალიზი, რომელთაც 2016 წლის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების საჭირო რაოდენობა მიიღეს და მოიპოვეს საპარლამენტო მანდატები. შესაბამისად, ჩვენი მიზანი იყო სწორედ ამ პარტიების ენობრივი სტრატეგიის განხილვა-გაანალიზება და იმ ენობრივი საშუალებების გამოვლენა, რომლითაც ისინი საზოგადოების ფიქრებზე, აზრებსა და, შესაბამისად, შემდგომ უკვე ქმედებაზე ახდენენ გავლენას.



დიაგრამა №11



დიაგრამა №12

მოცემულ დიაგრამებზე ნაჩვენებია ხელისუფლებისა და ოპოზიციის საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ის ენობრივი საშუალებები, რომლითაც ისინი ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ როგორც დარბაზში მყოფ საზოგადოებაზე, ასევე, საზოგადოების იმ დიდ ნაწილზე, რომელიც მათ უსმენს მედიის საშუალებით.

აღნიშნული დიაგრამები ცხადყოფენ, რომ როგორც ოპოზიციური, ასევე უმრავლესობაში მყოფი პარტიები მანიპულაციის თითქმის ერთსა და იმავე

საშუალებებს იყენებენ, თუმცა სტატისტიკური თვალსაზრისით, ოპოზიციის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა ოდნავ აღემატება ხელისუფლების მიერ გამოყენებულ მანიპულაციის საშუალებების საერთო რაოდენობას (შდრ.: უმრავლესობა-171, ოპოზიცია-249), თუმცა მანიპულაციის საშუალებების ტიპები თითქმის თანაბარია: ხელისუფლება – 30, ოპოზიცია – 27. ორივე შემთხვევაში მანიპულაციის მიზნით გამოყენებულ ყველაზე ხშირად მოხმარებად ტექნიკას პერსუაზივის წარმოების სტილისტური საშუალებები: შედარება, მეტაფორა და ირონია წარმოადგენს (ხელისუფლება: შედარება–13%; მეტაფორა–12%; ირონია – 9%. შდრ.: ოპოზიცია: მეტაფორა–19%; ირონია –16%; შედარება–4%). აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლება უმთავრესად შედარების, ხოლო ოპოზიცია ირონიის საშუალებებს იყენებს, რაც საქართველოს პარლამენტში არსებული პარტიების ენობრივი მანიპულაციის სტრატეგიების ერთგვარ ლუსტრაციას წარმოადგენს.

შედარებას, როგორც ენობრივი მანიპულაციის ხერხს, სახელისუფლებო პარტია ორი მიზნით იყენებს: დადებითი და უარყოფითი. დადებით შედარებას ხელისუფლება ძირითადად ევროპულ გამოცდილებასთან მიმართებით იყენებს, ხოლო უარყოფითი შედარება, რომელიც უფრო სჭარბობს დადებითს, ოპოზიციური პარტიის, კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდზე მოდის. მაგალითად:

„ყველგან საქართველოს აქვს უკეთესი, ხელშესახებად უკეთესი შეფასებები, ვიდრე ეს იყო 2012 წელს და მანამდე“ (თალაკვაძე);

„2012 წელთან შედარებით ჩვენ, ბუნებრივია, შედარებაზე აქცენტს არ ვაკეთებთ, იმისათვის არ ვაკეთებთ, იმისათვის, რომ ჩვენ თავი მოვიწონოთ, არ არის საკმარისი ნაცმოძრაობასთან შედარება, იმ უბედურებასთან შედარება, რომელიც იყო შექმნილი 2012 წლამდე, არაფერს არ ნიშნავს ის, რომ 6-ჯერ უკეთესი და 20-ჯერ და თუნდაც 200-ჯერ უკეთესი მონაცემები გაქვთ ნაცმოძრაობასთან შედარებით“(კობახიძე).

რაც შეეხება ოპოზიციური პარტიების სტრატეგიას, ისინი განსაკუთრებული ირონიულობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით „ევროპული საქართველოს“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიების წარმომადგენლები. ირონიას ისინი მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის მიზნით იყენებენ. მაგალითად: **„თქვენს შორისაც არის ხალხი, წარმოიდგინეთ, ეგეთებიც კი არიან, ვინც ხვდება, რასაც მე ახლა ვიძახი“ (ბოკერია).**

ქართულ საპარლამენტო დისკურსში პერსუაზიული საშუალებების შემდეგ მანიპულირების მეთოდიდა ყველაზე ხშირად გამოიყენება ფრეიმი. შდრ.: ხელისუფლება – 11%; ოპოზიცია – 6%.

„მურუსიძეობა, მურუსიზმი, ასე ვთქვათ, ეს არის მანკიერება, ეს არის მოვლენა, რომელიც ყოველთვის ჭამს მერე იმ ხელისუფლებას, რომელი ხელისუფლებაც მას იყენებს, ავად თუ კარგად და „ქართული ოცნება“ აუცილებლად დადგება ერთ მშვენიერ დღეს ასეთი რეალობის წინაშე, რომ მას შეჭამენ მურუსიძეები და ჩინჩალაძეები“ (ინაშვილი).

პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული ენობრივი მანიპულაციის საშუალებების უმთავრეს მიზანს მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია წარმოადგენს, რომლისთვისაც პოლიტიკოსები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ, განსაკუთრებით სჭარბობს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ოპონენტის დისკრედიტაციისთვის იყენებენ ბრალდებასა და მუქარას. მაგ.: **„ეს კრიზისი შექმენით თქვენ და თქვენს დაქვემდებარებაში მყოფმა ადამიანებმა შემდეგ“ (სამადაშვილი);**

„მინდა, რომ ძალიან ფრთხილად იყოთ, როცა პასუხს გამცემთ, იმიტომ, რომ ახლა ფიცის ქვეშ არ ბრძანდებით, ანუ ცრუ ჩვენებისთვის ავტომატურად პასუხს არ აგებთ, მაგრამ თქვენი აქ გაკეთებული განცხადებები მომავალში შეიძლება გამოძიებისთვის იყოს მტკიცებულებები“ (ბოკერია).

ოპოზიციური პარტიებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე საზოგადოებაში შიშის და უიმედობის დანერგვა, რათა შემდგომში ადვილად მოხდეს მისი მართვა.

(ოპოზიცია-4%). მაგ.: „*ქვეყნა იწვის ცეცხლის ალში, მიმოიხედეთ თქვენ გარშემო რა ხდება, დავით გარეჯში, დავით გარეჯთან მიმართებით რა განცხადებები კეთდება, ძალიან შემაშფოთებელი და ძალიან დამაფიქრებელი*“ (სამადაშვილი).

მანიპულაციის სხვა საშუალებებთან ერთდ ქართულ საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში აქტიურად გამოიყენება პოპულიზმი (შდრ.: ხელისუფლება-4%; ოპოზიცია -6%) და სამიზნე ჯგუფებზე ფოკუსირების ტექნიკა (შდრ.: ხელისუფლება - 7%; ოპოზიცია -3%), როგორებიც არიან პოლიციელები, მასწავლებლები, ჯარისკაცები, ქალები და სხვ.

„*რა არის ბოლოს და ბოლოს ეს ბიუჯეტი, აი, უამრავი ფურცელი მიდევს მაგიდაზე ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ეს ბიუჯეტი არის მათი ოჯახების კეთილდღეობა, ეს ბიუჯეტი არის ის, რომ მათ შვილებს არ შიათ, ეს ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ ღირსეული პენსია, ეს ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს აქვთ დაცულობა ჯანდაცვის მიმართულებით, სხვადასხვა სოციალური მიმართულებები და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ორიენტირებულია, სამწუხაროდ, არა ამ ჩვეულებრივ ადამიანებზე, არამედ ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, რაღაცა ზოგად ციფრებზე*“ (ინაშვილი).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული საპარლამენტო პოლიტიკის ორივე ფლანგი პარლამენტში აქტიურად იყენებს მანიპულაციის სხვადასხვა საშუალებებს. ორივე მათგანი უმთავრესად ენობრივი მანიპულაციის პერსუაზიულ ტექნიკებს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ასევე წარმატებით იყენებენ საკუთრივ მანიპულაციურ საშუალებებსაც. თითქმის თანაბარია და მსგავსი მანიპულაციის იმ ენობრვ საშუალებათა რაოდენობა და ტიპები, რომელთაც ქართველი პოლიტიკოსები იყენებენ საპარლამენტო დისკურსში. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა მანიპულაციის ის ენობრივი სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც ქართველი პოლიტიკოსები ახერხებენ საზოგადოებაზე ზემოქმედებას.

4.3. გერმანული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი

გერმანული საპარლამენტო დისკურსის კვლევისთვის შერჩეულ იქნა ექვსი პარლამენტარის საპარლამენტო გამოსვლები 2017 წლის არჩევნებიდან დღემდე. როგორც ცნობილია, გერმანიის პარლამენტში - ბუნდესთაგში საპარლამენტო უმრავლესობა ეკუთვნის კოალიციას, რომელშიც გაერთიანებული არიან შემდეგი პარტიები: ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი **CDU** (Christlich Demokratische Union), ქრისტიანულ-სოციალური გაერთიანება **CSU** (Christlich-Soziale Union) და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია **SPD** (Sozialdemokratische Partei Deutschlands). კვლევისთვის შერჩეულ იქნა თითო წარმომადგენელი თითო პარტიიდან: ვოლფგანგ შოიბლე, გერმანიის ბუნდესთაგის პრეზიდენტი (CDU/CSU); ფოლკერ კაუდერი (CDU/CSU) და როლფ მუტცენიხი (SPD) სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, აქაც პროპორციულობის პრინციპის დაცვით, შერჩეულ იქნა სამი პარტია: „მემარცხენეები“ (**Die Linken**), **FDP** „თავისუფალ-დემოკრატიული პარტია“ (Freie Demokratische Partei) და „ალტერნატივა გერმანიისათვის“ **AfD** (Alternative für Deutschland). შესაბამისად, გაანალიზებული იქნა მათი თითო წარმომადგენლის სარა ვაგენკნეხტის (Die Linken), კრისტინ ლინდნერისა (FDP) და ალექსანდრე გაულანდის (AfD) საპარლამენტო გამოსვლების ტექსტები.

4.3.1 გერმანული საპარლამენტო კოალიციური უმრავლესობის საპარლამენტო დისკურსის ანალიზი

Wolfgang Schäuble CDU/CSU – ვოლფგანგ შოიბლე ბუნდესთაგის პრეზიდენტი (პარლამენტის თავმჯდომარე). ვოლფგანგ შოიბლე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსია გერმანულ ბუნდესთაგში. 1984 წლიდან დღემდე იკავებდა სხვადასხვა წამყვან თანამდებობებს ჰელმუთ კოლისა და ანგელა

მერკელის მინისტრთა კაბინეტში. 2017 წლის არჩევნების შემდეგ იგი არჩეულ იქნა ბუნდესთაგის პრეზიდენტად.

კვლევის დროს გავანალიზეთ ვოლფგანგ შოიბლეს 39 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა 47 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 108 საშუალება.

ბუნდესთაგში მისი პირველივე გამოსვლა გამორჩეული იყო როგორც შინაასრობრივად, ასევე, ლინგვისტური თვალსაზრისით. გამოსვლის თემატიკა ეხებოდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა აქტუალურ მოვლენას, მათ შორის, არჩევნებსა და არჩევნების შემდგომ კოალიციური უმრავლესობის შესაქმნელად მოლაპარაკების ხანგრძლივ პროცესებს.

69. *„Die konstituierende Sitzung vor vier Wochen hat bereits deutlich gemacht, dass es im Parlament mit nun sieben Parteien und sechs Fraktionen politisch bunter wird, auch lebhafter in der Debatte. Mit den abgebrochenen Sondierungsgesprächen sehen wir klarer, dass in einem Parlament, das auf diese Weise durch die Verschiedenheiten in der Gesellschaft geprägt ist, auch die Mehrheitsbildung schwieriger wird. Aber Demokratie verlangt Mehrheiten, und unser Wunsch nach stabiler Ordnung verlangt tragfähige Mehrheiten“* (ოთხი კვირის წინ ჩატარებულმა კონსტიტუციურმა სხდომამ ნათელი გახადა, რომ პარლამენტი შვიდი პარტიითა და ექვსი ფრაქციით უფრო ფერადი და ცხარე დებატებით უფრო სიცოცხლისუნარიანი გახდა. ჩამოილი მოლაპარაკებით ასევე ნათელი გახდა, რომ პარლამენტში, რომელიც საზოგადოების განსხვავებულობას ირეკლავს, უმრავლესობის შექმნაც გართულდა. მაგრამ დემოკრატია მოითხოვს უმრავლესობას და ჩვენი სტაბილურობის სურვილიც მოითხოვს ქმედუნარიან უმრავლესობას (სხდომა2).

აღნიშნულ მონაკვეთში ვოლფგანგ შოიბლე ურავლესობის შესაქმნელად გაჭიანურებული პროცესების გამართლებას ცდილობს და საზოგადოებას ახსენებს,

რომ უმრავლობის შექმნა სწორედ დემოკრატიის მოთხოვნაა და რაკი მათი მთავარი ღირებულება დემოკრატიული მდგრადობაა, ამ პრინციპებს გვერდს ვერ აუვლიან. სიტყვა *bunter* ამ კონტექსტით შეიძლება გაგებულ იქნას ირონიულადაც — *უფრო ჭრელი*, რაც შეფარვით უმრავლესობის შექმნის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ მიზეზად არის დასახელებული, ახალი მთავრობის შექმნის გაჭიანურება სწორედ პარლამენტში შესული რადიკალური ოპოზიციური პარტიების სიჭრელით იქნა გამოწვეული (AFD, die LINKEN).

შოიბლე თავის გამოსვლებში ხაზს უსვამს პარლამენტარის პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე და მოუწოდებს მათ დაიცვან საზოგადოების ინტერესი და სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ღირებულებები. იგი იყენებს შეფასებითი სემანტიკის სიტყვებს. ამასთანავე, განმარტავს ცნებას, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანიპულაციის ერთ-ერთი გამორჩეული ეფექტური იარაღია— *ეს არის საპარლამენტო კულტურა*.

70. „Demokratischer Streit ist notwendig, aber es ist ein Streit nach Regeln, und es ist mit der Bereitschaft verbunden, die demokratischen Verfahren zu achten und die dann und so zustandekommenen Mehrheitsentscheidungen nicht als illegitim oder verräterisch oder sonst wie zu denunzieren, Das ist parlamentarische Kultur“ (დემოკრატიული კამათი აუცილებელია, მაგრამ ეს არის კამათი, რომელიც დაფუძნებულია წესებზე და ასოცირდება დემოკრატიული პროცედურების პატივისცემის მზაობასთან და არა იმაზე, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილებები უარყოს და მიიჩნიოს არალეგიტიმურად ან მოღალატეობრივად. ეს არის საპარლამენტო კულტურა (სხდომა 1).

შოიბლე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ხშირად მიმართავს დამსწრე საზოგადოებას დამრიგებლური, მენტორული ტონით და ახსნებს მათ ქცევის წესებს, მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს, თავი შეიკავონ

ურთიერთდაპირისპირებისაგან, რაც საზოგადოებაში მას სამართლიან და კონსტრუქციულ იმიჯს უქმნის:

71. „*Prügeln sollten wir uns hier nicht, wie es ja zum Teil auch in Europa in anderen Parlamenten bisweilen geschieht. Wir sollten das übrigens auch nicht verbal tun*“ (ჩვენ აქ არ უნდა ვებრძოლოთ ერთმანეთს, როგორც ეს ზოგჯერ ევროპის სხვა პარლამენტებში ხდება. სხვათა შორის, ეს არც ვერბალურად (სიტყვიერად) უნდა გავაკეთოთ (სხდომა1).

ამ მონაკვეთში თავის მხრივ, ასევე საუბარია სიტყვის, როგორც ბრძოლის იარაღის შესახებ – „ეს, ანუ ბრძოლა (*Prügeln*), არც სიტყვიერად უნდა გავაკეთოთ“ – ამბობს იგი.

ერთიანობის, საზოგადოების ყველა წევრისა და ხალხის მნიშვნელობას შიშველ არაერთხელ აღნიშნავს და მოჰყავს ციტატა გერმანიის კონსტიტუციიდან:

72. „(Unser Grundgesetz besagt: „*Alle Staatsgewalt geht vom Volke aus.*“ Mit der Wahl hat das Volk entschieden. Damit müssen wir als Gewählte nun *verantwortlich um-gehen*“ (ჩვენი კონსტიტუცია ამბობს: *”ყველა სახელმწიფო ხელისუფლება მოდის ხალხისგან.”* (ეს ხალხმა არჩევნებით გადაწყვიტა. ჩვენ, როგორც არჩეულები, ახლა პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს (სხდომა2).

პარლამენტის თავმჯდომარე არაერთხელ აღნიშნავს იმ დამაბული სიტუაციის შესახებ, რაც იყო გერმანიაში არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. ხშირად საუბრობს არსებული გაურკვევლობისა და ბუნდოვანების შესახებ, რაც საზოგადოებაში, ცხადია, შიშის ემოციას ნერგავს. შიშის დანერგვა კი მანიპულაციის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა. იგი ირიბად ეხმიანება ე. წ. ლტოლვილების თემსაც, თუმცა სიტყვა **ლტოლვილების** (Flüchtlingen) გამოყენებას თავს არიდებს, ვინაიდან საზოგადოებაში ლტოლვილების საკითხი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს, რაც სახელისუფლებო პარტიის

მიმართ ნდობის შემცირების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა. ამიტომ იგი გლობალიზაციისა და მობილობილიზაციის კონტექსტს იყენებს:

73. *“Verunsicherungen wachsen angesichts des raschen Wandels durch Globalisierung und Digitalisierung. Zusammenhänge lösen sich auf, Zugehörigkeiten brechen auf und neue entstehen“* (გაურკვევლობა იზრდება გლობალიზაციისა და დიგიტალიზაციის შედეგად გამოწვეული სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით, კავშირები იშლება, კავშირები ინგრევა და იქმნება ახალი გაერთიანებები“ (სხდომა 1).

შოიბლე ხაზს უსვამს, რომ გერმანულ საზოგადოებას 60-იანი წლების შემდეგ არ ახსოვს ასეთი პოლიტიზირებული, მობილიზებული და პოლარიზებული მასები. ამ წინადადებაში იგი იყენებს ცნობილ „სამის ეფექტს“, რაც შეუძლებელია დარჩეს მსმენელის ყურადღების მიღმა. ამავდროულად, შოიბლე იყენებს სტლისტურ ხერხს–ალიტერაციას და მსმენელში ემოციურ დამოკიდებულებას იწვევს (პოლიტიზირება, მობილიზირება და პოლარიზება **politisiert, mobilisiert und polarisiert**).

იგი ასევე ხაზგასმით ამბობს, რომ გადაჭარბებული არაფერი ვარგა და მათ შორის თავისუფლებაც: *„ყველაფრის მსგავსად, სიჭარბის გამო თავისუფლებაც საფრთხეშია“* (Wie alles ist auch Freiheit durch Übermaß gefährdet“ (ადამიანებს, რომლებსაც ზედმეტად ბევრი და სწრაფი ცვლილებების, ასევე მოკლე დროში ძალიან სწრაფი გადაადგილების ეშინიათ, ისევე უნდა იქნან გათვალისწინებული როგორც ადამიანები, რომლებმაც ღიაობისა და გლობალური სოლიდარულობის მზარდ სამყაროში შეაბიჯეს“ (სხდომა1).

74. *„Menschen, die sich vor zu vielen und zu schnellen Veränderungen in ihrer Lebens- und Erfahrungswelt fürchten, auch vor zu viel Zuwanderung in kurzer Zeit, müssen genauso ernst genommen werden wie jene, die in einer enger zusammenwachsenden Welt für Offenheit und für globale Solidarität eintreten“* (სხდომა 47).

იმავე სხდომაზე შოიბლე აღნიშნავს, რომ ძველი გარანტიები და იდენტურობა ეჭვქვეშ დგება და ეჭვების ფონზე იქმნება ახალი, სავარაუდო რწმენები, რომლებიც შეშფოთებისა და ეჭვების საფუძველს იძლევა.

75. „Alte Gewissheiten und Identitäten werden **infrage gestellt**, und neue, vermeintliche Gewissheiten werden in Stellung gebracht gegen zunehmende **Sorgen und Zweifel**. Das menschliche Bedürfnis nach Geborgenheit in vertrauten Lebensräumen trifft auf eine zunehmend als ungemütlich empfundene Welt voller **Konflikte, Krisen, Kriege** und medial präsentem **Schrecken**“ (სხდომა 1)).

ამ მონაკვეთში შოიბლე მანიპულირების მიზნით, არამარტო ემოციონალიზაციის ხერხს, არამედ „სამის ეფექტს“ და ალიტერაციის სტილისტურ საშუალებასაც იყენებს, რაც მისთვის საზოგადოების ყურადღების მიქცევის ერთ-ერთი დამახასიათებელია ხერხია: *კონფლიქტები, კრიზისები, ომი (Konflikte, Krisen, Kriege); „Wir müssen bei der Durchsetzung des Rechts besser werden: schnell, konsequent, sichtbar“ (ჩვენ კანონის აღსრულება უნდა გავაუმჯობესოთ, სწრაფად, თანმიმდევრულად, გაჭვირვალედ“ (სხდომა 47).*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შოიბლე გარდა ემოციურ-შეფასებითი და ემოციონალიზაციის საშუალებებისა, ასევე აქტიურად იყენებს მხატვრულ და სტილისტურ საშუალებებსაც:

76. „Andere Demokratien in der Welt sind da übrigens schon weit **auf die abschüssige Bahn geraten**“ (სხვათა შორის, მსოფლიოში სხვა დემოკრატიები უკვე დაღმართზე არიან (სხდომა 1).

auf die abschüssige Bahn geraten — მეტაფორული ფრაზეოლოგიზმი, სიტყვასიტყვით: *დაღმართ გზაზე აღმოჩნდნენ, ირიბი მნიშვნელობით: გზას აცდნენ, ცუდ გზას დაადგნენ, ანუ საქმე ცუდად წაუვიდათ, ჩარმორჩნენ, ვერ გაუმკლავდნენ.* ამით ის მიანიშნებს, რომ მუდმივი არაფერია და დემოკრატიის შექმნაზე მნიშვნელოვანი მისი შენარჩუნებაა. დემოკრატიის, რომელიც ახლა საფრთხეშია და მის გადასარჩენად საზოგადოების კონსოლიდაციაა საჭირო. იგი

ასევე ეხმიანება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ, მათ შორის სექსუალური თუ რელიგიური უმცირესობების უფლებებს და საზოგადოებას ურთიერთშემწყნარებლობისაკენ მოუწოდებს:

77. „**Gewalt gebiert regelmäßig Gewalt. Deshalb sind wir alle dazu aufgefordert, stärker zu differenzieren. Zwischen Menschen muslimischen Glaubens und islamistischen Terroristen klarer zu unterscheiden, unsere Worte besser zu wägen. Denn Pauschalisierungen düngen den Boden von Ressentiments und Feindschaft, auf dem Taten wie in Christchurch wachsen – egal ob sie sich gegen Andersgläubige richten oder gegen Menschen mit anderer Herkunft, anderem Geschlecht, anderer Sexualität**“ (ძალადობა სისტემატურად შობს ძალადობას. ამიტომ ჩვენ ყველა ვალდებული ვართ გავემიჯნოთ მას. უნდა განვასხვავოთ ისლამის რწმენის აღმსარებელი ადამიანები და ისლამისტური ტერორისტები, ჩვენი სიტყვები კარგად უნდა ავწონოთ. რადგან ყველაფრის განზოგადება საფუძველს უქმნის (მიწას უნაყოფიერებს) მტრობასა და დაპირისპირებას. როგორც ქრისტიანულ ეკლესიებში – სულერთია, იგი განსხვავებულ აღმსარებლობას ეხება თუ ადამიანებს განსხვავებული წარმოშობით, სქესითა თუ სექსუალური იდენტობით (სხდომა 89).

მანიპულაციის საშუალებები სინონიმები – **Ressentiments und Feindschaft**; მეტაფორა – **düngen den Boden** გამიზნულია სამიზნე ჯგუფებზე: მუსლიმებზე, ქრისტიანებსა და სექსუალურ უმცირესობებზე.

78. „**wie wir in der Gesellschaft miteinander umgehen sollen: Respekt füreinander haben, nicht jeden persönlichen Spielraum maximal ausnutzen, ein offenes Ohr haben für die Argumente des anderen, ihn anerkennen mit seiner anderen Meinung**“ (საზოგადოებაში როგორ უნდა მოვექცეთ ერთმანეთს: ერთმანეთის პატივისცემა, პირადი სამოქმედო სივრცის ბოროტად არ

გამოყენება, სხვების არგუმენტების მიმართ შემწყნარებლობა და სხვისი აზრის აღიარება, ეს არის მთავარი“ (სხდომა1).

ein offenes Ohr haben für die Argumente des anderen, - გულ-ყურს ათხოვებს, სხვის გასაჭირს იზიარებს, გულისხმიერებას იჩენს. შოიბლე ხშირად მოუწოდებს პოლიტიკოსებს და დიდაქტიკური დარიგებით მიმართვას მათ გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა. საჯარო მოწოდებები კი მანიპულაციის თვალსაჩინო მაგალითია.

79. „*Wir müssen Maß halten, um unser politisches und gesellschaftliches **Klima nicht zu vergiften** – zum Wohle des deutschen Volkes*“ (ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ მოვწამლოთ ჩვენი პოლიტიკური და სოციალური კლიმატი – გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ (სხდომა 20).

მოწოდებასთან ერთად პოლიტიკოსი იყენებს მეტაფორას– *კლიმატის მოწამლვა –Klima nicht zu vergiften*. გარემოს დაცვის და კლიმატის საკითხი საზოგადოებისთვის ნაკლებად სენსიტიური როდია, მით უფრო, რომ დაბინძურებული კლიმატი ადამიანის ჯანმრთელობაზე პირდაპირ ახდენს გავლენას.

შოიბლე ეხმიანება საპროტესტო აქციებსა და ძალადობის საკითხებს, რაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტურდა გერმანიაში:

80. „*Gewalt beginnt mit Worten. **Sprache ist eine Waffe**. Wir wissen es,.*“ (ძალადობა იწყება სიტყვებით. ენა არის იარაღი. ჩვენ ეს ვიცით“ (73 სხდომა).

აქ შოიბლე სიტყვის გამოყენების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ სიტყვა არის იარაღი. თან დასძენს: „*ჩვენ ეს ვიცით*“, რითაც ეხმიანება გერმანიის ისტორიულ წარსულს, სადაც ენა ნაცისტური რეჟიმის დროს პროპაგანდის იარაღად იქცა (იხ. გვ. 15) და მიგვანიშნებს პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც თავიანთი შოვინისტური დისკურსით ახალისებენ რადიკალურ ჯგუფებს.

81. „Das Demonstrationsrecht ist kein **Freibrief** für Gewaltexzesse“
 (დემონსტრაციის უფლება არ არის ლიცენზია ძალადობრივი
 ექსცესებისთვის (სხდომა20) .

შოიბლეს მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და
 ტიპები მოცემულია დიაგრამა N 10 -ზე:

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	მოწოდება	13
2	მეტაფორა	12
3	შეფასებითი სემანტიკის სიტყვები	8
4	პრესუპოზიცია	8
5	ქაოსის წარმოჩენა	7
6	ფრეიმი	7
7	შედარება	6
8	გაურკვეველობა	6
9	ალიტერაცია	5
10	შიშის დანერგვა	5
11	სხვა	31
სულ		108

დიაგრამა №11 შოიბლეს მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და
 სახეობები

აღნიშნულ დიაგრამაზე მანიპულაციის საშუალებების უდიდესი ნაწილი
 მოწოდებებზე მოდის. შოიბლე ყველაზე ხშირად იყენებს სტილისტურ
 საშუალებებს–შედარებას, მეტაფორას, იგი ასევე წარმატებით იყენებს **შეფასებით**
გამომხატველ საშუალებებს, როგორებიცაა: დემოკრატია, თავისუფლება,
 სამართლიანი სახელწიფო, თანასწორობა და ა.შ.

შოიბლე გამოირჩევა მენტორული, დიდაქტიკური მოწოდებებით, ცდილობს
 იყოს კონსტრუქციული, მაგრამ ამავე დროს ცდილობს ქვეყანაში შექმნილი შიშის,
 დაუცველობის და გარკვევლობის პასუხისმგებლობა ოპონენტებს დააკისროს,
 რასაც იგი პრესუპოზიციული გამონათქვამების საშუალებებით ახერხებს კიდევ.

Volker Kauder CDU/CSU – ფოლკერ კაუდერი, ბუნდესთაგის დეპუტატი პირველად 1990 წელს გახდა. იგი იყო CDU/CSU-ს ფრაქციის თავმჯდომარე 2005-2018წწ. მას მერკელის „მარჯვენა ხელს“ უწოდებენ, იგი აქტიურად იცავდა მერკელის პოლიტიკას ლტოლვილების მიმართ. იგი ცნობილია, როგორც ატომური იარაღის პოლიტიკის მოწინააღმდეგე. კაუდერი ეწინააღმდეგება ასევე, ისლამის გათანაბრებას ქრისტიანულ რელიგიასთან საკანონმდებლო დონეზე. კვლევებისთვის გავანალიზეთ ფოლკერ კაუდერის 10 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა 38 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 68 საშუალება.

კაუდერის საპარლამენტო გამოსვლის დიდი ნაწილი **ეთნიკურ თანასწორობას** ეხება. ხაზგასმით აღნიშნავს ებრაელების თანასწორობის და მშვიდობიანი თანაცხოვრების მნიშვნელობას მომავლის განვითარებისთვის. საუბრობს უსაფრთხოების მნიშვნელობაზე გერმანიასა და ევროპაში. მისი გამოსვლები ეხმიანება საპროტესტო დემონსტრაციებს ებრაელების წინააღმდეგ, ასევე ტერორიზმთან ბრძოლას:

82. „Deswegen ist es richtig, dass wir heute nicht nur der Opfer von Terrorismus gedenken, sondern sagen: Der Opferschutz muss für alle, die Opfer von Gewalttaten geworden sind, verbessert werden“ (მართალია, დღეს ჩვენ არა მხოლოდ ტერორიზმის მსხვერპლი უნდა გვახსოვდეს, არამედ უნდა ვთქვათ, რომ მსხვერპლის დაცვის საკითხი უნდა გაუმჯობესდეს ყველასთვის, ვინც ძალადობის მსხვერპლი გახდა“ (სხდომა 5).

კაუდერი მიმართავს ებრაელებს, რომლებიც გერმანიაში ცხოვრობენ:

83. „Wir nehmen eure Sorgen ernst. Wir stehen zu euch, und wir werden nicht zulassen, dass Antisemitismus in unserem Land euch so bedrängt. Wir werden alles dafür tun, dass jüdisches Leben auch in Zukunft in unserem Land existieren kann“ (ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით თქვენს წუხილს, ჩვენ თქვენ გვერდით ვართ და არ დავუშვებთ ანტისემიტურ შევიწროებას ჩვენს

ქვეყანაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალში ებრაული ცხოვრება ჩვენს ქვეყანაშიც არსებობდეს (სხდომა5).

კაუდერი თავის გამოსვლებში ხშირად მიმართავს ებრალებს, რომელთა წინაშეც იგი ისტორიულ პასუხისმგებლობას იღებს. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანების თანაარსებობა და კანონის წინაშე თანასწორობა უპირველესი ამოცანაა, მაგრამ იგი ებრალების წინაშე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს. **Wir stehen zu euch** (თქვენ გვერდით ვართ) და გამოხატავს მხარდაჭერასა და თანადგომას. იგი ჰპირდება ებრაელებს, რომ გააკეთებენ ყველაფერს, რათა მომავალში ებრაელების არსებობას საფრთხე არ შეექმნას (შეპირება-პერფორმატიული აქტი).

84. „Europa muss eine gute Zukunft haben, aber Europa wird nur ohne Nationalismus eine gute Zukunft haben“ (*ევროპას უნდა ჰქონდეს კარგი მომავალი, მაგრამ ევროპას კარგი მომავალი ექნება მხოლოდ ნაციონალიზმის გარეშე*). იმავე სხდომაზე კაუდერი ეხება თავისუფლების საკითხსაც: „...dass wir Sicherheit garantieren können. Wir von der Union reden immer auch davon, dass **Freiheit ein zentrales Thema unserer Politik ist, etwa die Freiheit, selbst zu entscheiden, wie man sein Leben führen will. Aber zur Freiheit gehört Sicherheit**“ (*ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ უსაფრთხოების გარანტია, ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ თავისუფლება ჩვენი პოლიტიკის ცენტრალური თემაა. თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამიანებმა თავად გადაწყვიტონ, თუ როგორი ცხოვრება სურთ. მაგრამ არ დავივიწყებთ, რომ უსაფრთხოებაც თავისუფლების ნაწილია (სხდომა 9).*

კაუდერი ხშირად საუბრობს ევროპის მომავალზე, მაგრამ არ გაურბის არც ისტორიულ პასუხისმგებლობას. იგი იყენებს შეფასების გამომხატველ სემანტიკურ ცნებებს: თავისუფლება, უსაფრთხოება და აღნიშნავს: თავისუფლება ჩვენი პოლიტიკის ცენტრალური თემაა. ადამიანისთვის უპირველესი მოთხოვნა

თანამედროვე სამყაროში სწორედ თავისუფლება და უსაფრთხოებაა. პარტიას, რომელსაც ამის გარანტირებულად უზრუნველყოფა შეუძლია, ცხადია, ექნება საზოგადოების მხარდაჭერაც.

85. „Für unsere Generation, die erste Nachkriegsgeneration in Deutschland, Europa nicht in erster Linie ein Europa von Euro und Cent war, sondern dieses Europa eine Wertegemeinschaft, eine Friedenseinrichtung ist“ (გერმანიაში ომის შემდგომი პირველი თაობისთვის, ევროპა არ იყო, პირველ რიგში, ევროსა და ცენტის ევროპა, არამედ ეს ევროპა არის **ფასეულობების საზოგადოება, სამშვიდობო ინსტიტუტი** (სხდომა N 32).

კაუდერი აღნიშნავს, რომ ომის შემდგომი თაობისთვის ევროპული ღირებულებები იყო მნიშვნელოვანი და არა მატერიალური ფუფუნება. პრესუპოზიცია–იგი მოუწოდებს გერმანიაში მცხოვრებ უცხოელებს, რომ მხოლოდ ევროები არ ნიშნავს ევროპას, არამედ ევროპა ღირებულებების და მშვიდობის ინსტიტუციაა, რომლის გათავისება ყველას მოვალეობაა. ამ საკითხს ეხმიანება იგი ასევე 48-ე სხდომაზე:

86. „Europa ist die große Friedensgarantie, aber auch die Wohlstandsgarantie“ (ევროპა არის მშვიდობის დიდი გარანტი, მაგრამ ამავე დროს იგი კეთილდღეობის გარანტიაა (სხდომა N 48).

87. „Der Rechtsstaat gilt für alle. Und wenn die Gerichte entschieden haben, dass im **Hambacher Forst abgeholzt** werden kann, dann muss dies gelten“ (კანონის უზენაესობა ეხება ყველას, და თუ სასამართლოებმა გადაწყვიტა, რომ ჰამბახერის ტყე უნდა გაიჩეხოს, მაშინ ეს უნდა აღსრულდეს“ (სხდომა N 42)

ამ მონაკვეთში კაუდერი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საზოგადოებას სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპების გაზიარებისკენ. როცა კანონი რამეს გავალეს, რამდენადაც მიუღებელი არ უნდა იყოს ვინმესთვის, მისი აღსრულება სავალდებულოა.

88. „Wir wissen ganz genau, dass wir vor großen Herausforderungen stehen, ja, wir leben in einer schwierigen Zeit... Wir haben in unserem Land eine Situation, die gut ist. Trotzdem haben wir Herausforderungen zu bewältigen“ (ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ, დიახ, ჩვენ რთულ დროში ვცხოვრობთ... ჩვენს ქვეყანაში კარგი სიტუაციაა მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა დავძლიოთ გამოწვევები (სხდომა N 9).

კაუდერი, სხვა დეპუტატების მსგავსად, საუბრობს საფრთხის შესახებ, თუმცა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისგან განსხვავებით (ვაგენკნეხტი, გაულანდი) საშიშროების ნაცვლად სიტყვა გამოწვევებს იყენებს, ახსენებს მოსახლეობას, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით გერმანიაში უკეთესი სიტუაციაა, მაგრამ ამ სიტუაციის შესანარჩუნებლად კიდევ ბევრი გამოწვევა უნდა დაძლიონ. კაუდერის მიერ გამოყენებული მანიპულაციის ენობრივი საშუალებების სიხშირე და ტიპები მოცემულია დიაგრამაზე N 11).

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	ფრეიმი	14
2	მეტაფორა	12
3	პრესუპოზიცია	6
4	მოწოდება	5
5	შეფასებითი სემანტიკის სიტყვები	4
6	შიშის დანერგვა	4
7	განზოგადება	3
8	სამიზნე ჯგუფები	2
9	შედარება	2
10	ქაოსის წარმოჩენა	2
11	სხვა	13
სულ		67

დიაგრამა №12 კაუდერის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

კაუდერი ყველაზე ხშირად იყენებს ფრეიმებს, რომლებიც ენობრივი მანიპულაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია და მას ავტორის მიზნის მიღწევის დიდი პოტენციალი გააჩნია. პოლიტიკოსი, სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, საკმაოდ აქტიურად მიმართავს

პრესუპოზიციის მეთოდს, რაც აძლევს საშუალებას იყოს კონსტრუქციული და ნაკლებად აგრესიული მოწინააღმდეგე ძალების მიმართ, ამავე დროს, იგი ცდილობს მიაღწიოს საკუთარ მიზანს და მსმენელზე მოახდინოს წინასწარ გამიზნული ზეგავლენა.

Rolf Mützenich SPD – როლფ მუტცენიხი 2002 წლიდან გერმანიის ბუნდესთაგის წევრი, 2013 წლიდან პარტია SPD-ს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო თავდაცვა, საერთაშორისო ურთიერთობები და ადამიანის უფლებები. 2019 წლიდან დღემდე პარტია SPD-ს ფრაქციის თავმჯდომარე.

კვლევისთვის გავაანალიზეთ როლფ მუტცენიხის 9 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა 36 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 63 საშუალება.

წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოსვლების ძირითადი თემებია ევროპული ერთიანობა, საერთაშორისო უსაფრთხოება, ატომური იარაღი, მსოფლიო წესრიგი და გერმანიის საგარეო პოლიტიკა.

89. „*Solange diese Konflikte im Inneren der arabischen Welt nicht gelöst sind, so lange wird es auch nicht gelingen, Frieden in diese Region zu bringen. Das heißt, die deutsche Außenpolitik muss sich genau mit den Gesellschaften solidarisieren, die um gutes Regieren streiten*“ (სანამ არაბულ სამყაროში არ მოგვარდება კონფლიქტები, მანამ ამ რეგიონში მშვიდობის მოტანა შეუძლებელი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკამ უნდა გამოიჩინოს სოლიდარობა იმ საზოგადოებებთან, რომლებიც იბრძვიან კარგი მმართველობისთვის (სხდომა N 3).

90. „*Die alleinige Fokussierung auf unser Land bringt am Ende nicht mehr Sicherheit für uns alle*“ (მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე ფოკუსირება საბოლოოდ ვერ მოიტანს უსაფრთხოებას ყველა ჩვენთაგანისთვის).

მუტცენიხი ეხმიანება მსოფლიო უსაფრთხოების საკითხს და აღნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე ფოკუსირება საბოლოო ჯამში არ მოიტანს უსაფრთხოებას. ამით ის მიმართავს ოპოზიციონერ დეპუტატებს, რომლებიც ევროპის გაერთიანებას აკრიტიკებენ და ხელისუფლებას საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვისაკენ მოუწოდებს.

91. „Ein nuklearer Schatten legt sich erneut über unsere Welt“ (ბირთვული ჩრდილი კვლავ მოიცავს ჩვენს სამყაროს (სხდომა N 3).

მუტცენიხი საზოგადოებას აფრთხილებს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ბირთვული იარაღის მწარმოებელი ქვეყნებიდან მოდის, ამით იგი ცდილობს დაასაბუთოს გერმანიის საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელობა. ამ პათოსს აგრძელებს შემდეგ მონაკვეთშიც და ასაბუთებს, რომ ქვეყანას სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა ერთიანი ევროპისა, რომ ბოლო პერიოდში გერმანიაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკას აკრიტიკებენ და საზოგადოებას არწმუნებენ, რომ მათ მიერ გადახდილი გადასახადები, გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკიდან გამომდინარე, არაეფექტურად იხარჯება (გაულანდი), ამიტომაც მუტცენიხსა და სხვა სახელისუფებო დეპუტატებს ხშირად უხდებათ ერთიანი ევროპის, ევროკავშირის არსებობის საჭიროების დასაბუთება.

92. „wir haben gar keine andere Wahl, als uns auf Europa zu konzentrieren“ (ევროპაზე კონცენტრირების გარდა ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს (სხდომა N 39).

მუტცენიხი ავტორიტეტულ წყაროდ იყენებს ვილი ბრანდტის სიტყვებს. ვილი ბრანდტი მუტცენიხის პარტიის SPD-ის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი იყო. იგი იყო გერმანიის კანცლერი 1969-1974 წლებში 1971 წელს მან მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში:

93. „Das Gefäß Das ist doch die Essenz, die gerade Willy Brandt in seiner ersten Regierungserklärung 1969 gezogen hat: Wir wollen ein Volk der guten Nachbarn

sein und werden im Inneren und nach außen“ (ეს არის ის არსი, რაც ვილი ბრანტმა 1969 წელს მთავრობის პირველ ანგარიშში გამოაქვეყნა: ჩვენ გვინდა ვიყოთ კარგი მეზობლების ხალხი და გავხდეთ კარგი მეზობლები როგორც შიგნით, ისე მის გარეთ (სხდომა N 77).

მუთცენიხის მიერ გამოყენებული ენობრივი მანიპულაციების სტატისტიკა მოცემულია ცხრილში N12 .

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	შეფასებითი სემანტიკის სიტყვები	13
2	შიშის დანერგვა	9
3	მეტაფორა	5
4	ფრეიმი	5
5	პრესუპოზიცია	5
6	შედარება	3
7	მოწოდება	3
8	ისტორიული მეხსიერები ფიგურები	3
9	გამეორება	3
10	განზოგადება	3
11	სხვა	11
სულ		63

დიაგრამა №13 მუთცენიხის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, მუთცენიხი ყველაზე აქტიურად შეფასებითი სემანტიკის სიტყვებს იყენებს, რომლებსაც პოზიტიური ზემოქმედების უნარი და შესაბამისად, დიდი პერსუაზიული პოტენციალი გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ საზოგადოებაში შიშის დანერგვის მეთოდს, რაც მოსახლეობაში დაუცველობისა და გაურკვეველობის ემოციას იწვევს. პოლიტიკოსი კი შექმნილი ქაოსური მდგომარეობიდან გამოსავალს სთავაზობს და საზოგადოებაც ძალდატანების გარეშე მზადაა გაჰყვეს ლიდერს, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ჰპირდება. მუთცენიხი ასევე წარმატებით იყენებს მეტაფორებსა და ფრეიმებს, რომლებსაც მანიპულაციის უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ.

4.3.2 გერმანული პარლამენტის ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

Sara Wagenknecht – Die Linken –სარა ვაგენკნეხტი გერმანელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი. 2004-2009 წლებში იყო ევროპარლამენტის წევრი, გერმანიის ბუნდესთაგის მე-19 მოწვევის წევრი და 2017-2019 წლებში მემარცხენე პარტიის (Die Linken) ფრაქციის თავმჯდომარე ბუნდესთაგში.

კვლევისთვის გავაანალიზეთ სარა ვაგენკნეხტის 8 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა 88 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 209 ენობრივი ერთეული.

ვაგენკნეხტი გამოირჩევა მანიპულაციის საშუალებების გამოყენების როგორც რაოდენობით, ასევე მრავალფეროვნებით. მას ახასიათებს პოპულისტური განცხადებები და მოვლენების მკვეთრად უარყოფითი შეფასებები. მისი საპარლამენტო გამოსვლების ძირითადი საკითხებია სიღარიბე, სოციალური სიდუხჭირე, ადამიანის უფლებები, ნაციონალური ღირებულებები, პატრიოტიზმი და პოპულიზმი.

94. „die Mittelschicht Wohlstand verliert, die Armut wächst und ein Teil der jungen Generation keine Zukunft mehr hat“ (საშუალო ფენა კარგავს კეთილდღეობას, იზრდება სიღარიბე, ხოლო ახალგაზრდა თაობის ნაწილს არ აქვს მომავალი (სხდომა N 9).

ვაგენკნეხტის მთავარი სამიზნე ჯგუფს ღარიბი და საშუალო ფენა წარმოადგენს. იგი გამოირჩევა სიტუაციის მკვეთრად უარყოფი შეფასებებით და ცდილობს საზოგადოებაში ნიჰილიზმი გააღვივოს, **die Mittelschicht Wohlstand verliert** (საშუალო ფენა კარგავს კეთილდღეობას), საშუალო ფენა, მოგეხსენებათ, გერმანული საზოგადოების ძალიან დიდ ნაწლს წამოადგენს და მათი მხარდაჭერა, ცხადია, ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტისთვის მნიშვნელოვანია. იგი საზოგადოებაში გაურკვეველი მომავლის და შიშის დანერგვას ცდილობს და ამბობს, რომ ახალგაზრდა თაობის ნაწილს მომავალი არ აქვს. ადამიანი იმედით

ცოცხლობს, მომავალი ეიმედება და როცა ეუბნებიან, რომ მას მომავალი უბრალოდ არ აქვს, ბუნებრივია, ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად განწყობა და მხარს დაუჭერს პარტიას, რომელიც საუბრობს მისი გასაჭირის შესახებ და მხსნელად ეგულება. მანიპულაციის ამავე ტექნიკას მიმართვას ვაგენკნეხტი მომდევნო მონაკვეთში, ცდილობს სიტუაციის დრამატიზირებას და ამბობს, რომ ყოველდღიურად ოცი ათასი ადამიანი იღუპება შიმშილით. ნეგატიური სტატისტიკის გამოყენება მანიპულაციის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია, რომელსაც პოლიტიკოსი მიმართავს. იგი არ იმოწმებს წყაროს და შესაბამისად, გადამოწმების საშუალება იმ მომენტში მსმენელს არ გააჩნია.

95. „*Inzwischen wächst der Hunger auf dieser Welt wieder. 20 000 Menschen sterben jeden Tag an Hunger – 20 000!*“ (შიმშილი კვლავ იზრდება ამ სამყაროში. ყოველდღიურად 20 000 ადამიანი იღუპება შიმშილით – 20,000! (სხდომან 57).

96. „*Woche für Woche um ihr politisches Überleben zu kämpfen, ist nicht nur für die Menschen in Deutschland eine Belastung. Eine **Lame Duck** im Kanzleramt macht auch die Lösung der Probleme in Europa nicht leichter. კვირიდან კვირამდე მათი პოლიტიკური გადარჩენისთვის ბრძოლა არამარტო გერმანიაში მყოფი ხალხის ტვირთია. კოჭლი იხვი კანცელარიაში არ ამარტივებს არც ევროპაში პრობლემების მოგვარებას (სხდომან 57).*

Die lahme Ente engl. **Lame duck** – **კოჭლი იხვი** - მეტაფორა, უნიათობის სიმბოლო ბრიტანეთში. ვაგენკნეხტი ბრალს სდებს მერკელს, რომ იგი საკუთარი გადარჩენისთვის იბრძვის და წარმოადგენს არა მხოლოდ გერმანიის მოსახლეობის ტვირთს, არამედ მას ასევე არც ევროპისთვის შეუძლია პრობლემების მოგვარება. (კლიმაქსი).

97. „*Alle Umfragen belegen: Viele Menschen machen sich Sorgen um die Zukunft. Eine Mehrheit wünscht sich mehr sozialen Ausgleich. Sie ärgert sich, dass gerade die größten Unternehmen oft die niedrigsten Steuern zahlen und die Politik nichts*

dagegen tut. Sie fordert eine Besteuerung großer Vermögen. Sie will keine Aufrüstung, sondern Investitionen in die Zukunft. Und was machen Sie? Sie machen einfach das Gegenteil. Sie subventionieren Konzerne und füllen die Auftragsbücher der Waffenschmieden. Aber Sie sind nicht bereit, Kinder und alte Menschen vor Armut zu schützen. In einem Land, das die vielleicht besten Autos dieser Welt baut, erklärt sich die Politik für unfähig, pflegebedürftigen alten Menschen einen Lebensabend in Würde zu ermöglichen“ (ყველა გამოკითხვის თანახმად, ბევრს აწუხებს მომავალი. უმრავლესობას უფრო მეტი სოციალური თანასწორობა სურს. მათ აღიზიანებთ, რომ განსაკუთრებით მსხვილი კომპანიები ხშირად იხდიან ყველაზე დაბალ გადასახადს და პოლიტიკოსები არაფერს აკეთებენ ამისთვის. ისინი ითხოვენ დიდი სიმდიდრის დაბეგვრას. მათ არ უნდათ შეიარაღება, არამედ ინვესტიციების ჩადება უნდათ მომავალში. და რას აკეთებენ? ისინი უბრალოდ, პირიქით იქცევიან, სუბსიდირებენ კორპორაციებს და ავსებენ შეიარაღების შეკვეთების სიებს. მაგრამ თქვენ არ ხართ მზად ბავშვებისა და მოხუცების სიღარიბისგან დასაცავად. ქვეყანაში, რომელიც, სავარაუდოდ, მსოფლიოში საუკეთესო მანქანებს ქმნის, პოლიტიკოსები ამბობენ, რომ მათ არ შეუძლიათ ხანდაზმული ადამიანების უზრუნველყოფა, რომ ღირსეულად გავიდნენ პენსიაზე (სხდომა N 35).

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, ვაგენკნეხტი განსაკუთრებით უარყოფითად აფასებს სოციალურ სიტუაციას და წარმოაჩენს შიშისა და გაურკვეველი მომავლის საფრთხეს, რაც მოსახლეობაში არასტაბილურობის და დაუცველობის განცდას აჩენს. ამისათვის იგი მიმართავს მანიპულაციის სხვადასხვა საშუალებებს, მაგ.: გაურკვეველობის, შიშის დანერგვას, მეტაფორას, ე.წ წყაროების დამოწმებას მაგ., **Alle Umfragen belegen** (ყველა კვლევა ადასტურებს), თუმცა არ აკონკრეტებს, რომელ კვლევებს ეყრდნობა. ასევე ემოციონალიზაციას – მოსახლეობაში პროტესტის გასაღვივებლად იგი ეწევა ხელისუფლების

დისკრედიტაციას . *Sie sind nicht bereit, Kinder und alte Menschen vor Armut zu schützen* (თქვენ არ ხართ მზად ბავშვები და მოხუცები სიღარიბისგან რომ დაიცვათ და *die Politik für unfähig, pflegebedürftigen alten Menschen einen Lebensabend in Würde zu ermöglichen* (უუნარო პოლიტიკა იმისათვის, რომ მზრუნველობამოკლებულ ადამიანებს გაუადვილონ სიცოცხლის საღამო). სამაგიეროდ, პოლიტიკოსი ხელისუფლებას ადანაშაულებს დიდი კონცერნების ფინანსური მხარდაჭერისა და საგადასახადო შეღავათების გამო.

98. „*Es kann doch nicht wahr sein, dass Sie der Autoindustrie jetzt noch eine goldene Brücke dafür bauen, mit ihrem eigenen Betrug auch noch ein Geschäft zu machen, während Sie die Dieselfahrer komplett im Regen stehen lassen*“ (არ შეიძლება სიმართლე იყოს, რომ საავტომობილო ინდუსტრიას ახლაც ოქროს ხიდებს იმიტომ უშენებთ, რომ მათი თაღლითური ბიზნესი აწარმოონ, მაშინ როცა დიზელის მძღოლებს მთლიანად წვიმაში ტოვებთ (სხდომა N 57).

მეტაფორული ფრაზეოლოგიზმია *Goldene Brücke bauen*– სიტყვასიტყვით: ოქროს ხიდის აგება; მნიშვნელობით: ყოველგვარი (ხელსაყრელი) პირობები შეუქმნა, სახე (თვითმყოფადობა) შეუნარჩუნა). უკანდასახევი გზა დაუტოვო და ა.შ.

ასევე *im Regen stehen lassen* - სიტყვასიტყვით – წვიმაში მიტოვება, მნიშვნელობა –გასაჭირში მიატოვო ვინმე. ვაგენკნეხტი კანცლერს ადანაშაულებს, ბრალს სდებს იმაში, რომ დიდ ფირმებს მფარველობს და სასათბურე პირობებს უქმნის, პატარა ფირმები კი უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული და საქმიანობის პირობებს ურთულებს.

99. „Wenn eine Koalition nicht das Rückgrat hat, sich mit den wirklichen **Klimasündern** anzulegen, dann kommt genau das heraus, was Sie am Freitag hier vorgelegt haben: ein **Flickenteppich** an Subventionen und ein sinnloses **Abkassieren der Verbraucher**. Das vertieft die soziale Spaltung weiter und trifft

genau diejenigen wieder am härtesten, die sich von Ihnen sowieso schon seit vielen Jahren **im Stich gelassen fühlen**. როცა კოალიციას არ აქვს ხერხემალი, რომ გაუმკლავდეს კლიმატის ნამდვილ **ცოდვილებს**, მაშინ გამოვა ის, რაც თქვენ პარასკევს აქ წარმოაჩინეთ: სუბსიდირების პაკეტი (ჭრელი ფარდაგი, პლედი) და მომხმარებლების ხარჯზე უაზრო მოგება. ეს **აღრმავებს სოციალურ განხეთქილებას** და ზუსტად მათ შეეხება, ვინც მრავალი წლის განმავლობაში *თავს მიტოვებულად გრძნობდა* (სხდომა N 115). იდიომატური ფრაზეოლოგიზმია **im Stich lassen-** ბედის ანაბარა **მიატოვო**, **im Stich gelassen fühlen-** გრძნობდე თავს ბედის ანაბარა, მიტოვებულად.

როგორც ვხედავთ, მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის მიზნით სარა ვაგენკნეხტი მანიპულაციის ძალიან ბევრ ტექნიკას მიმართავს, მათ შორის იყენებს მეტაფორებს, ფრაზეოლოგიზმებს, უჩვეულო კომპოზიტებს, ანდაზებსა და შეფასებითი სემანტიკის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს (**Flickenteppich** - **მეტაფორა**, (ჭრელი ფარდაგი, პლედი), ვაგენკნეხტი ასე მოიხსენიებს ბიუჯეტის პროექტს. **კლიმატის ცოდვილებად** იგი დიდ საწარმოებს მიიჩნევს, სადაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილია დასაქმებული და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ, ვაგენკნეხტი მერკელს მათ მხარდაჭერაში ადანაშაულებს, რაც ბიუჯეტში ამ კომპანიების სუბსუდირებით იქნა გამოხატული.

100. „**Der Scherbenhaufen**, vor dem Sie in Europa stehen, ist doch der **Scherbenhaufen Ihrer Politik**“ (*ფრაგმენტების გროვა, რომელსაც თქვენ ევროპაში წააწყდებით, თქვენი პოლიტიკის ფრაგმენტებია* (სხდომა N 35).

მოცემული გამონათქვამი ხელისუფლების დისკრედიტაციის კიდევ ერთი მაგალითია. **Der Scherbenhaufen**, - მეტაფორა, პირდაპირი მნიშვნელობით - შუშის ნამსხვრევები, გადატანითი, ირიბი მნიშვნელობით - ფრაგმენტების გროვა, აღნიშნულ მეტაფორას ვაგენკნეხტი ხელისუფლების პოლიტიკის აღსანიშნად იყენებს.

101. „*Aber das Vertrauen in die internationale Ordnung wird doch seit Jahren verletzt. Das wird doch bei jeder Gelegenheit, wo das Völkerrecht mit Füßen getreten wird, verletzt*“ (მაგრამ საერთაშორისო წესრიგისადმი ნდობა წლების განმავლობაში ირღვევა. და იგი ირღვევა ყოველ შესაძლებლობებზე, სადაც საერთაშორისო სამართალს ფეხქვეშ თელავენ – (სხდომა N 35).

სარა ვაგენკნეტი ამ მომაკვეთშიც ცდილობს საზოგადოების შეშფოთებას, დაშინებას და დაუცველობის განცდის დანერგვას. *Ordnung wird verletzt* - წესრიგი ირღვევა, თან უკვე დიდი ხანია და ამავდროულად ყოველ ნაბიჯზე ადამიანის უფლებებს თელავენ ფეხქვეშ *mit Füßen getreten* – მეტაფორული ფრაზეოლოგიზმი, პატივს არ სცემენ, აბუჩად იგდებენ.

102. „*Auch auf den Finanzmärkten ziehen längst wieder dunkle Wolken auf*“ (სხდომა N 64). მეტაფორა: *dunkle Wolke ziehen auf*“ (ფინანსურ ბაზრებზეც დიდი ხანია შავი ღრუბლები იკრიბებიან“ (სხდომა N 64).

სარა ვაგენკნეტი ეწინააღმდეგება ევროპულ გაერთიანებებს და ხელისუფლებას კომფლიქტურ რეგიონებში დაპირისპირებული ძალების მხარდაჭერის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. შავი ღრუბლები იკრიბებიან – მეტაფორა, პერსონიფიკაცია, სიტუაციის გაზვიადება და უარყოფითი შეფასება.

103. „*Ich rede von der Festlegung, an Staaten, die an dem blutigen Krieg im Jemen beteiligt sind, keine Waffen mehr zu liefern. Diese Festlegung war offenbar von vornherein nichts als weiße Salbe*“ (მე ვსაუბრობ იემენში სისხლიან ომში მონაწილე სახელმწიფოების იარაღის მიწოდების ვალდებულებაზე. თავიდანვე ეს განმარტება სხვა არაფერი იყო, თუ არა თეთრი მალამო (სხდომა N 57).

თეთრი მალამო – *weiße Salbe* – იდიომური გამოთქმაა და ნიშნავს მოჩვენებითი ღონისძიებების გატარებას, რომელსაც რაიმე გავლენა არ აქვს.

*104. „Bomben retten keine Menschenleben und schaffen keinen Frieden“
(ბომბებს არ შეუძლიათ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ბომბები არ
ქმნიან მშვიდობას (სხდომა N 25).*

ბომბები არ ქმნიან მშვიდობას – ეს ისედაც ცხადია და არავის აქვს მოლოდინი, რომ ძალადობით საკითხი მშვიდობიანად მოგვარდება.

105. „in Wahrheit dealen Sie hemmungslos mit den Rüstungslobbyisten, und Sie liefern Diktatoren wie Erdogan oder den Saudis genau die Waffen, die sie brauchen, um ihre **blutigen Kriege** in Syrien oder eben auch im **Jemen zu führen. Das ist doch eine völlig unverantwortliche Politik**“ (სინამდვილეში, თქვენ შეუფერხებლად უმკლავდებით იარაღის ლობისტებს და აწვდით დიქტატორებს, როგორცაა ერდოღანი ან საუდი, ზუსტად იმ იარაღს, რაც მათ სჭირდებათ სირიაში ან იემენში **სისხლიანი ომების წარმოებისთვის**. ეს არის სრულიად **უპასუხისმგებლო პოლიტიკა** (სხდომა N 35).

Kriege – ომები, თავისთავად მსხვერპლს და სისხლისღვრას გულისხმობს, თუმცა სიტუაციის მეტი ემოციონალიზაციისთვის ვაგენკნეხტი ამატებს ეპითეტს – **blutigen** (სისხლიანი). **Das ist doch eine völlig unverantwortliche Politik** (ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკა) – მოკლე შეჯამება და განმარტება, მოწინააღმდეგის დადანაშაულება, დისკრედიტაცია.

106. „Wenn Sie nicht wollen, dass Deutschland sich weiterhin an diesem eskalierenden Krieg beteiligt, dann ziehen Sie endlich die Bundeswehr aus diesem **Pulverfass** ab. Holen Sie unsere Soldaten nach Hause zurück! Das wäre doch **das Gebot der Stunde**“ (თუ არ გსურთ გერმანიამ მონაწილეობა გააგრძელოს ამ გამწვავებულ ომში, მაშინ საბოლოოდ გაიყვანეთ შეიარაღებული ძალები ამ **დენტის კასრიდან**, ეს იქნებოდა **საათის შეთავაზება** ანუ საუკეთესო გამოსავალი (სხდომა25)).

ვაგენკნეხტი, სხვა ოპოზიციონერი დეპუტატების მსგავსად, აპროტესტებს ქვეყნის საგარე პოლიტიკას და კონფლიქტურ რეგიონებში დაპირისპირებული

მხარეების მხარდაჭერას. იგი მოუწოდებს ხელისუფლებას გაიწვიონ თავიანთი ჯარისკაცები კონფლიქტური რეგიონებიდან, რომელსაც **დენტის კასრს** უწოდებს, ჯარების გაყვანა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ქვეყნისთვის – **Gebot der Stunde**. აღნიშნული მაგალითებით აშკარაა, რომ მემარცხენე სარა ვაგენკნეხტი საკმაოდ დიდი ორატორული ნიჭით გამოირჩევა. საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, იგი წარმატებით იყენებს მანიპულაციის როგორც რიტორიკულ საშუალებებს, ასევე მანიპულაციის სხვადასხვა სტრატეგიებს: დისკრედიტაცია, ანდაზები, სტატისტიკა, ავტორიტეტული წყაროების დამოწმება, კომპოზიტები და სხვა.

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	მეტაფორა	28
2	ჰიპერბოლა	21
3	რიტორიკული კითხვა	13
4	შიშის დანერგვა	12
5	პოპულიზმი	11
6	ფრეიმი	10
7	ბრალდება	10
8	ისტორიული მეხსიერების ფიგურები	9
9	პოლარიზება	9
10	ირონია	9
11	სხვა	77
სულ		209

დიაგრამა №14 ვაგენკნეხტის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარა ვაგენკნეხტი ძრითადად სოციალური თემებით მანიპულირებს, თუმცა ასევე აქტიურად ეწინააღმდეგება ევროპის გაერთიანებას და არგუმენტად მოჰყავს ბიუროკრატია, რომელიც გერმანელი გადასახადების გადამხდელების ხარჯზე არსებობს. მისთვის, როგორც სხვა პოლიტიკოსებისთვის, დამახასიათებელია მეტაფორების ხშირი მოხმობა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით იყენებს ჰიპერბოლას, რის საშუალებითაც ქვეყანაში არსებული არც თუ ისე სახარბიელო

პოლიტიკური სიტუაციის ფონზე კიდევ უფრო მეტად ცდილობს მოვლენების გამუქებას და მოსახლეობაში გადაჭარბებული უარყოფითი მუხტის გავრცელებას. მისთვის დამახასიათებელია ასევე, მოწინააღმდეგის ბრალდება სხვადასხვა საკითხებში, განსაკუთრებით კორუფციული ბრალდებები. სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, დეპუტატი გამოირჩევა ისტორიული მეხსიერების ფიგურების გამოყენებითა და მათი ციტირებით. სარა ვაგენგნეხტი ასევე წარმატებით იყენებს საზოგადოების პოლარიზების მეთოდს, რაც ენობრივი მანიპულაციის საკმაოდ გავრცელებული მეთოდია.

Alexarnder Gauland – ალექსანდერე გაულანდი – **AfD** - ალტერნატივა გერმანიისთვის, მემარჯვენე პოპულისტური, ნაწილობრივ მემარჯვენე ექსტრემისტული პარტიის დამფუძნებელი და ლიდერი, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი. 1973 წლიდან 2013 წლამდე CDU (სახელისუფლებო) პარტიის წევრი. 2013 წლიდან პარტია AfD-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და 2017 წლიდან გერმანიის ბუნდესთაგში AfD-ს ფრაქციის თავმჯდომარე, 2013 წლიდან აქტიურად იბრძვის *ევროსა* და *ევროკავშირის* წინააღმდეგ. გამოირჩევა მკვეთრად რასისტული და რევიზიონისტური¹⁷ განცხადებებით.

კვლევისთვის გავაანალიზეთ ალექსანდრე გაულანდის 17 საპარლამენტო გამოსვლა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა 104 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 249 ენობრივი ერთეული.

გაულანდი ხშირად საუბრობს გერმანელი ერის, ხალხის გამორჩეულ თვისებებზე, მათ განსაკუთრებულობაზე და საამისოდ ხშირად მოჰყავს ცნობილი, ავტორიტეტული პიროვნებების ციტატები:

107. „Das Gefäß, in dem sich Freiheit und Selbstbestimmung manifestieren, ist – ich habe das schon einmal gesagt – der Nationalstaat. Dieser Gedanke stammt

¹⁷ იდეურპოლიტიკური მიმდინარეობა; ცდილობს რევოლუციური მარქსიზმის პოლიტიკური, ფილოსოფიური და ეკონომიკური საფუძვლების გადასინჯვას და დამახინჯებას და მათ შეცვლას არამეცნიერული თეორიებით, რომლებიც მიმართულია სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ – კაპიტალიზმის ინტერესების სასარგებლოდ. (ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი)

übrigens nicht von mir, sondern von dem großen Liberalen Lord Dahrendorf“

¹⁸(ჭურჭელი, სადაც თავისუფლება და თვითგამორკვევა მანიფესტირდება, არის - მე ეს ადრე უკვე ვთქვი, ეროვნული სახელმწიფო. სხვათაშორის, ეს მოსაზრება მე კი არა, არამედ დიდ ლიბერალს დარენდორფს ეკუთვნის (სხდომა N 14)).

ავტორიტეტთან ერთად გაულანდი იყენებს მხტავრულ ხერხებს და შეფასებით-გამომხატველ პერსუაზიულ სხვა საშუალებებსაც, მაგ.: **Gefäß** –კასრი, ჭურჭელი, ძირითადად სითხის შესანახი, სადაც შეუძლებელია იშვას თავისუფლება.

იგი ასევე იშველიებს ცნობილი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვებს: „როდესაც 1832 წელს ჰაინრიხ ჰაინე საფრანგეთში მყოფ გერმანელ ემიგრანტებს შეხვდა, მან აღნიშნა, რომ ყველა ეს ღარიბი ადამიანი ჩიოდა თავისი უბედურების გამო, მაგრამ ყოველთვის ამთავრებდნენ შეკითხვით:

108. *"als Heinrich Heine 1832 in Frankreich deutschen Auswanderern nach Übersee begegnete, notierte er, all diese armen Leute hätten ihm ihr Elend geklagt, aber immer mit der Frage geendet: „Was sollten wir tun? Sollten wir eine Revolution anfangen?“ Ich schwöre – fährt Heine fort – der zehnte Teil von dem, was jene Leute in Deutschland erduldet haben, hätte in Frankreich sechsendreißig Revolutionen hervorgebracht რა უნდა გავაკეთოთ? უნდა დავიწყოთ რევოლუცია?" ვფიცავ –განაგრძობს ჰაინე , იმის მეათედი, რასაც ყოველი ადამიანი ითმენს გერმანიაში, საფრანგეთის შემთხვევაში იქნებოდა ოცდათექვსმეტი რევოლუცია“ (სხდომა N 64). ამ ციტატით ჰაინე ეხმიანება საფრანგეთში „ყვითელი ჟილეტების“ აქციას, სადაც მძღოლები საწვავის გაძვირებას აპროტესტებდნენ. იგი ადარებს გერმანელ და ფრანგ ხალხებს და აღნიშნავს, რომ გერმანელები ძალიან მომთმენნი არიან, თორემ საქმე ისე ცუდადაა, რომ რევოლუციის საფუძველს იძლევა.*

¹⁸ გერმანელ-ბრიტანელი პოლიტიკოსი, სოციოლოგი, ფილოსოფოსი, მეცნიერი და ლიბერალი პოლიტიკოსი. კლასთა კონფლიქტის თეორეტიკოსი.

ამასთან, შეფარვით გერმანელ ხალს აქეზებს რევოლუციისკენ: „Die deutsche Geduld und die französische unterscheiden sich sehr“ (გერმანული და ფრანგული მოთმინება განსხვავდება ერთმანეთისგან (სხდომა N 64).

109. „dieses Nichthandeln, dieses Laufenlassen hat Konsequenzen. Sie gefährden nicht nur die Identität dieses Landes, seine Zukunftsfähigkeit und seine Institutionen, also den Rechtsstaat, der uns Deutschen unserer historischen Erfahrungen wegen besonders am Herzen liegen sollte, sondern Sie gefährden auch den Sozialstaat“ (ამ უმოქმედობამ, ამ მიშვებულობამ შედეგი გამოიღო. თქვენ არა მხოლოდ საფრთხეს უქმნით ამ ქვეყნის თვითმყოფადობას, მის მომავალ ქმედუნარიანობას და მის ინსტიტუციებს, ანუ სამართლებრივ სახელმწიფოს, რაც ჩვენ, გერმანელებს ჩვენი ისტორიული გამოცდილების გამო განსაკუთრებით უნდა გვალეღვებდეს, თქვენ ასევე საფრთხეს უქმნით სოციალურ სახელმწიფოსაც (სხდომა N 5).

გაულანდი კანცლერის დისკრედიტაციას ეწევა და ადანაშაულებს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო. საამისოდ იგი ცდილობს შიში, გაურკვეველობა და ქაოსი შეიტანოს საზოგადოებაში. ქაოსის, გაურკვეველობის და შიშის დანერგვა კი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მანიპულაციის საშუალებაა პოლიტიკაში. გაულანდი გერმანიის კანცლერს, ანგელა მერკელს ხშირად აკრიტიკებს ლტოლვილების პოლიტიკის გამო და მას „გახსნილი საზღვრების კანცლერს“ უწოდებს (die Kanzlerin der offenen Grenzen).

110. „Meine Damen und Herren, **unser Land ist krank**, und es ist **tief gespalten**: zwischen **Ost und West**, zwischen frommer Regierungslinie und böser Opposition. **Den Riss**, der sich durch unsere Gesellschaft **zieht**, **haben ja nun angeblich wir verursacht**“ (ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი ქვეყანა ავადია და დანაწევრებულია: აღმოსავლეთს და დასავლეთს, მოწყალე მთავრობასა და ბოროტ ოპოზიციას შორის. განხეთქილება (ბზარი), რომელიც ჩვენს საზოგადოებაშია, სავარაუდოდ, ჩვენ გამოვიწვიეთ (სხდომა N 111).

პოლარიზება – საზოგადოების დაყოფა კარგებად და ცუდებად, ჩვენიანებად და არაჩვენიანებად იწვევს პოლარიზებას, რაც რადიკალური ძალების წარმოშობის წინაპირობად იქცევა. აქ გაულანდი საზოგადოებას ყოფს დასავლელებად და აღმოსავლელებად, ასევე ირონიულად შენიშნავს: მოწყალე ხელისუფლებად და ბოროტ ოპოზიციად. იგი იყენებს ასევე პერსონიფიკაციის მეთოდსაც – **unser Land ist krank**.

111. *“Die Freiheit des Individuums und das Recht auf ein selbstbestimmtes Leben sind heute bedroht. Technokraten übernehmen die Macht über unser Denken und Fühlen. Sie wollen die Menschen zu bindungslosen, beliebig verschiebbaren Figuren auf dem globalen Schachspielbrett entmündigen“* (დღეს საფრთხე ემუქრება პიროვნების თავისუფლებას და თვითგამორკვევის ცხოვრების უფლებას. ტექნოკრატები აკონტროლებენ, თუ როგორ ვფიქრობთ და რას ვგრძნობთ. მათ სურთ, ხალხი გლობალურ საჭადრაკო დაფაზე შემთხვევით, უმიზნოდ, უფუნქციოდ ფიგურებივით გადაადგილებისკენ წააქეზონ (სხდომა N 89).

გაულანდი საზოგადოებაში პროტესტს აღვივებს, მოუწოდებს, რომ მათ მართავენ და მათი თავისუფლება საფრთხეშია. ტექნოკრატები მართავენ მათ ფიქრებსა და გრძნობებს. ფრაზა „ ადამიანებს გლობალურ საჭადრაკო და ფაზე უმიზნოდ მოსიარულე ფიგურებად აქცევენ“ ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს, საზოგადოების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ახსოვს, როგორ უთვალთვალეებდნენ და უზღუდავდნენ აზრის თავისუფლებას, ამის განმეორება კი ცხადია, აღარ სურთ შესაბამისად, ისინი განეწყობიან გლობალიზაციის და სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ.

ალექსანდრე გაულანდისა და მისი პარტიის წარმატება, ჩვენი აზრით, ნაცისტურმა იდეოლოგიამ განაპირობა, რომელიც განსაკუთრებით 2015 წლის სირიის სამოქალაქო ომიდან ლტოლვილების ნაკადის გერმანიაში დასახლების შემდეგ გააქტიურდა და საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

შესაბამისად, მისი ყველა გამოსვლა ბუნდესთაგში ნებისმიერი ბიუჯეტის, გარემოს დაცვის თუ სხვა საკითხების განხილვისას ლტოლვილების თემას ეხება. ცდილობს მაქსიმალურად ნეგატიურად შეაფასოს ხელისუფლების პოლიტიკა და იგი ამისათვის არ იშურებს სხვადასხვა მხატვრულ თუ სტილისტურ ხერხს:

112. „Der Bundesminister des Innern hat die Migration die Mutter aller Probleme genannt. Es gehört seit Monaten zum außenpolitischen Mantra der Bundesregierung – diese Mutter aller Probleme –, dass in Afrika und Asien Fluchtursachen bekämpft werden sollen“ (გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიგრაციას ყველა პრობლემის დედა უწოდა. ეს არის გერმანიის თავრობის საგარეო პოლიტიკის შედეგი, რომლის მიზანი იყო ყველა პრობლემის დედა - დევნის მიზეზები, აღმოფხვრა (სხდომა N 45).

გაულანდი გამოირჩევა ლტოლვილების მიმართ გატარებული პოლიტიკის კრიტიკით. იგი ახსენებს კანცლერს, რომ ლტოლვილების პოლიტიკა 50 მილიარდამდე ევრო ჯდება, ამ ფონზე სულ უფრო მეტი გერმანელი კი საცხოვრებლის გარეშე რჩება. სანაცვლოდ მხოლოდ გაზრდილი კრიმინალი მიიღო გერმანიამ, სარკასტულად მოიხსენიებს თავად ლტოლვილებს და ხაზს უსვამს მათ კულტურულ განსხვავებულობას, რაც მის ქსენოფობიურ განცხადებაში გამოიხატება:

113. „Frau Bundeskanzlerin, bekommt ein Syrer mit zwei Ehefrauen und sechs Kindern in Pinneberg ein ganzes Haus und üppige Sozialleistungen geschenkt, während immer mehr Deutsche obdachlos werden – allein hier in Berlin gibt es 6 000 davon“ (ქალაქატონო კანცლერო, ერთმა სირიელმა, ორი ცოლითა და ექვსი შვილით პინებერგში საჩუქრად მიიღო მდიდრული სახლი, მაშინ როცა უფრო და უფრო მეტი გერმანელი რჩება უსახლკარო, მათგან მოხლოდ ბერლინში 6 000 (სხდომა N 22).

გაულანდი და მისი პარტია ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ გაერთიანებებს, მათ შორის, ევროკავშირს. იგი აცხადებს, რომ ქვეყნის ეთნიკური

მრავალფეროვნება (სიჭრელე) სულაც არ წარმოადგენს ეროვნულ ვალდებულებას და ყველა ერმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ვის მიიღებს თავისი საზოგადოების წევრად. ამით გამოხატავს იგი ბრიტანელების გადაწყვეტილების მიმართ – ეროკავშირიდან მათი გასვლის შესახებ მხარდაჭერას:

114. „Die Nationen wollen selbst bestimmen, wen sie in ihre Gemeinschaft aufnehmen. Es gibt keine nationale Pflicht zur Buntheit“ (ერებს სურთ, თავად გადაწყვიტონ, ვინ მიიღოს თავის საზოგადოებაში. არავითარი ეროვნული ვალდებულება არ არსებობს, რომ ვიყოთ ფერადი/ჭრელი (სდომა5)).

115. „Am Anfang hat die EU die Krümmung der Gurken normiert, und am Ende normiert sie die Gedanken“ დასაწყისში ეროკავშირმა მოახდინა მრუდე კიტრის ნორმალიზება და ბოლოს **აზროვნების ნორმალიზება**“ (ხელახლა გადააზრება- მეტაფორიზაცია ირონიით და სარკაზმით გამოხატული (სხდომა N 89).

გაულანდი ირონიულად ისხენიებს ეროკავშირის ცნობილ კანონს, კიტრის მრუდის ნორმალიზების თაობაზე და აცხადებს, რომ ახლა ეროკავშირი მათი აზროვნების ნორმალიზებას, ანუ კონტროლს ცდილობს, რაც საზოგადოებაში ეროკავშირის მიმართ ნდობის დაკარგვას იწვევს. იგი საკმაოდ სახიფათო განაცხადს ავრცელებს სიძულვილთან დაკავშირებით, რაც სიძულვილის პროპაგანდას და საზოგადოებაში განხეთქილების წაქეზებას უწყობს ხელს:

116. „Hass ist erstens keine Straftat und hat zweitens in der Regel Gründe“ (ჯერ ერთი, სიძულვილი არა რის დანაშაული და მეორეც, ჩვეულებრივ, არსებობს მიზეზები სიძულვილისთვის (სხდომა N 48).

გაულანდი ხშირად იყენებს ირონიასა და დისკრედიტაციას არსებული ხელისუფლების, განსაკუთრებით, კი კანცლერ ანგელა მერკელის მიმართ:

*117. „Was in Ihrer Amtszeit, Frau Bundeskanzlerin, gestiegen ist, sind nicht nur die **Steuereinnahmen** und die Zahl der **Messerattacken**, sondern auch die **Geringschätzung**, Sogar viele Einwanderer verachten dieses Land. **Wer sich selbst***

verachtet, wird verachtet“ (რაც გაიზარდა თქვენი უფლებამოსილების განმავლობაში, ქალბატონო კანცლერო, არის არა მხოლოდ გადასახადები და შეიარაღებული თავდასხმები, არამედ ასევე, უპატივცემულობა, მათ შორის ბევრ ლტოლვილს ეზიზღება ეს ქვეყანა. ვინც თავის თავს შეიძულებს, შეიძულებენ სხვებიც“ (სხდომა N 32).

შდრ. ანდაზა, აფორიზმი – *Wer sich selbst verachtet, wird verachtet, achtet sich doch immer nach dabei als Verächter* ვინც თავს უარყოფს (შეიძულებს), სხვებიც შეიძულებენ მას, მაგრამ პატივს სცემენ, როგორც შემზარავს.

118. *„unverbindlich „Unverbindliche Verpflichtungen“, meine Damen und Herren, das ist ein hölzernes Eisen.Meine Damen und Herren auf der Regierungsbank: Für wie dumm halten Sie uns alle und Ihre Wähler draußen eigentlich?“ (სავალდებულო ვალდებულებები“, ქალბატონებო და ბატონებო, ეს არის ხის რკინა. ქალბატონებო და ბატონებო სამთავრობო სკამებზე: რამდენად სულელებად მიგაჩნევართ ჩვენ, ყველა და თქვენი ამომრჩეველი გარეთ? (სხდომა N 64) –* ასე გამოეხმაურა გაულანდი პაქტის ხელმოწერას. ოქსიმორა, სტილისტური ხერხი, ერთმანეთთან შეუთავსებელი სიტყვათა შეხამება, არასავალდებულო ვალდებულება – ხის რკინა ანუ წარმოუდგენელი, არარეალური რამ. პოლიტიკოსი ხელისუფლებას საზოგადოების და ოპოზიციის მოტყუებაში სდებს ბრლას.

119. *„wenn Sie nächste Woche feststellen, dass es im Kanzleramt hereinregnet, werden Sie wahrscheinlich keinen Dachdecker rufen, sondern eine europäische Lösung anstreben. Liebe Frau Bundeskanzlerin, diese heiße Luft verkaufen Sie als europäische Lösung“ (როცა მომდევნო კვირაში აღმოაჩენთ, რომ მთავრობაში წვიმა ჩამოდის, სავარაუდოდ სახურავის გადამხურავს კი არ დაუძახებთ, შეეცდებით ევროპული გამოსავალი იპოვოთ, ...ქალბატონო კანცლერო, ამ ცხელ ჰაერს ასაღებთ თქვენ როგორც ევროპულ გამოსავალს (სხდომა N 45) (სარკაზმი).*

ევროკავშირის მიმართ გაულანდის ნეგატიური დამოკიდებულება ჩანს კიდევ ერთხელ, როცა იგი მერკელს თავისი პოლიტიკის გამო დასცინის და ეუბნება: „პარლამენტში წვიმის წყალი რომ ჩამოვა, სახურავის შემკეთებელს კი არ დაუძახებთ, არამედ ევროპულ გამოსავალზე დაიწყებთ ფიქრს და ამ ევროპულ გამოსავალს ასაღებთ, როგორც ცხელ ჰაერს“.

120. *“Die Bundesregierung hat sich entschieden, von Deutschland aus das Klima zu retten und dafür die Energieversorgung unseres Landes aufs Spiel zu setzen“*
(გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა კლიმატი გადაარჩინოს და ამისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა საფრთხის ქვეშ დააყენა (სხდომა N 130).

aufs Spiel zu setzen - იდიომა, ბედი სასწორზე შეაგდო, თავი განსაცდელში ჩაიგდო, გარისკო.

#	მანიპულაციის საშუალება	რაოდენობა
1	მეტაფორა	33
2	ირონია	33
3	ციტირება	18
4	ჰიპერბოლა	16
5	პრესუპოზიცია	15
6	ისტორიული მეხსიერების ფიგურები	13
7	შედარება	12
8	სტატისტიკა	12
9	შიშის დანერგვა	11
10	ფრეიმი	11
11	ბრალდება	11
12	სხვა	64
სულ		249

დიაგრამა №15 გაულანდის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა და სახეობები

გაულანდი ხშირად იყენებს სტილისტურ საშუალებებს, განსაკუთრებით მეტაფორისა და ირონიის გამოყენების სიხშირით გამოირჩევა, რომელიც, როგორც წესი, ხელისუფლების კრიტიკისა და დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. გაულანდის გამოსვლები ხშირად შეიცავს სიძულვილის ენას და გამოირჩევა საზოგადოების მასების პოლარიზებასა და ძალადობისაკენ წახალისებით. მას

მოჰყავს ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწეების ციტატები, რომელთა საშუალებითაც ცდილობს თქვას საკუთარი სათქმელი და ხაზი გაუსვას გერმანელი ერის და საზოგადოების განსაკუთრებულობას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა პატრიოტობის ფენომენი თითქოს გაუფერულდა, გაულანდმა მის გაცოცხლებას ახალი ძალა შესძინა და საზოგადოებაში იმატა ნაციონალური, ან ეთნიკური ნიშნით ძალადობის ფაქტებმა. მიუხედავად იმისა, რომ არ მალავს რასისტულ შეხედულებებს, იგი მაინც ხშირად მიმართავს პრესუპოზიციის მეთოდსაც, რომელიც კვლავ უწყობს ხელს ეთნიკური დაპირისპირების გამძაფრებას. გაულანდისთვის ასევე დამახასიათებელია სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება, რომლითაც იგი ძირითადად ლტოლვილების საკითხს ეხმიანება და საზოგადოების პოლარიზებას უწყობს ხელს.

Cristian Lindner FDP – თავისუფალ -დემოკრატიული პარტია. კრისტიან ლინდნერი გერმანელი პოლიტიკოსი, FDP ლიდერი. 2009 წლიდან ბუნდესთაგის წევრი, 2017 წლიდან გერმანიის ბუნდესთაგში პარტია FDP-ს ფრაქციის თავმჯდომარე.

კვლევისთვის გავაანალიზეთ კრისტიან ლინდნერის 15 საპარლამენტო გამოსვლა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა 69 გამონათქვამი და საერთო ჯამში დამუშავდა მანიპულაციის 154 საშუალება.

კრისტიან ლინდნერის გამოსვლები ეხება თითქმის ყველა საკითხს, რაც პარლამენტში იქნა განხილული კლიმატის დაცვის, ეკონომიკური კრიზისის, საერთაშორისო პოლიტიკის, საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ჩათვლით, იგი სტუდენტობის პერიოდში გერმანიის თავდაცვის ძალების რეზერვისტი იყო და ამიტაც არის განპირობებული მისი ინტერესი თავდაცვის საკითხისადმი. ლინდრენის დამოკიდებულება მაგ., ლტოლვილებთან დაკავშირებით ორმაგი სტანდარტით გამოირჩევა. ერთი მხრივ, აკრიტიკებს მერკელის პოლიტიკას, თუმცა ამავდროულად ცდილობს შეინარჩუნოს ლიბერალის იმიჯი. სხვა დეპუტატების მსგავსად, აქტიურად

იყენებს მანიპულაციის სხვადასხვა საშუალებებს, განსაკუთრებით, მმართველი გუნდის დისკრედიტაციისა და ირონიის საშუალებებს.

121. "Mehr gemeinsames Handeln in der Sicherheitspolitik, der Verteidigungspolitik und bei der Kontrolle unserer Außengrenzen ist überfällig"
მეტი უსაფრთხოების ერთობლივი პოლიტიკა, თავდაცვის პოლიტიკა და ჩვენი საზღვრების კონტროლი დიდი ხანია დასრულდა (სხდომა N 9).

ასე ცდილობს ლინდნერი გააკრიტიკოს მერკელის საგარეო, თავდაცვითი და სასაზღვრო პოლიტიკა, რაც საზოგადოებაში შიშის და დაუცველობის განცდას აღვივებს.

122. „Ich kann nicht verstehen, dass die SPD in dieser Frage grüner als grün ist. Ansonsten hören wir aus Ihrer Regierung nur Worte wie, der Islam gehöre nicht zu Deutschland. Das ist genauso spalterisch, wie in Bayern Kreuze an die Wand zu nageln“ (მე არ მესმის, რომ SPD ამ საკითხში მწვანეზე უფრო მწვანეა, თუმცა ჩვენ თქვენი მთავრობისგან ვიგებთ მხოლოდ სიტყვებს, რომ ისლამი არ არის გერმანიის ნაწილი. ეს ისეთივე გახლეჩაა, როგორც ბავარიაში ჯვრის კედელზე მიჭედება (სხდომა N 32).

აქ ლინდნერი სახელისუფლებო პარტიას საზოგადოებაში რელიგიური განხეთქილების წახალისებაში ადანაშაულებს და განცხადებით – „ისლამი არ არის გერმანიის ნაწილი, ისეთივე გამყოფია, როგორც ბავარიაში ჯვრის კედელზე მიჭედება“ – ეხმიანება სოდერს, ბაიერნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, რომლის მიხედვითაც ბაიერნში ყველა საჯარო შენობაზე იურიდიული და სოციალური წესრიგის ძირითადი ღირებულებებისადმი ერთგულების ნიშნად ჯვარი უნდა გამოეკრათ. ლინდნერმა სოდერი პარტიის პოლიტიკისთვის რელიგიის ინსტრუმენტალიზაციაში დაადანაშაულა და იგი ერდოლანს შეადარა.

123. „mit Geld Zustimmung kaufen. Diese Methode kenne ich aus dem rheinischen Karneval. Das ist Kamelle Politik. Damit kann man im Karneval beliebt werden; aber die größte Volkswirtschaft in Europa kann man so nicht

führen, meine Damen und Herren“ (ფულით მომხრეების მოსყიდვა. ეს მეთოდი ვიცი მე რაინის კარნავალიდან, ეს არის კამელური პოლიტიკა, ასე შეიძლება გახდეს პოპულარული კარნავალში; მაგრამ ევროპაში ყველაზე დიდი სახალხო ეკონომიკა ასე არ შეიძლება წარიმართოს (სხდომა N 32).

